1945
№8

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია
მთა ყანობილი

ბიულეტენი

АБАСТУМАНСКАЯ АСТРОФИЗИЧЕСКАЯ ОБСЕРВАТОРИЯ
ГОРА КАНОБИЛИ

БЮЛЛЕТЕНЬ

ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY
MOUNT KANOBILI

BULLETIN

8

1945
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
Тбилиси თბილისი Tbilis

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
THE ACADEMY OF SCIENCES OF THE GEORGIAN SSR

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია
მთა ყანობილი

ბიულეტენი

АБАСТУМАНСКАЯ АСТРОФИЗИЧЕСКАЯ ОБСЕРВАТОРИЯ
ГОРА КАНОБИЛИ

БЮЛЛЕТЕНЬ

ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY
MOUNT KANOBILI

BULLETIN

8

1945

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

Тбилиси — თბილისი — Tbilisi

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით
პრეზიდენტი აკად. ნ. მუსხელიშვილი

Напечатано по распоряжению Президиума АН Грузинской ССР
Президент акад. Н. И. Мусхелишвили

პ/მგ. რედაქტორი დოც. ევგ. ხარაძე
Отв. редактор доц. Е. К. Харадзе

Подпис. к печати 29.10.1945, количество печатных форм 11, заказ № 465, тираж 500
УЭ 09513

Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР, ул. А. Церетели № 7

შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ — CONTENTS

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი № 8. 1945
БЮЛЛЕТЕНЬ АБАСТУМАНСКОЙ АСТРОФИЗИЧЕСКОЙ ОБСЕРВАТОРИИ № 8. 1945
BULLETIN OF THE ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY No. 8. 1945

215 გარეგალაქტიკური ნისლეულის კოლორ-ინდექსები

მ. ვაშაკიძე

§ 1. **კოლორ-ინდექსების განსაზღვრა.** გარეგალაქტიკურ ნისლეულთა კოლორ-ინდექსების შესწავლის მნიშვნელობა განმარტებული იყო ავტორის მიერ ამ საკითხზე წინად გამოქვეყნებულ შრომებში [1], რომელთა გაგრძელებას—მესამე წერილს—წინამდებარე შრომა წარმოადგენს.

აქ მოყვანილი კოლორ-ინდექსები განსაზღვრულნი იყვნენ ძირითადად იმავე გზით, როგორც წინად, რათა დაცული ყოფილიყო ერთგვაროვნება ჩვენი კატალოგის კოლორ-ინდექსების სისტემაში. მაგრამ ზოგიერთი ნისლეულის კოლორ-ინდექსი ჩვენ განვსაზღვრეთ ცოტა განსხვავებულად. ეს განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ აქ აღვრიცხავდით ცის ფონს ფოტოგრაფიული გამქრალვნების ვუალზე მიყვანის გზით,—ვუალზე, რომელიც გვაქვს მილებიანი ფოტომეტრით სტანდარტიზებულ აფსკებზე და გამოსაკვლევი არეების აფსკებზე. ნეგატივზე ვზომავდით არაექსპონირებულ ნაწილსა და ცის ფონს და აღვრიცხავდით უკანასკნელს. ამნაირად მიღებული კოლორ-ინდექსები აღნიშნული გვაქვს I ცხრილში ვარსკვლავ-ნიშნაკით.

ამგვარად ფორმულა, რომელსაც კოლორ-ინდექსის განსაზღვრისათვის ვხმარობთ, ღებულობს სახეს:

$$CI = -2.5 \lg \frac{I_{ph} - I_b}{I_{vis} - I_b} + a \qquad (1)$$

სადაც a მუდმივია, რომელიც შეიცავს პოლარული მიმდევრობის მიხედვით მიღებული ნულ-პუნქტის შესწორებას, ზენიტური მანძილის შესწორებას და სხვ. I_b ფონის სიკაშკაშეს ნიშნავს. რადგანაც ამ გზით მიღებული კოლორ-ინდექსები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან წინად აღწერილი ჩვეულებრივი ხერხით—მილებიანი ფოტომეტრის საშუალებით—მიღებული კოლორ-ინდექსებისაგან, ჩვენ გადავწყვიტეთ აღარ გაგვევრცელებინა ასეთი განსაზღვრები ნისლეულთა მეტ რიცხვზე.

ცხრილი I შეიცავს 215 გარეგალაქტიკური ნისლეულის კოლორ-ინდექსებს. ცხრილის მეორე სვეტში მოყვანილია ნისლეულთ ინტეგრალური ფოტოგრაფიული სიდიდეები Shapley და Ames-ის მიხედვით [2], მესამეში—ფოტო-ვიზუალური სიდიდეები, რაც ფოტოგრაფიული სიდიდეებისა და ჩვენი კოლორ-ინდექსების საფუძველზე იქნა გამოთვლილი, მეოთხეში—კოლორ-ინდექსების მნიშვნელობანი ჩვენს სისტემაში და მეხუთეში—ნისლეულთა ტიპები Shapley და Ames-ის მიხედვით.

ცხრილი I TABLE

No. NGC	m_{ph}	m_{vis}	C. I.	ტიპი Type	No. NGC	m_{ph}	m_{vis}	C. I.	ტიპი Type
	m	m	m			m	m	m	
16	13.0	12.6	0.35	—	3412	11.6	10.8	0.81	SBa
23	12.7	12.0	0.67	—	3430	12.4	12.3	0.10	Sc
157	11.1	10.8	0.30	(S) Sc	3445*	12.9	13.1	—0.16	Sc
185	11.8	10.7	1.07	Ep	3448*	12.6	12.7	—0.07	Sc
210	12.5	11.6	0.93	S	3485	12.8	12.3	0.54	S:
227	13.1	12.4	0.72	—	3486	11.4	10.9	0.50	Sc
245	12.9	12.7	0.22	S	3489	11.3	10.5	0.76	Sb
268	13.2	12.9	0.28	—	3504	11.7	11.3	0.36	SBb
278	11.6	11.5	0.10	S	3512	12.8	12.0	0.78	Sc
584	11.6	10.9	0.73	E_3	3556*	11.0	10.4	0.63	Sb
596	12.2	11.2	0.95	E	3593	12.4	11.6	0.84	Sb
615	12.6	12.1	0.50	Sc	3596	12.2	12.0	0.22	Sc
628	11.2	10.3	0.86	Sc	3610*	11.7	11.1	0.57	—
636	12.6	11.6	0.95	E:	3611	12.5	12.2	0.30	—
779	11.8	10.7	1.14	SBc	3613*	12.0	12.6	—0.36	Sc
890	12.7	11.8	0.85	E:	3619	12.8	13.1	—0.35	Sı
936	11.5	10.4	1.10	SBa	3630	12.8	12.3	0.54	S:
941	13.3	12.8	0.50	—	3640	11.6	10.8	0.76	E:
949*	12.8	11.7	1.02	Sb	3664	12.9	12.8	0.09	S:
958	13.0	12.3	0.70	—	3666	12.6	12.1	0.45	Sc
1023*	11.2	9.7	1.54	SBa	3672	11.8	10.0	0.77	Sc
1058*	12.7	11.4	1.29	S:	3683*	13.2	12.6	0.59	—
1179*	13.0	12.2	0.82	—	3690*	12.1	11.8	0.29	S·
1332	11.4	10.2	1.20	Sa	3705	12.2	11.4	0.76	S
1376	12.9	12.3	0.57	S:	3718	12.4	11.8	0.57	SBb
1421	12.0	11.8	0.22	S	3729	13.0	12.4	0.60	—
1461	12.8	12.2	0.60	—	3738*	12.2	12.2	—0.04	I
1600	12.7	12.0	0.73	E_3	3756*	12.5	12.0	0.50	Sc
1625	13.1	12.4	0.73	—	3769	12.5	12.3	0.16	SBc
1667*	12.9	12.0	0.88	S:	3780*	12.6	12.1	0.49	S
1726*	13.0	12.2	0.79	—	3888*	13.0	12.5	0.48	—
2146	11.6	11.0	0.60	S	3898*	12.0	11.1	0.90	Sa
2196	12.6	11.3	1.25	S	3955	12.8	12.3	0.45	SE:
2207	12.3	11.4	0.89	S	3956	12.6	12.2	0.36	(S:)Sb
2223	12.7	11.4	1.29	S	3957	12.9	12.4	0.54	( )Sb
2336	12.4	11.7	0.74	S	3963*	12.7	12.1	0.60	S
2500	12.6	12.2	0.41	S	3981	12.7	12.3	0.35	S
2541	12.7	12.6	0.13	—	3982*	11.8	11.2	0.60	Sc
2655	11.6	10.6	1.00	Sa	3998*	11.6	10.7	0.89	Ep
2681	11.3	10.2	0.82	Sa	4027	11.6	11.2	0.18	S
2712	12.7	12.1	0.56	Sc	4038	11.0	10.7	0.30	S
2732	12.7	12.4	0.32	—	4045	12.8	12.2	0.56	E:
2776	12.2	11.8	0.36	Sc	4062	12.1	11.7	0.40	Sc
2832	12.90	11.8	1.14	E:	4073	13.2	12.4	0.83	—
2859	12.20	11.2	1.04	SBa	4116	12.4	12.3	0.10	S
2986	12.2	11.4	0.92	E:	4123	12.3	11.8	0.46	S
3091	12.7	12.3	0.51	E:	4144	12.4	12.0	0.40	S:
3156	13.1	12.4	0.72	—	4179	11.8	11.0	0.84	E
3162	12.3	12.0	0.26	S	4203	12.0	11.1	0.88	SBa
3166	11.6	10.7	0.88	Sc	4217	11.9	10.5	1.38	S
3169	11.9	11.0	0.92	Sa	4234	13.0	13.1	—0.10	I
3259	12.9	12.4	0.45	S:	4371	12.1	11.3	0.84	SBa
3329*	12.9	11.8	1.12	E	4380	12.8	12.4	0.37	S
3348*	12.1	11.6	0.53	E	4395	11.4	10.5	0.89	Sp
3359	12.2	11.8	0.40	S	4433	12.9	12.7	0.16	(S:)Sb
3395	12.4	12.7	—0.32	Sc	4487	12.0	11.7	0.32	S
3396	12.8	12.9	—0.06	Sc	4490	10.5	9.6	0.95	Sc

ცხრილი I TABLE

No. NGC	m_{ph}	m_{vis}	C. I.	ტიპი Type	No. NGC	m_{ph}	m_{vis}	C. I.	ტიპი Type
	m	m	m			m	m	m	
4504	12.3	12.0	0.34	Sc	5430	12.8	12.4	0.41	SB
4546	11.4	10.7	0.72	E	5468*	12.4	11.9	0.54	S
4592	12.4	12.2	0.22	(S:)Sp	5480	12.6	12.0	0.61	S:
4594	8.1	6.8	1.29	Sa	5523*	12.8	12.2	0.61	S
4597	12.9	12.8	0.09	(S)Sc	5548*	12.9	12.3	0.61	..
4602	12.4	11.5	0.86	S	5566	11.9	10.9	0.96	SBb
4618	11.5	9.8	1.65	I	5574	13.1	12.5	0.60	—
4621	11.4	10.4	1.03	E_5	5576	11.9	11.6	0.28	E
4658	12.4	11.9	0.52	S:	5614*	12.9	12.0	0.81	E:
4660	12.3	11.4	0.93	E_5	5633	12.8	12.3	0.52	Sb
4666	11.3	10.4	0.90	Sc	5645	12.9	12.5	0.35	I:
4684	12.2	11.3	0.90	Sa	5653	12.9	12.2	0.70	E:
4691	11.8	11.6	0.18	(SB:)SBc	5660*	12.3	12.7	—0.38	Sc
4694	12.6	12.0	0.58	(E:)Sb:	5665	12.7	12.0	0.65	S:
4699	10.5	9.4	1.15	SBb	5668	12.4	11.0	1.43	S:
4700	12.2	12.0	0.21	(S:)Sc	5669	12.5	12.1	0.40	S
4736	9.0	7.1	1.88	Sb	5728	12.4	12.0	0.35	S
4742	11.9	11.1	0.83	E	5756	13.1	12.6	0.50	—
4754	12.0	10.8	1.18	SBa	5757	12.6	11.7	0.88	SBb
4760	12.5	11.9	0.56	E	5796	12.8	11.8	1.00	—
4762	11.8	10.6	1.22	Sa	5831	12.7	11.4	1.28	(E:)E
4775	11.6	11.6	0.04	(S:)Sc	5838	12.1	10.8	1.34	S
4781	11.7	11.2	0.51	Sc	5846*	11.6	10.6	0.95	E_0
4786	12.7	11.9	0.80	E	5850*	12.9	12.8	0.08	SB
4790	12.5	12.2	0.31	S	5854*	12.7	12.0	0.70	(S:)Sa
4818	12.1	11.2	0.90	S	5861*	12.4	11.7	0.68	S
4825	12.9	12.0	0.92	E	5864*	12.8	11.8	1.01	(S)Sb
4868*	13.1	12.0	1.07	—	5885	12.4	11.8	0.58	S
4891	13.0	12.8	0.16	Sc	5915	12.5	11.9	0.63	S:
4899	12.7	12.7	0.00	(S:)Sb	5962	12.5	11.9	0.63	S:
4914*	13.0	11.7	1.30	—	5970	12.4	11.7	0.68	S
4928	12.9	12.9	0.01	(S:)Sb	5982	12.5	12.0	0.52	E
4939	12.2	11.4	0.81	S	5984	13.0	12.9	0.05	—
5005*	11.3	9.5	1.82	Sc	5985	12.2	11.6	0.64	Sb
5033*	11.6	10.3	1.33	Sc	6015	12.1	12.0	0.11	S
5077	12.2	11.5	0.70	(E:)E	6181	12.6	12.6	0.00	Sc
5204	12.2	11.6	0.61	S	6207	12.3	12.1	0.19	Sb
5308	12.8	12.1	0.73	E	6217	12.6	11.9	0.70	Sc
5313	13.0	12.3	0.74	—	6239	13.1	12.8	0.30	—
5322	11.6	11.0	0.63	E	6384	12.7	10.9	1.82	S
5326	13.1	12.5	0.60	—	6503	11.4	10.4	0.98	Sc
5350	12.9	11.6	1.35	S	6574	12.7	11.6	1.10	S
5351	13.0	12.4	0.57	—	6643	12.7	11.9	0.80	Sb
5353	12.4	11.8	0.60	—	6814	12.2	11.3	0.92	S
5362	13.2	12.8	0.40	—	7177	12.1	11.3	0.79	Sbc
5371	11.7	10.9	0.76	S	7217	11.6	10.7	0.93	Sa
5380	13.2	12.4	0.80	—	7377	12.7	11.8	0.87	E
5395	13.0	12.2	0.78	—	7619	12.8	11.5	1.25	E_3
5406	13.0	12.6	0.42	—	7626	12.8	11.8	1.00	E_1
5426*	12.8	11.5	1.32	S	7716	13.0	12.4	0.56	E_1
5427*	12.0	11.2	0.70	S					

როგორც შემდეგში ვნახავთ, ჩვენი კოლორ-ინდექსები არ თანხვდებიან ინტერნაციონალურ მნიშვნელობებს. ასე, რომ ფოტოვიზუალური სიდიდეებიც ჩვენს სისტემაშია მოცემული. ზოგიერთი ნისლეულისათვის ტიპები შესწორე-

-ბული იყო ახალი მონაცემების მიხედვით[3]. ასეთ შემთხვევებში ახალი აღნიშვნა მიწერილი აქვს ძველს, რომელიც ფრჩხილებშია მოთავსებული.

§ 2. კოლორ-ინდექსების სისტემა. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა კოლორ-ინდექსების ჩვენი სისტემა, სახელდობრ, მისი შედარებით ინტერნაციონალურ სისტემასთან. ამ შედარებისათვის გამოვიყენეთ პოლარულ ვარსკვლავთა კოლორ-ინდექსების კატალოგი +80°-დან +90°-მდე[4]. გადავიღეთ-რა არე ცენტრით $\alpha=12^h0^m$, $\delta=+85°$, ავარჩიეთ მასზე 45 ვარსკვლავი 8.0 და 11.5 ვარსკვლავიერ სიდიდეებს შორის. კოლორ-ინდექსების განსაზღვრა ზუსტად იმავე წესით ვაწარმოეთ, როგორც ნისლეულებისათვის.

ამოვხსენით-რა 43 პირობითი განტოლება უმცირეს კვადრატთა ხერხით, მივიღეთ ფორმულები

$$\begin{aligned} CI &= 0.63\ CI' + 0.24 \\ CI &= 0.62\ CI' + 0.22 \end{aligned} \tag{2}$$

რომელთაგან პირველი შეეხება განსაზღვრებს მილებიანი ფოტომეტრის გარეშე, ხოლო მეორე—განსაზღვრებს პოლარული მიმდევრობისა და მილებიანი ფოტომეტრის მიხედვით ერთად.

როგორც ვხედავთ, არ არის არსებითი განსხვავება ორ ფორმულას შორის. ჩვენი კოლორ-ინდექსები თანხვდებიან ინტერნაციონალურს, როცა $CI=0.^m65$, პირველ ფორმულის შემთხვევაში, და როცა $CI=0.^m58$, მეორე ფორმულის შემთხვევაში.

ფერის დამოკიდებულება სიდიდეზე არ არის გათვალისწინებული (2) ფორმულებში, მაგრამ ნისლეულისათვის ეს ეფექტი შესწავლილია და სათანადოდ აღრიცხული.

§ 3. მიღებული კოლორ-ინდექსების შედარება სხვა ავტორების კოლორ-ინდექსების მნიშვნელობებთან. პირველ წერილში ჩვენ შევადარეთ გარეგალაქტიკურ ნისლეულთა კოლორ-ინდექსების ჩვენი მნიშვნელობანი Schatteuschneider-ის მნიშვნელობებს და დამაკმაყოფილებელი თანხმობა მივიღეთ[5]. წინამდებარე წერილში ჩვენ ვადარებთ 42 ნისლეულის კოლორ-ინდექსების ჩვენს მნიშვნელობებს Stebbins-ისა და Whitford-ის მნიშვნელობებს[6]. უკანასკნელთა დიდი სიზუსტის გამო ასეთი შედარება განსაკუთრებით საინტერესოა.

შედარებისათვის Stebbins-ისა და Whitford-ის კოლორ-ინდექსები ინტერნაციონალურ სისტემაზე მივიყვანეთ მათ შრომაში მოცემული (3) ფორმულის საშუალებით. ჩვენი კოლორ-ინდექსები კი ზემომოყვანილი (2) ფორმულების მეორე სახის საშუალებით მივიყვანეთ იმავე ინტერნაციონალურ სისტემაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, (2) ფორმულები არ ამჟღავნებენ ფერის დამოკიდებულებას სიდიდეზე ვარსკვლავებისათვის,—მაგრამ ნისლეულთა კოლორ-ინდექსებისათვის ეს დამოკიდებულება არსებობს. ამიტომ, ვიდრე ჩვენ კოლორ-ინდექსებს ინტერნაციონალურ სისტემაზე მივიყვანდით (2)-ის საშუალებით, როგორც ეს მოცემულია II ცხრილში, წინასწარ ვათავისუფლებდით დამზერილ მნიშვნელობას სიდიდის ეფექტისაგან.

ცხრილი II TABLE

No. NGC	C. I. St.Wh.	C. I. Vash.	No. NGC	C. I. St.Wh.	C. I. Vash.
	m	m		m	m
224	0.87	0.78	4472	0.81	0.81
584	0.73	0.63	4473	0.63	0.69
936	0.86	0.83	4478	0.79	0.66
1400	0.50	0.72	4486	0.94	0.90
1407	0.94	0.87	4490	0.52	0.74
1637	0.58	0.70	4536	0.10	0.66
2681	0.52	0.66	4550	0.71	0.73
2859	0.76	0.79	4552	0.94	0.86
3166	0.68	0.69	4559	0.08	0.62
3169	0.71	0.72	4569	0.42	0.67
3486	0.13	0.45	4579	0.68	0.83
3504	0.58	0.37	4621	0.89	0.79
3521	0.52	0.77	4647	0.63	0.47
3626	0.58	0.76	4649	0.97	0.83
4192	0.66	0.75	4660	0.83	0.73
4254	0.31	0.53	4666	0.29	0.71
4270	0.52	0.73	5757	0.81	0.69
4281	0.76	0.76	5846	0.47	0.74
4406	0.76	0.82	7177	0.55	0.64
4414	0.42	0.64	7217	0.84	0.73
4435	0.76	0.65	7619	0.89	0.70

II ცხრილში მოცემულია ჩვენი კოლორ-ინდექსების შედარება Stebbins-ისა და Whitford-ის კოლორ-ინდექსებთან 42 საერთო ნისლეულისათვის. სინამდვილეში საერთო ნისლეულთა რიცხვი მეტია, მაგრამ თითქმის მათი ერთი მესამედისათვის Stebbins-ი და Whitford-ი არ იძლევიან კოლორ-ინდექსების მნიშვნელობებს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყოველივე გადასვლა ერთი სისტემიდან მეორეში დამძიმებულია გარდუვალი შეცდომებით, თანხმობა, რომელსაც ცხრილი II გვიჩვენებს, დამაკმაყოფილებელია.

§ 4. ველის ცდომილება. ჩვენ შევისწავლეთ ველის ცდომილება Schmidt-ის კამერისათვის, რათა გვენახა თუ როგორი გავლენა შეუძლია მოახდინოს მან კოლორ-ინდექსების განსაზღვრაზე. რაკი Schmidt-ის კამერა თავისუფალია სფერული და ქრომატული აბერაციისაგან და კომასა და ასტიგმატიზმისაგან, თითქოს არ უნდა მოველოდეთ ველის ცდომილებას, მაგრამ ამ კამერის ველი ვინიეტირებას განიცდის ცენტრიდან ორი გრადუსის ტოლი მანძილიდან მოყოლებული და ამით გამოწვეულ სინათლის დანაკარგს განვიხილავთ როგორც ველის ცდომილებას. შეიძლება უფრო სწორი ყოფილიყო ამ პარაგრაფისათვის მიგვეცა სათაური: „ვინიეტირებით გამოწვეული სინათლის დანაკარგის აღრიცხვა“, მაგრამ განსახილველ ცდომილებაში შეიძლება შედიოდეს კიდევ კასეტის არა იდეალური ცენტრირებისა და სხვათა გავლენა. ამიტომ ყველა მათ შეერთებულ ეფექტს საერთოდ ვუწოდებთ ველის ცდომილებას. ვინიეტირებით გამოწვეული დანაკარგი სინათლისა ხელსაწყოს ოპტიკური დამახასიათებლების მიხედვითაც შეგვიძლია გამოვითვალოთ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ველის ცდომილების შესწავლის მიზნით ცის გარკვეული არე

რამდენჯერმე გადავიღეთ ერთსადაიმავე აფსკაზე, გადავადგილებდით-რა კამე-
რას ისე, რომ მიგვეღო ერთსადაიმავე ვარსკვლავების რამდენიმე გამონასახის
ჯაჭვები, სადაც ერთი გამონასახი მეორეს 5.5 მილიმეტრით არის დაცილებუ-
ლი. ასეთი ჯაჭვები ანუ გამონასახთ მიმდივრობანი მიღებული იყო როგორც
პირდაპირი აღვლენებისა, ისე დახრილობათა მიმართულებით. ეს ფოტოაფსკე-
ბი სტანდარტიზებულნი იყვნენ მილებიანი ფოტომეტრის საშუალებით და გამ-
ჟღავნებულნი ერთდროულად პოლარული მიმდევრობის აფსკებთან ერთად.

Schmidt-ის კამერის ოპტიკური დამახასიათებელნი შემდეგია: სფერუ-
ლი სარკის დიამეტრი 17.″3 ანუ 444 *mm*; საკორექციო ლინზის დიამეტრი
14.″2 ანუ 360 *mm*; სფერული სარკის ფოკუსის მანძილი 620 *mm* და ამგვარად
მასშტაბი უდრის 1.°08 ერთ სანტიმეტრში.. ასეთი კამერა გვაძლევს არავინიეტი-
რებულ ველს რადიუსით $\alpha=1°55'$. ამგვარად ჩვენი ხელსაწყოს ველი ცდომი-
ლებისაგან თავისუფალი შეგვიძლია ჩავთვალოთ 4°-ის დიამეტრის ფარგლებში.
საკმარისია შევამციროთ საკორექციო ლინზის დიამეტრი 13″ ანუ 330 *mm*-მდე,
რომ არავინიეტირებული ველი გაფართოვდეს 5°-მდე და ამ შემთხვევაში ჩვენი
ნეგატივების მხოლოდ ნაპირები განიცდიან ვინიეტირებას. ვარსკვლავთ ფოტო-
მეტრიისათვის სასურველია სწორედ ასე მოვიქცეთ, ე. ი. შევამციროთ საკო-
რექციო ლინზის დიამეტრი. რადგანაც ჩვენი მრგვალი აფსკის დიამეტრი 8
სანტიმეტრია, იგი 50 კვადრატულ გრადუსს გადაჰფარავს. აქვე აღვნიშნავთ,
რომ აფსკის მრგვალი ფორმა ერთგვარ უხერხულებას ჰქმნის მასალის დამუშა-
ვების დროს.

ზემომოყვანილი მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი იყო სინათლის
დანაკარგი ვარსკვლავიერ სიდიდეებში ცენტრიდან სხვადასხვა მანძილზე. ამ
გამოთვლების შედეგები აქვეა მოყვანილი:

$$\alpha=2°20' \quad 3°0' \quad 3°30' \quad 4°0'$$
$$\Delta m=0^m007 \quad 0^m03 \quad 0^m05 \quad 0^m09$$

Δm-ის გამოთვლისას მიჩნეული გვქონდა, რომ ვინიეტირება გამონასახის
წრეს სეგმენტებს ჩამოჰკვეთს და ჩვენ ვითვლიდით სეგმენტების ფართს α-ს
მოყვანილი მნიშვნელობებისათვის, შემდეგ ჩვეულებრივი გზით გამოვთვლიდით
სინათლის დანაკარგს ვარსკვლავიერ სიდიდეებში. როგორც ჩანს, სინათლის
დანაკარგი ვარსკვლავიერი სიდიდის მხოლოდ ერთ მეათედს აღწევს ნეგატივის
ნაპირებზე. თუ გავიხსენებთ კოლორ-ინდექსების განსაზღვრის ჩვენს ხერხს, რო-
მელშიაც ორი გამონასახი—ლურჯი და ყვითელი—ერთმანეთს დაშორებიან არა
უფრო მეტად, ვიდრე 1 *mm*, მაშინ ცხადი იქნება, რომ დიფერენციალური გან-
სხვავება სინათლის დანაკარგში არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდეს კო-
ლორ-ინდექსების სიდიდეებზე.

ქვემოთ, III ცხრილში მოყვანილია სინათლის დანაკარგის ის მნიშვნელო-
ბანი, რომელნიც ფოტოგრაფიული გზით მივიღეთ. უკანასკნელნი უფრო სან-
დონი არიან ვიდრე გამოთვლების შედეგები.

ცხრილი III TABLE

ρ_m	α	Δm_1	Δm_2
		m	*m*
0 *mm*	0° 0′	0.00	0.00
5	0 32	0.00	0.00
10	1 05	0.00	0.00
16	1 44	0.00	0.00
22	2 23	0.03	0,025
		±.02	±.007
28	3 02	0.10	0.038
		±.03	±.008

გასაზომად უპირატესად ისეთი ვარსკვლავები იყო არჩეული, რომელთა
გაზომვა ადვილია მიკროფოტომეტრის სამუშაო დიაფრაგმაში და, რომელნიც
განლაგებულნი არიან ცენტრიდან ნეგატივის კიდეებისაკენ.

ცხრილი III-ის პირველ სვეტში მოცემულია მანძილი ρ მილიმეტრებში,
მეორეში—α კუთხურ ერთეულებში, მესამეში და მეოთხეში—სინათლის დანა-
კარგები ვარსკვლავიერ სიდიდეებში Δm_1 და Δm_2, უკანასკნელთაგან პირველი
მიღებულია პოლარული მიმდევრობისა, ხოლო მეორე—მილებიანი ფოტომეტ-
რის საფუძველზე. ეს მონაცემები მოყვანილია 3°-მდე, რადგანაც ამ ზომამდე
კლებულობს გამოსადეგი ველი ფილტრების გამოყენების დროს. ცხრილიდან
ჩანს, რომ $\alpha=2°$-მდე ადგილი არა აქვს სინათლის დაკარგვას, რასაც გამო-
თვლაც ადასტურებს. გამოთვლილი მნიშვნელობანი Δm უფრო მეტად Δm_2-ს
უახლოვდებიან, ვიდრე Δm_1-ს. ასეა თუ ისე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყვე-
ლა ეს მნიშვნელობა მცირეა და მათ არ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კო-
ლორ-ინდექსებზე. გარდა ამისა, ისინი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მიკროფო-
ტომეტრით გაზომვის ცდომილებაა. უნდა აღინიშნოს, რომ გარეგალაქტიკურ
ნისლეულთა ფოტომეტრიის დროს ჩვენ ყოველთვის ვრჩებოდით $\alpha=2°$-ის ფარ-
გლებში. Δm-ის სიმცირის გამო ჩვენ აღარ წარმოგვიდგენია ეს ცდომილება
როგორც მანძილის მაჩვენებელიანი ფუნქცია $\Delta m=\rho^n$.

§ 5. ეფექტური ტალღის სიგრძეების განსაზღვრა. რო-
გორც წინა წერილში იყო აღნიშნული, ნისლეულთა კოლორ-ინდექსების გან-
საზღვრისას Schott-ის BG_3 და GG_{11} ფილტრებით ვსარგებლობდით იზოპან-
ქრომულ ფოტოაფსკებთან კომბინაციაში.

ჩვენი შემდგომი ამოცანებისათვის აუცილებლად საჭიროა გამოვითვალოთ
ამ კომბინაციის ეფექტური ტალღის სიგრძეები. ცხადია, რომ უკანასკნელნი
ხელსაწყოს ოპტიკაზეც არიან დამოკიდებულნი. ამის გამო ეფექტური ტალღის
სიგრძეების გამოკვლევა ისე ვაწარმოეთ, რომ აღრიცხული ყოფილიყო სინათ-
ლის დანაკარგი სფერული სარკის მოვერცხლილ ზედაპირზე და საკორექციო
ლინზშიაც.

ჩვენ ვისარგებლეთ Zeiss-ის მონოქრომატორით, რომელსაც მინის ოპ-
ტიკა აქვს. მონოქრომატორი აღჭურვილია საკასეტო ნაწილით. უკანასკნელის
გადაადგილებით შესაძლებელია რამდენიმე გამონასახის მიღება ერთ ნეგატივ-
ზე. დისპერსია გამოიხატება 75Å-ით 1 მილიმეტრზე $H\gamma$-ს მახლობლობაში. ცე-

ლოსტატს ალუმინებული ბრტყელი სარკე წარმოადგენდა. ფოტოგრაფირება წარმოებდა ორ დღეს, იმ მომენტებში, როცა მზე ახლო იყო მერიდიანთან. ამგვარად მივიღეთ ხუთი ნეგატივი იმავე რულონის აფსკის ნაჭრებიდან, რომელსაც გამოსაკვლევ არეებისათვის ვხმარობდით. თითოეულ ნეგატივზე ოთხიდან შვიდ გამონასახამდე მივიღეთ უფილტროთ და ფილტრებით. ზოგიერთ ნეგატივზე მიღებული იყო აგრეთვე ისეთი გამონასახები, რომელთა შექმნაში მოვერცხლილი სარკეები მონაწილეობდნენ, რომელთაც ცელოსტატსა და მონოქრომატორს შორის ვდგამდით. საკორექციო ლინზის გავლენაც იყო აღრიცხული, რისთვისაც ზოგიერთი ნეგატივის მიღებისას ვათავსებდით მას სინათლის სხივის გზაზე. გარდა ამისა მივიღეთ აგრეთვე ენერგიის განაწილება ნებისმიერ ერთეულებში თერმოელემენტის საშუალებით.

სინათლის წყაროდ გამოყენებული იყო მზე, რადგანაც გარეგალაქტიკური ნისლეულები სპექტრის მიხედვით უმეტესად G-კლასის ვარსკვლავებს უახლოვდებიან.

სტანდარტიზაცია მილებიანი ფოტომეტრის საშუალებით ხდებოდა.

მიღებული მასალა გაზომილი იყო მიკროფოტომეტრზე. სპექტრის მთელ სიგრძეზე λ 3800-დან λ 6600-მდე არჩეული იყო 26 წერტილი, რომელნიც დაახლოებით ერთნაირად იყვნენ დაშორებულნი ერთი მეორეს: რაკი ჩვენი სპექტრები პრიზმით იყვნენ მიღებულნი, ფოტოგრაფიულ ნაწილში მეტი წერტილი გაიზომა, ვიდრე ვიზუალურში.

მას შემდეგ, რაც მიღებული იყო ყოველი წერტილისათვის ინტენსიობა I, უკანასკნელი გათვლილი იყო 1 ანგსტრემზე; ასევე მოვექეცით იმ ინტენსიობებს, რომელნიც მივიღეთ თერმოელემენტის გამოყენებით.

უწინარეს ყოვლისა განვიზრახეთ გამოგვერკვია სინათლის დანაკარგი ვერცხლის ფილმში და საკორექციო ლინზში. აღვნიშნოთ მოცემული წერტილის ინტენსიობა ასოთი I, მისი ინტენსიობა, როცა სხივის გზაზე სარკეა მოთავსებული იყოს I_1, ხოლო როცა საკორექციო ლინზია—I_2.

ვერცხლის ფილმში სინათლის დანაკარგის კოეფიციენტს ვთვლიდით ტოლად $k=\sqrt{\frac{I}{I_2}}$, რადგანაც სხივის გზაზე ორ სარკეს ვათავსებდით, ხოლო საკორექციო ლინზის შესაბამი დანაკარგის კოეფიციენტს $k_1=\frac{I}{I_2}$. ანალოგიურად შეგვიძლია აღვნიშნოთ I_{ph}, I_{vis} და I_t საშუალებით წერტილების ინტენსიობანი, როცა შეწოგვყავს ფოტოგრაფიული და ვიზუალური ფილტრები და თერმოელემენტი, შესაბამისად. ფარდობანი $\frac{I_{ph}}{I_t}$ და $\frac{I_{vis}}{I_t}$ შეგვიძლია ჩავთვალოთ ფერადი ფილტრების გამტარიანობის კოეფიციენტებად და აღვნიშნოთ σ'_{ph} და σ'_{vis}. იმისათვის, რომ მივიღოთ გამტარიანობის კოეფიციენტების საბოლოო მნიშვნელობანი, σ'_{ph} და σ'_{vis} უნდა გავამრავლოთ ჩვენი კამერის სფერული სარკისა და საკორექციო ლინზისათვის ზემოთ აღნიშნულ კოეფიციენტებზე:

$$\sigma_{ph}=\sigma'_{ph}\cdot k_{ph}\cdot k'_{ph} \text{ და } \sigma_{vis}=\sigma'_{vis}\cdot k_{vis}\cdot k'_{vis}$$

აგებულ მრუდებს $\sigma_{ph}(\lambda)$ და $\sigma_{vis}(\lambda)$ არა აქვთ მკაფიოდ გამოხატული მაქსიმუმები და ამიტომ გადავწყვიტეთ პირველ რიგში მოგვეძებნა საშუალო ტალღის სიგრძე

$$\bar{\lambda}_{ph}=\frac{\int_0^{\infty}\lambda\cdot b_{\lambda T}\cdot\sigma_{ph}\cdot d\lambda}{\int_0^{\infty} b_{\lambda T}\cdot\sigma_{ph}\cdot d\lambda} \tag{3}$$

სადაც $b_{\lambda T}$ შავი სხეულის სპექტრული ენერგეტიკული სიკაშკაშის შეფარდებითი მნიშვნელობაა სხვადასხვა ტემპერატურისათვის. უკანასკნელი ამოვიღეთ G. Ribaud-ის წიგნიდან [7]. საშუალო ტალღის სიგრძეების მნიშვნელობანი, რომელნიც (3) ფორმულის საშუალებით გამოვითვალეთ, IV ცხრილშია მოცემული.

ცხრილი IV TABLE

T	λ^c_{ph}	λ^c_{vis}	λ^{ph}_{eff}	λ^{vis}_{eff}
6000°	4147Å	5326Å	4060Å	5400Å
8000	4137	5310		
10000	4133	5299		
12000	4130	5295		
14000	4127	5293		
16000	4126	5286		

გამოთვლისათვის (3) ფორმულა მიყვანილი იყო, როგორც ეს მიღებულია, შემდეგ სახეზე:

$$\lambda_{ph}=\frac{\Sigma\lambda b_{\lambda T}\sigma_{ph}}{\Sigma b_{\lambda T}\sigma_{ph}} \tag{3'}$$

საშუალო ტალღის სიგრძეები განსაზღვრული იყო ორი ნეგატივის საფუძველზე ალბათი ცდომილებით ± 30Å ფოტოგრაფიული სხივებისათვის და ± 15Å ვიზუალურისათვის. ეს მონაცემები ეკუთვნიან T$=6000°$-ის შესაბამ $b_{\lambda T}$-ს მნიშვნელობებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უგულვებელვყავით Purkinje-ს ეფექტი, ცდომილებათა მოყვანილი მნიშვნელობანი თითქმის უნდა გავაორკეცოთ და საბოლოოდ დავწეროთ:

$$\bar{\lambda}_{ph}=4120\pm 60\text{Å} \qquad \bar{\lambda}_{vis}=5326\pm 30\text{Å}$$

ეფექტური ტალღის სიგრძე მოცემული ტემპერატურისათვის შეიძლება გამოვსახოთ ისე, როგორც ეს Ribaud-ს აქვს მოყვანილი:

$$\lambda_{eff}=\frac{\int_0^{\infty} b_{\lambda T}\cdot V\lambda\cdot\tau_\lambda\cdot d\lambda}{\int_0^{\infty} b_{\lambda T}\cdot\frac{1}{\lambda}\cdot V\lambda\cdot\tau_\lambda\cdot d\lambda} \tag{4}$$

აქ V_λ ხილვადობის შეფარდებით ფაქტორს აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, როცა მიმღებს ადამიანის თვალი წარმოადგენს, ხოლო როცა მიმღები ფოტოფირფიტაა, მაშინ იგი მგრძნობიერების შეფარდებითი ფაქტორია. ორივე შემთხვევაში

$$V_\lambda = \frac{I_\lambda}{I_0}$$

სადაც I_0 მაქსიმალური ინტენსიობაა, ხოლო I_λ —ინტენსიობა მოცემული წერტილისათვის. τ_λ (4) განტოლებაში მოცემული ფილტრის გამჭვირვალობის კოეფიციენტია. V_λ ჩვენი ფოტოაფსკისათვის ჩვენვე განვსაზღვრეთ. τ_λ-ს მნიშვნელობანი ფირმის კატალოგიდან ავიღეთ, ხოლო $b_{\lambda T}$-ს მნიშვნელობანი წინანდელივით Ribaud-ს წიგნიდან (ცხრ. № 68). გამოთვლებმა მოგვცა 6000° ტემპერატურის მქონე აბსოლუტურად შავი სხეულის შესაბამი შემდეგი ტალღის სიგრძეები:

$$\lambda_{eff}^{ph} = 4070 \pm 60\text{Å} \qquad \lambda_{eff}^{vis} = 5400 \pm 30\text{Å}$$

ნახ. 1, რომელზედაც წარმოდგენილია ერთი ჩვენი ნეგატივი, გვიჩვენებს თუ როგორ მკვეთრად არიან ერთი მეორისაგან განცალკევებულნი სპექტრის ფოტოგრაფიული და ვიზუალური ნაწილები ფილტრების გამოყენების წყალობით.



ნახ. 1 Fig.

ნახ. 1-ზე 1) წარმოადგენს სპექტრს უფილტრებოთ, 2) და 3) ფილტრით BG_3 და 4) და 5) ფილტრით GG_{11}.

ჩვენ შევეცადეთ ყურადღება მიგვექცია ეფექტური ტალღის სიგრძის ფილტრის ტემპერატურაზე დამოკიდებულებისათვის, მით უფრო, რომ ჩვენ მთიან რაიონში ღამის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა დიდ მნიშვნელობებს აღწევს. Hyde, Cady და Forsythe-მა[8] გამოიკვლიეს ეს დამოკიდებულება წითელი მინისათვის F 4512 და ნახეს, რომ ტემპერატურის ცვლილებისას +20°-დან +80°-მდე λ_{eff} იცვლება 70Å-ის ფარგლებში, ანუ 1Å-ით ერთ გრადუსზე, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი ფილტრები ასეთსავე გავლენას განიცდიან, მაშინ λ_{eff}-ის ცვლილებამ ჩვენს შემთხვევაში 40Å-ს უნდა მიაღწიოს, რამდენადაც ჩვენთან ამპლიტუდა თითქმის 40Å-ს აღწევს. როგორც ცხრილი IV-დან ჩანს, აბსოლუტურად შავი სხეულის ტემპერატურის 6000°-დან 16000°-მდე ცვლილებისას საშუალო ტალღის სიგრძე იცვლება 40Å-ით, ე. ი. სინათლის წყაროს ტემპერატურის ცვლილების გავლენა ეფექტური ტალღის სიგრძეზე იმავე რიგისაა, როგორც თვით ფილტრების ტემპერატურის ცვლილების გავლენა.

ჩვენ გამოვთვალეთ როგორი ცდომილება შეუძლია შექმნას ჩვენს განსაზღვრებში λ_{eff}-ის აღნიშნული მიზეზით გამოწვეულმა ცვლილებამ. ამისათვის ვისარგებლეთ ფორმულით:

$$\Delta m = -2.5 \lg \frac{b_{\lambda T}}{b_{\lambda_1 T}}$$

სადაც

$$b_{\lambda T} = c_1 \lambda^{-5} \left(e^{\frac{c_2}{\lambda T}} - 1 \right)$$

გამოირკვა, რომ იმ შემთხვევაში, როცა აბსოლუტურად შავი სხეულისათვის გვაქვს $T = 6000°$, ეს ცვლილება აღწევს $0^m.01$-ს.

აღნიშნული ცდომილება მოქცეულია კოლორ-ინდექსების ჩვენი განსაზღვრების სიზუსტის ფარგლებში.

მას შემდეგ, რაც λ_{eff} მივიღეთ, შეგვიძლია ჩვენი კოლორ-ინდექსები გრადიენტებში გადავიყვანოთ შემდეგი ფორმულების საფუძველზე:

$$G = 0.921 \frac{d\Delta m}{d\left(\frac{1}{\lambda}\right)} = 0.921 \frac{CI}{\frac{1}{\lambda_{ph}} - \frac{1}{\lambda_{vis}}}$$

ანუ

$$G = k \cdot CI \tag{5}$$

გამოთვლამ მოგვცა $k = 1.51$. უკანასკნელის საშუალებით უნდა გადავიყვანოთ ჩვენი კოლორ-ინდექსები აღნიშნული ტალღის სიგრძეების შესაბამ გრადიენტებში.

§ 6. ფერის განტოლება. ფერის განტოლების გამოსაყვანად პოლარული მიმდევრობით ვისარგებლეთ. ავაგეთ-რა თეთრი ვარსკვლავებისათვის მახასიათებელი მრუდები, უკანასკნელთა საფუძველზე მივიღეთ წითელი ვარსკვლავების ვარსკვლავიერი სიდიდეები. შევადგინეთ-რა სხვაობები გამოთვლილსა და სტანდარტულ სიდიდეებს შორის, თითოეული ვარსკვლავისათვის მივიღეთ რამდენიმე პირობითი განტოლება $x \cdot CI = \Delta m$ სახისა, რომელთა ამოხსნამ უმცირეს კვადრატთა ხერხით მოგვცა ორი განტოლება ფოტოგრაფიული და ვიზუალური სხივებისათვის, შესაბამისად:

$$m_{ph} = m'_{ph} - 0.37 \cdot CI \tag{6}$$
$$\pm 0.024$$
$$m_{vis} = m'_{vis} + 0.019 \cdot CI \tag{7}$$
$$\pm 0.033$$

სადაც m_{ph} და m_{vis} ჩვენი სიდიდეებია, ხოლო m'_{ph} და m'_{vis} ინტერნაციონალური,

მეტი სიზუსტისათვის პოლარული მიმდევრობის 8 ფოტო გამოვიყენეთ; ესენი სხვადასხვა ღამეს იყვნენ მიღებულნი. ცხადია, რომ x-სთვის სხვადასხვა მნიშვნელობას ვღებულობდით და მისი საშუალო არითმეტიკულისათვის საშუალო კვადრატული ცდომილება გამოვითვალეთ. უკანასკნელი მიწერილი აქვს სათანადო კოეფიციენტს (6) და (7) განტოლებებში.

ცხადია, რომ (6) და (7)-ის გამოყენებით შეგვიძლია მივიღოთ ჩვენი სკალის დამოკიდებულება ინტერნაციონალურთან. გამოვაკლებთ-რა (6)-დან (7)-ს, მივიღებთ

$$CI = CI' - CI \cdot 0.39 \qquad (8)$$
$$CI = 0.72 \cdot CI'$$

(8) ტოლობა, რომელიც ჩვენი კოლორ-ინდექსების ინტერნაციონალურ სისტემაში გადაყვანისათვის გვემსახურება, საკმაოდ კარგ თანხმობაშია (2)-თან, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სხვა გზით იყო მიღებული.

თანხმობა უკეთესი იქნებოდა, (8) ფორმულას რომ მუდმივი წევრი ჰქონოდა. მივიღებთ-რა მხედველობაში, რომ (6) და (7) ვარსკვლავთა მცირე რიცხვს ემყარებიან, უპირატესობა უნდა მივაკუთვნოთ (2) ფორმულას, რომელსაც გამოვიყენებთ ინტერნაციონალურ სისტემაზე მიყვანისათვის.

როგორც ჩანს (6) და (7)-დან, ფოტოგრაფიული სხივებისათვის კოეფიციენტს საკმაოდ სანდო მნიშვნელობა აქვს და მისი ალბათი ცდომილება მცირეა მის სიდიდესთან შედარებით. ვიზუალური სხივების შემთხვევაში კოეფიციენტი მცირეა და ალბათი ცდომილება აჭარბებს თვით კოეფიციენტს. აქედან დავასკვნით, რომ ვიზუალური სიდიდეები—ფოტოგრაფიული სიდიდეების საწინააღმდეგოდ—არ მოითხოვენ შესწორებას ფერზე.

მაშასადამე, ფოტოგრაფიულ სიდიდეებს საკმაოდ დიდ შესწორებებს ვაძლევთ (6)-ის მიხედვით.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი კოლორ-ინდექსები მონოტონურად იზრდებიან ნისლეულთა ფერის ჭეშმარიტ ზრდასთან ერთად. ფორმულა (8) გვიჩვენებს, რომ ჩვენი კოლორ-ინდექსები მით უფრო გაზვიადებულად მეტია, რაც მეტია კოლორ-ინდექსების ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ასეა თუ ისე, ჩვენ მიგვყავს ისინი ინტერნაციონალურ სისტემაზე (2)-ის საშუალებით.

პოლარული ვარსკვლავების მიხედვით მახასიათებელი მრუდის აგებისას ფერის განტოლებას მხედველობაში არ ვღებულობდით და მრუდს ვატარებდით როგორც საშუალოს დიაგრამაზე დასმულ წერტილებისათვის.

§ 7. შედარება Shapley-ის და Ames-ის სიდიდეებთან. ჩვენს კატალოგში, რომელიც, როგორც ვთქვით, სამ წერილშია მოთავსებული, წინამდებარე წერილის ჩათვლით, Shapley-ის ფოტოგრაფიული სიდიდეები გვაქვს მოყვანილი, რადგანაც ესენი უფრო მეტად სანდოდ მიგვაჩნდა, ხოლო მათგან კოლორ-ინდექსების გამოკლებით ფოტოვიზუალურ სიდიდეებს ვღებულობდით და მოგვყავდა კიდეც.

იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია რა სიზუსტით განისაზღვრება ჩვენი სიდიდეები და ხომ არა აქვთ მათ სისტემატური სვლა, ნისლეულის სიკაშკაშესთან დაკავშირებული, 116 ნისლეულისათვის მოვახდინეთ შედარება ჩვენსა და Shapley, Ames-ის სიდიდეებს შორის. წინასწარ ჩვენი სიდიდეები შევასწორეთ ზენიტურ მანძილზე და ფერის ცდომილებაზე.

არ შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი სიდიდეები მკაცრად ინტეგრალურ სიდიდეებად, რადგანაც ჩვენ ვერ აღვრიცხავთ ნისლეულის მთელ ზედაპირს. ეს შეეხება განსაკუთრებით *Sa*, *Sb* და *Sc* ტიპის კაშკაშა ნისლეულებს. მათი ელიფსურობისა და განფენილობის გამო არ ხერხდება მათი მოთავსება მიკროფოტომეტრის საზომ დიაფრაგმაში. აქედან a priori უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი მნიშვნელობანი, განსაკუთრებით კაშკაშა ნისლეულებისათვის, უფრო მკრთალნი არიან ვიდრე Shapley, Ames-ისა, რომელნიც ინტეგრალურ სიდიდეებად ითვლებიან.

ნათქვამი დასტურდება აღნიშნული შედარებით, რომლის შედეგები აქვე მოგვყავს:

	Δm	
$\leqq 11^m\!.0$	$-0^m\!.20$	(11)
$11^m\!.1-12.0$	-0.25	(32)
$12.1-13.2$	-0.06	(73)

Δm ნიშნავს სხვაობას Shapley, Ames-ისა და ჩვენს სიდიდეებს შორის. კაშკაშა ნისლეულთათვის ეს სხვაობა დიდია. მკრთალ ნისლეულებისათვის ჩვენი მნიშვნელობანი Shapley, Ames-ის მნიშვნელობებს უახლოვდებიან.

§ 8. ნისლეულთა განაწილება სიდიდეებისა და ტიპების მიხედვით. ჩვენი კატალოგი მთლიანად 510 ობიექტს შეიცავს 13.2 ვარსკვლავიერ სიდიდემდე*. კარგი იქნებოდა ნისლეულთა მეტი რაოდენობა

ცხრილი V TABLE

m \ ტიპი Type	E	Sa, SBa	Sb, SBb	Sc SBc	S, S:	*I*	უცნობი ტიპი Unknown type	ყველა ტიპები All types
$\leqq 10^m\!4$	1	2	4	3				12
$10^m\!5-10^m\!6$	2		2	3				7
.7— .8	4	1	2	1				8
.9—11.0	4		1	3	1			9
11.1—11.2		1		7	1	1		10
.3— .4	5	4	5	5	3	1		23
.5— .6	11	8	1	5	6	1		32
.7— .8	5	6	5	6	7		1	30
.9—12.0	4	8	8	6	8			34
12.1—12.2	6	10	6	9	15	3	2	51
.3— .4	2		4	7	22	3		38
.5— .6	17	3	4	13	19		1	57
.7— .8	28	5	9	7	38	3	10	100
.9—13.0	13	1		1	21	1	30	67
$\geqq 13.1$	4		1		1		26	32
ჯამი Total	106	50	51	76	142	15	70	510

* განზრახული გვაქვს ბიულეტენის შემდეგ ნომერში დამატებით მოვიყვანოთ გალაქტიკის სიბრტყის მახლობლად მდებარე რამდენიმე ათეული გარეგალაქტიკური ნისლეულის კოლორ-ინდექსები.

გვქონოდა, მაგალითად, ათასამდე, მაგრამ ამისათვის ცის სამხრეთ ნაწილში უნდა გვემუშავნა, რაც ჩვენს პირობებში ძნელია და მოუხერხებელი.

ცხრილი V, რომელიც შეიცავს 510 ნისლეულის განაწილებას სიდიდეებისა და სპექტრების მიხედვით, გვიჩვენებს, რომ ჩვენს კატალოგში ჭარბობენ S, S: და E ტიპის ნისლეულები, ხოლო სიდიდეების მიხედვით ნისლეულთა უმრავლესობა 12^m—13^m ინტერვალში იმყოფება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი კატალოგი, შედარებით Shapley-ს და Ames-ის კატალოგთან, ყველა სიდიდეებისათვის ერთნაირად შეუვსებელია დახრილობის $-20°$-დან $+90°$-მდე და იგი სრულიად არ შეიცავს ნისლეულებს $-20°$-ის სამხრეთით.

§ 9. ნისლეულის კოლორ-ინდექსის დამოკიდებულება სიდიდეზე. ამ დამოკიდებულებას ცხრილი VI ცხადჰყოფს. როგორც ვხედავთ, ნისლეულის ფერი ძლიერ არის დამოკიდებული მის სიკაშკაშეზე. მაგრამ (2), (6) და (7) განტოლებებში არ შეგვყავდა სიდიდეზე დამოკიდებული წევრი, მისი სიმცირის გამო. მიზეზი იმისა, რომ ვარსკვლავთათვის ეს დამოკიდებულება მცირეა, ხოლო ნისლეულთათვის—დიდი, შეიძლება იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, პირველნი წერტილოვანი, ხოლო მეორენი—განფენილი გამონასახები არიან და გაზომვის ტექნიკა თავის გავლენას ახდენს გაზომვის შედეგზე; მეორეც—ნისლეულის ჭეშმარიტი ფერი იცვლება მისი ზედაპირის გასწვრივ. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ხვია ნისლეულთათვის. ვარსკვლავებისათვის კი ასეთი მოვლენა გამორიცხულია. ცხრილში მოყვანილი კოლორ-ინდექსები ჩვენს სისტემას ეკუთვნიან. ბრჩხილებში მოცემულია ნისლეულთა რიცხვი.

ცხრილი VI TABLE

m	E, E:	Sa, SBa Sb, SBb	Sc, SBc, S, S:, I Sc, SBc, S, S:, I
$<11^m$	$1^m\!.18$ (11)	$1^m\!.23$ (11)	$0^m\!.84$ (10)
$11^m\!.0$—$11^m\!.4$	1.07 (8)	0.90 (14)	0.82 (22)
11.5—11.9	0.92 (18)	0.90 (30)	0.73 (33)
12.0—12.4	0.85 (8)	0.82 (33)	0.58 (70)
>12.5	0.81 (63)	0.66 (30)	0.61 (180)

ამ ცხრილის მიხედვით სათანადო მრუდები ავაგეთ (ნახ. 2) ცალკე E, E: და Sa, Sb, SBa და SBb ტიპებისათვის. როგორც ვხედავთ ესენი გარკვეულ კანონზომიერებას გვიჩვენებენ. მას შემდეგ, რაც შევასწორეთ ჩვენი კოლორ-ინდექსები სიდიდეებზე და მივიყვანეთ ინტერნაციონალურ სისტემაზე, სხვა ცხრილები შევადგინეთ, რომელნიც საფუძვლად დაუდეთ დისკუსიას.



ნახ. 2 Fig.

§ 10. კოლორ-ინდექსის დამოკიდებულება ნისლეულის ტიპზე. როგორც სხვადასხვა სპექტრული კლასის ვარსკვლავების შემთხვევაში, ისე სხვადასხვა ტიპის ნისლეულებისათვის, კოლორ-ინდექსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგრამ, ვარსკვლავთათვის ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც სპექტრული კლასების სხვადასხვაობა დაკავშირებულია ვარსკვლავთ სპექტრებში ენერგიის განაწილების სხვადასხვაობასთან. ნისლეულებისნაირსახეობა კი მხოლოდ მათ გარეგან ფორმას მიეკუთვნება. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ნისლეულთ ფორმა მათ სხვადასხვა ფიზიკურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ალბათ ისინი ტემპერატურითაც განსხვავდებიან და, მაშასადამე, სპექტრული ენერგიის განაწილება მათ სხვადასხვა აქვთ.

ამგვარად, საფუძველი გვაქვს ვეძიოთ ნისლეულის ფერის დამოკიდებულება მის ტიპზე. ამისათვის შევადგინეთ ცხრილი VII ყველა 510 ნისლეულის საფუძველზე. აქ ტიპები მოყვანილია Hubble-ის მიხედვით, კოლორ-ინდექსები გამოხატულია ინტერნაციონალურ სისტემაში.

ცხრილი VII TABLE

ტიპი Type	$\overline{C.\ I.}$	ტიპი Type	$\overline{C.\ I.}$
E_0-E_7	$0^m\!.88$(92)	SBc	$0^m\!.75$(6)
SBa	0.89(22)	Sc	0.65(76)
Sa	0.85(33)	S	0.69(99)
SBb	0.84(18)	I	0.76(13)
Sb	0.75(49)	E:	0.79(22)
		S:	0.75(47)
		—	0.82(58)

ყველაზე მეტად წითელია E ტიპის ნისლეულები. Stebbins-ი და Whitford-ი მიუთითებენ[9], რომ E ტიპს შეესაბამება სპექტრული კლასი G_1; Sa, SBa ტიპებს—G_3; Sb, SBb ტიპებს—G_2 და Sc, SBc ტიპებს—F_9. ამგვარად, ამის შესაბამისად, ნისლეულთა კოლორ-ინდექსები მართლაც უნდა კლებულობდნენ ჩვენს ცხრილში მოყვანილი მიმდევრობით. ასეთსავე სვლას აღნიშნავენ დასახელებული ავტორებიც. აღვნიშნოთ, რომ SBa, SBb და SBc ნისლეულებს უფრო დიდი კოლორ-ინდექსები აქვთ, ვიდრე Sa, Sb და Sc ნისლეულებს, შესაბამისად. ამის მიზეზი შეიძლება იმაში ვეძიოთ, რომ ეს ნისლეულები განვითარების უფრო ადრინდელ სტადიაზე იმყოფებიან და, მაშასადამე, უფრო გვიან-

დელ სპექტრულ ქვეკლასს შეესაბამებიან, ვიდრე იმავე ტიპის, მაგრამ B-ნიშნაკს მოკლებული ნისლეულები. გალაქტიკური სარტყელის ოპტიკური სისქის გამოთვლისა და ლოკალური შთანთქმის განსაზღვრის დროს სასურველია მხედველობაში იყოს მიღებული ეს გარემოება.



ნახ. 3 Fig.

აქ მოყვანილი ნახ. 3 შედგენილია ცხრილი VII-ის მიხედვით, თუმცა უკანასკნელში შემავალი ისეთი ნისლეულები, რომელთაც ახასიათებს E:, S:, S და I, მრუდის აგებისას არ იყვნენ მიღებულნი მხედველობაში იმის გამო, რომ 1) ორი წერტილით აღნიშნული ტიპები სანდონი არ არიან და მათ შეუძლიათ დაარღვიონ ჭეშმარიტი კანონზომიერება; 2) S—ტიპებს არა აქვთ ქვეკლასები, ხოლო უკანასკნელნი, როგორც აღვნიშნეთ, უთუოდ განსხვავდებიან ფერით. ეს შეეხება I ნისლეულებსაც. ჩვენს მსჯელობას ისიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ტიპები ცხრილი VII-ის მიხედვითაც არ ამჟღავნებენ ფერის ცვლილებასთან დაკავშირებულს რაიმე გარკვეულ კანონზომიერებას.

§ 11. ნორმალური კოლორ-ინდექსების განსაზღვრა. ფერის ექსცესების განსაზღვრისათვის, ნისლეულთა კოლორ-ინდექსების მიხედვით, საჭიროა ვიცოდეთ მოცემული ტიპების ნისლეულთა ნორმალური კოლორ-ინდექსები. ასეთების გამოსაყვანად შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ვარსკვლავები, ისე ნისლეულები. საერთოდ კი ნისლეულთა ცალკე ტიპების შესაბამი ნორმალური კოლორ-ინდექსების განსაზღვრა დიდად მნიშვნელოვანი ამოცანაა და ამ საკითხს დიდი სიფრთხილით უნდა მოპყრობა.

ჩვენს განსაზღვრებს საფუძვლად დაუდეთ გვიანი ტიპის ჯუჯა ვარსკვლავები ისევე, როგორც Stebbins-ი და Whitford-ი მოიქცენ[10]. ამას ის მოსაზრება ასაბუთებს, რომ გვიანი ტიპის ჯუჯა ვარსკვლავები სპექტრის მიხედვით შეესაბამებიან ნისლეულთა ცალკე ტიპებს[11]. ჩვენ ავირჩიეთ SA33-ში 37 ვარსკვლავი, რომელთ სპექტრები მოცემულია Bergedorfer Spektral Durchmusterung-ის II ტომში. ამ არეს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ახლოა გალაქტიკის პოლუსთან ($b=+67°$). მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში შერჩეული არეს ადგილმდებარეობას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა იმის გამო, რომ ასეთი ვარსკვლავები ჩვენთან ახლო იმყოფებიან. აღნიშნული არე ისეთივე ექსპოზიციით იყო გადაღებული, როგორც ჩვეულებრივ ვიღებდით პოლარულ მიმდევრობას; ფოკუსის გარეთ გამოყვანაც ჩვეულებრივ ზომას აღწევდა. ვარსკვლავები უმთავრესად კაშკაშანი იყვნენ (11^m-მდე), რადგანაც აღნიშნულ კატალოგში გიგანტ და ჯუჯა ვარსკვლავებად უმთავრესად კაშკაშა ვარსკვლავები არიან დაყოფილნი.

ცხრილი VIII TABLE

ტიპი Type	Sp	$\overline{C. I.}$	Sp_{St}	$\overline{C. I.}_{St}$
E	G_4—G_8	$0^m.72$ (20)	G_4	$0^m.60$
Sa, SBa	G_3	0.59 (3)	G_3	0.58
Sb, SBb	G_2	0.47 (4)	G_2	0.55
Sc, SBc	F_8 - F_9	0.38 (10)	F_9	0.45
საშუალო Average		0.59 (37)		0.55

აქ მოგვყავს VIII ცხრილი, რომელიც შეიცავს საშუალო კოლორ-ინდექსებს, მიღებულთ წინასწარ მნიშვნელობათა ინტერნაციონალურ სისტემაზე (2)-ის მიხედვით რედუქციის საფუძველზე. აქვე მოყვანილია Stebbins-ის და Whitford-ის მიერ მიღებული ნორმალური მნიშვნელობანი, გადაყვანილნი მათივე ფორმულის საშუალებით ინტერნაციონალურ სისტემაში. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, ვარსკვლავების მიხედვით ნისლეულთა ნორმალური კოლორ-ინდექსების მიღება მეტად უხეშ მიახლოებას წარმოადგენს, რადგანაც ნისლეულთა ცალკეული ტიპების სპექტრები არ ეთანხმებიან ზუსტად ჯუჯა ვარსკვლავების სპექტრებს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ თვით გარეგალაქტიკურ ნისლეულებში უხვად მოიპოვებიან გიგანტი ვარსკვლავებიც. ასე რომ, ნისლეულის ნორმალური ფერი უნდა შეესაბამებოდეს რომელიღაც საშუალოს გიგანტებსა და ჯუჯებს შორის. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ნისლეულები განფენილ ობიექტებს წარმოადგენენ, ხოლო ვარსკვლავები—წერტილოვანს, შეიძლება წარმოიშვას სისტემატური ცდომილება ფერებში, რაც კოლორ-ექსცესების სისტემატურ ცდომილებას გამოიწვევს. ეს ეფექტი შეუმჩნეველი უნდა იყოს ელექტროფოტომეტრის გამოყენებისას და, მაშასადამე, Stebbins-ის და Whitford-ის გაზომვებში. დაბოლოს, გვიანი კლასების ჯუჯა ვარსკვლავებს, ერთსადაიმავე სპექტრულ ქვეკლასშიაც, ფერი აბსოლუტურ სიდიდეზე აქვთ დამოკიდებული. მაგალითისათვის მთელი რიგი შრომებისა შეგვიძლია უჩვენოთ (Oort[12], Stebbins and Whitford[13]), სადაც აღნიშნულია ეს ეფექტი. Stebbins-მა და Whitford-მა აღნიშნეს, რომ ჯუჯა ვარსკვლავებისათვის აბსოლუტური სიდიდის $M=3.7$-დან $M=4.7$-მდე ცვლილებისას კოლორ-ინდექსი ინტერნაციონალურ სკალაში $+0^m.55$-დან $+0^m.94$-მდე იცვლება.

აქედან ჩანს, რომ ვარსკვლავთა არჩევა სტანდარტებად ნისლეულთა ნორმალური კოლორ-ინდექსების მისაღებად მეტად უხეშ მიახლოებას გვაძლევს. კარგი იქნებოდა, რომ ამ მიზნით თვით გარეგალაქტიკური ნისლეულები ყოფილიყო გამოყენებული. ადგილი აქვს კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს თითოეული ნისლეულის შემთხვევაში. ეს კოლორ-ინდექსის დამოკიდებულებაა მისი ეკვატორული სიბრტყის დახრაზე. ასეა თუ ისე, cosecans—კანონის გამოყვანისას ჩვენ გამოვიყენეთ VIII ცხრილში მოცემული ნორმალური კოლორ-ინდექსები.

§ 12. ნისლეულთა კოლორ-ინდექსების დამოკიდებულებ, მათი შეკუმშვის კოეფიციენტზე. ჩვენს გალაქტიკასთან ანალოგიის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თვით გარეგალაქტიკურ ნისლეულებ. შიაც აქვს ადგილი სინათლის სელექტურ შთანთქმას. ჩვეულებრივ, ამ შთანთქ. მას უკავშირებენ ნისლეულის ორიენტირებას მზის მიმართ და დაუშვებენ, რომ თუ ნისლეული ეკვატორული ნაწილით არის მოქცეული დამკვირვებლისაკენ, მაშინ სელექტური შთანთქმა უდიდესია, ხოლო თუ პოლარული ნაწილით—მა. შინ იგი უმცირესია. ჩვენ შეუპირისპირეთ ერთიმეორეს მიღებული კოლორ-ინ. დექსები და შესაბამი შეკუმშვის კოეფიციენტები, დაუშვით-რა, რომ ეს კოეფი. ციენტი დაახლოებით მიუთითებს ნისლეულის ხილულ მდებარეობაზე. შეკუმშვის კოეფიციენტის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ გამოსახულებას:

$$P=\frac{a-b}{a}$$

სადაც a და b ნისლეულის დიდსა და პატარა ნახევარღერძებს წარმოადგენენ. ეს სიდიდეები, რკალის მინუტებში გამოხატულნი, Shapley-სა და Ames-ის კატალოგიდან ამოვიღეთ.

როგორც აქ მოყვანილი IX ცხრილი გვაჩვენებს, ხვია ნისლეულთათვის, რომელთა შეკუმშვა 0.00 და 0.20-ს შორის არის მოქცეული, კოლორ-ინდექ- სები ნაკლებია, ვიდრე მეტი შეკუმშვით დახასიათებული ნისლეულებისა. მაგ- რამ E—ნისლეულები შებრუნებულ სურათს გვიჩვენებენ, ე. ი. კოლორ-ინდექ- სის მნიშვნელობა კლებულობს შეკუმშვის ზრდასთან ერთად.

ცხრილი IX TABLE

P	Sa, SBa	Sc, SBc	S	E, E:
0.00—0.20	0^m.68 (5)	0^m.53 (14)	0^m.61 (24)	0^m.93 (49)
0.21—0.40	0.91 (5)	0.77 (9)	0.64 (23)	0.92 (19)
0.41—0.60	0.80 (6)	0.78 (17)	0.76 (19)	0.91 (7)
>0.60	0.98 (21)	0.74 (26)	0.64 (27)	0.85 (14)

საშუალო კოლორ-ინდექსების გამოყვანის დროს მხედველობაში ვღებუ- ლობდით შესწორებას ნისლეულის ვარსკვლავიერ სიდიდეზე, ყველა ტიპის ნის- ლეულისათვის, გარდა I—ტიპისა.

ფერის დამოკიდებულება სიდიდეზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთ- ერთი მიზეზია იმისა, რომ ძნელია ნორმალური კოლორ-ინდექსების არჩევა, რაც ფასს უკარგავს გარეგალაქტიკური ნისლეულების გამოყენებას ჩვენს გალაქ- ტიკაში სელექტური შთანთქმის შესწავლის მიზნით.

§ 13. Cosecans-კანონის გამოყვანა. სხვა ავტორების მსგავსად, სელექტური ოპტიკური სისქის განსაზღვრის მიზნით cosecans-კანონი გამოვი- ყენეთ. სელექტური ოპტიკური სისქის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს,

რამდენადაც (12)-ის საშუალებით შეგვიძლია საერთო შთანთქმის გამოთვლაც, თუ სათანადო კოეფიციენტიც გვეცოდინება.

ოპტიკური სისქის გარდა, cosecans-კანონის მიხედვით შეგვიძლია მივი- ღოთ გამოსაკვლევი ობიექტების საკუთრივი შთანთქმაც. უკანასკნელს მუდმივი წევრის მნიშვნელობა გვაძლევს ამ კანონის გამომხატველ ფორმულაში. სასურ- ველი იქნებოდა გამოგვეყვანა cosecans-ფორმულა ნისლეულთა ცალკე ტიპე- ბისათვის, რათა გამოგვერკვია—გარეგალაქტიკურ ნისლეულთა ევოლუციის თვალსაზრისით—საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ტიპი ხასიათდება უმეტე- სი საკუთრივი შთანთქმით.

ჩვენ გვინდოდა მიგვეღო ამ მიზნისათვის cosecans-ფორმულა სამი ძი- რითადი ტიპისათვის, მაგრამ ნისლეულთა შედარებით მცირე რაოდენობის გა- მო დავკმაყოფილდით მით, რომ განვსაზღვრეთ ოპტიკური შთანთქმა გალაქტი- კის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი ნახევარსფეროსათვის, ყველა ტიპის ნისლეულების საფუძველზე.

აქ მოგვყავს ცხრილები X და XI, შედგენილი ნისლეულთ ძირითადი ტი- პების მიხედვით ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნახევარსფეროებისათვის, შესა- ბამისად. ცხრილი XI შედგენილია მხოლოდ ძირითადი ტიპების მიხედვით; უც- ნობი ტიპისა და (I)—ნისლეულები არ იყო მხედველობაში მიღებული.

ცხრილი X TABLE
ჩრდილოეთის ნახევარსფერო
North Hemisphere

ცენტრი Center	b	$\overline{C}.\ \overline{I}.$
b=+30°	+26°—+35°	0^m.87 (21)
40	+36 —+45	0.58 (37)
50	+46 —+55	0.81 (69)
60	+56 —+65	0.77 (105)
70	+66 —+75	0.75 (124)
80	+76 —+85	0.71 (36)

ცხრილი XI TABLE
სამხრეთის ნახევარსფერო
South Hemisphere

ცენტრი Center	b	$\overline{C}.\ \overline{I}.$
b=—20°	—16°——25°	1^m.03 (10)
—30	—26 ——35	0.90 (6)
—40	—36 ——45	0.88 (5)
—50	—46 ——55	0.81 (26)
—60	—56 ——65	0.76 (15)
—70	—66 ——75	0.67 (10)

გამოვიყენებთ-რა ცხრილი X-ის საშუალო კოლორ-ინდექსებს მოცემული განედისათვის და ცხრილი VIII-ის ნორმალური კოლორ-ინდექსების საშუალო მნიშვნელობას 0^m.59, მივიღებთ cosecans-კანონს გალაქტიკის ჩრდილოეთ ნახე- ვარსფეროსათვის:

$$\tau_n = CE = +0.02 + 0.13 \operatorname{cosec} b \tag{9}$$

გამოგვყავდა-რა (9) უმცირეს კვადრატთა ხერხით, ჩვენ არ გვისარგებ- ლია $b=40°$-ის შესაბამი საშუალო კოლორ-ინდექსით, იმის გამო, რომ ამ პა- რალელზე კოლორ-ინდექსები მცირე მნიშვნელობას ღებულობენ ალბათ ჩვენ მიერ გაუთვალისწინებელი სისტემატური ცდომილების წყალობით.

ასევე, XI ცხრილიდან მივიღებთ ფორმულას სამხრეთი ნახევარსფეროსათვის:

$$\tau_s = CE = -0.02 + 0.17 \ \mathrm{cosec}\, b \tag{10}$$

როგორც (9) და (10)-დან ჩანს, სელექტური შთანთქმა გალაქტიკის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი პოლუსისათვის ეტოლება $\tau = 0^m.15$-ს, შეიძლება ითქვას, რომ ეს სიდიდე საკმაოდ კარგად ეთანხმება შთანთქმის კოეფიციენტის მნიშვნელობას $0^m.28$, რომელსაც ვღებულობთ ქვემოთ, თუ დავუშვებთ, რომ მშთანთქავი ფენის ნახევარსისქე 500 პარსეკია. თუ $\tau = 0^m.15$-ს ინტერნაციონალურ სისტემაზე მივიყვანთ (8)-ის საშუალებით, ე. ი. გავამრავლებთ 0.72-ზე, მივიღებთ $\tau = 0^m.11$, რაც დამაკმაყოფილებელ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც შეუძლებელია ნამდვილად ნორმალური კოლორ-ინდექსების გამოყვანა, არ შეგვიძლია მოვეპყრათ ამ შედეგს, როგორც სრულიად სანდოს. თუ ავიღებთ ნორმალური კოლორ-ინდექსების ცოტათი განსხვავებულ მნიშვნელობებს, სხვა სიდიდეებს მივიღებთ როგორც τ-სათვის, ისე (9) და (10)-ის მუდმივი წევრებისათვის.

ამგვარად, ორი მთავარი მიზეზი: 1) ნისლეულთ ნორმალური კოლორ-ინდექსების განსაზღვრის სიძნელე და 2) თვით ნისლეულებში არსებული სელექტური შთანთქმა—ძნელსა და საეჭვოს ხდის გარეგალაქტიკურ ნისლეულთა გამოყენებას ჩვენს გალაქტიკაში შთანთქმის შესწავლის საქმისათვის. უკიდურეს შემთხვევაში საჭიროა ვიცოდეთ თითოეული ნისლეულის სპექტრული კლასი, რა ტიპსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

§ 14. დამოკიდებულება კოლორ-ექსცესსა და საერთო შთანთქმის შორის. ეს დამოკიდებულება როგორც ფოტოგრაფიული, ისე ფოტოვიზუალური უბნებისათვის, შეიძლება მიღებული იყოს მას შემდეგ, რაც განსაზღვრულია ხმარებული ფირფიტებისა და სინათლის ფილტრების კომბინაციის ეფექტური ტალღის სიგრძეები. დავეყრდნობით-რა სელექტური შთანთქმის კანონს λ^{-1}, რაც თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით სამართლიანი უნდა იყოს, შევძლებთ განვსაზღვროთ ფარდობა საერთო შთანთქმისა და კოლორ-ექსცესისა.

გამოვალთ-რა ფორმულებიდან

$$\begin{aligned} CE &= t\,(\lambda_{ph}^{-1} - \lambda_{vis}^{-1}) \\ A_{ph} &= t\,\lambda_{ph}^{-1} \\ A_{vis} &= t\,\lambda_{vis}^{-1} \end{aligned} \tag{11}$$

და მივიღებთ-რა ჩვენი λ_{eff}-სთვის მნიშვნელობებს 4060 Å და 5400 Å, ხოლო ინტერნაციონალური სკალისათვის—4250 Å და 5100 Å, გვექნება:

$$\frac{A_{ph}}{CE} = k = \frac{\lambda_b^{-1}}{\lambda_{ph}^{-1} - \lambda_{vis}^{-1}} = \frac{4250^{-1}}{4060^{-1} - 5400^{-1}} = 3.9$$

$$\frac{A_{vis}}{CE} = k_1 = \frac{5100^{-1}}{4060^{-1} - 5400^{-1}} = 3.22 \tag{12}$$

მაშასადამე, შეგვიძლია ჩავთვალოთ:

$$A_{ph} = 4 \cdot CE \quad \text{და} \quad A_{vis} = 3 \cdot CE \tag{13}$$

თუ 4250 Å და 5100 Å-ის ნაცვლად მრიცხველში ჩვენს მნიშვნელობებს 4060 Å და 5400 Å-ს შევიტანთ, მაშინ k—ფარდობის კიდევ უფრო ახლო მნიშვნელობებს მივიღებთ 4 და 3-თან. ასე, რომ კოეფიციენტებს 4 და 3 კოლორ-ექსცესები საერთო შთანთქმაში გადაჰყავთ, როგორც ინტერნაციონალურს, ისე ჩვენს სისტემაში.

მიუხედავად ამისა, ინტერნაციონალურ სკალაში საერთო შთანთქმის მიღების მიზნით, ჩვენი კოლორ-ექსცესები ინტერნაციონალურ სისტემაში მიგვყავდა (2) ფორმულის მიხედვით და ამის შემდეგ გამოვიყენებდით აღნიშნულ კოეფიციენტებს.

Aller-ი და Trumpler-ი[14] k-ს მნიშვნელობას ცოტა სხვა გზით ღებულობდნენ. ისინი არ გამოდიოდნენ წინასწარ არჩეული მნიშვნელობიდან α—მაჩვენებლისათვის სელექტური შთანთქმის კანონში: $k = a\lambda^{-\alpha}$, არამედ თვითონ განსაზღვრავდნენ მას, იცოდნენ-რა კოლორ-ექსცესის მნიშვნელობა მოცემული ვარსკვლავებისათვის, ისინი ისე შეარჩევდნენ k კოეფიციენტის მნიშვნელობას, რომ შესრულებულიყო ვარსკვლავთ სივრცითი სიმკვრივის მუდმივობის მიღებული პირობა მოცემული მიმართულებით და მოცემულ მანძილზე; ამის შემდეგ (12)-ის მიხედვით α-ს მნიშვნელობაც მიიღებოდა.

ჩვენ არ გამოგვითვლია α, არამედ ჩავთვალეთ იგი 1-ის ტოლად. მაგრამ შეგვეძლო მოვქცეულიყავით Aller-ის და Trumpler-ის მსგავსად და α-ს და k-ს მნიშვნელობანი Hubble-ის დათვლების საფუძველზე გამოგვეყვანა ან გვესარგებლა Hubble-ის ფორმულით $\log N m$-სთვის, რომელიც ითვალისწინებს შთანთქმას ჩვენს გალაქტიკის შიგნით.

ჩვენი შედეგების შედარება საერთო შთანთქმასთან Hubble-ის მიხედვით, გვიჩვენებს, რომ k და k_1-ის ჩვენი მნიშვნელობანი უნდა შემცირებულ იქნან.

§ 15. სელექტური და საერთო შთანთქმის კოეფიციენტების განსაზღვრა. სელექტური შთანთქმის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის ვსარგებლობთ დამოკიდებულებით

$$CI = CI_0 + \beta \frac{r}{1000} \quad \text{ანუ} \quad CE = \beta \frac{r}{1000} \tag{14}$$

შეიძლება ამ დამოკიდებულების დაზუსტება, თუ $\frac{r}{1000}$-ის ნაცვლად განვიხილავთ სხივის ეფექტურ გზას მშთანთქავ არეში—P, როგორც ეს Berman-მა[15], Hunter-მა და Martin-მა[16] შემოიღეს. P-ს განსაზღვრისათვის საჭიროა ვიცოდეთ მშთანთქავი ნივთიერების სიმკვრივის ცვალებადობის კანონი. Berman-ი გამოდის მაჩვენებლიანი კანონიდან, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

$$\rho = \rho_0\, e^{-\pi\left(\frac{z}{z_0}\right)} \tag{15}$$

სადაც ρ და ρ_0 მშთანთქავი ნივთიერების სიმკვრივეა მოცემულ წერტილში და

გალაქტიკის სიბრტყეში, ζ_0 მშთანთქავი ფენის სისქეა, ხოლო ζ—მოცემული წერტილის დაშორება გალაქტიკის სიბრტყიდან, რაც უდრის $\zeta = r\sin b$. მაშინ P ასე გამოიხატება

$$P = \frac{\zeta_0}{\sin|b|}\frac{1}{\sqrt{2\pi}}\int_0^x e^{-\frac{x^2}{2}}dx, \text{ სადაც } x = \frac{\sqrt{2\pi}\cdot r\cdot\sin|b|}{\zeta_0} \tag{16}$$

ანუ

$$P = \frac{\zeta_0}{\sin|b|}\Phi(x)$$

აქ $\Phi(x)$-ის მნიშვნელობები შეგვიძლია $\overline{\Phi}(x)$-ის ცხრილებიდან ავიღოთ. ასეთები ალბათობის თეორიის კურსებშია მოყვანილი.

Hunter-ი და Martin-ი ცოტა სხვა სახის მაჩვენებლიანი კანონიდან გამოდიოდნენ და P-სათვის ღებულობდნენ ფორმულას:

$$P = \int_0^r e^{\frac{-2r\sin|b|}{\zeta_0}}dr = \frac{\zeta_0}{2\sin|b|}\left(1 - e^{-\frac{2r\sin|b|}{\zeta_0}}\right) \tag{17}$$

(16) და (17)-დან ჩანს, რომ როცა r უსასრულობას უახლოვდება, P უახლოვდება (18)-ს:

$$P = \frac{\zeta_0}{2\sin|b|}. \tag{18}$$

გარეგალაქტიკურ ნისლეულთა შემთხვევაში P-სათვის ეს უკანასკნელი (18) მნიშვნელობა უნდა ავიღოთ, რადგანაც მანძილი მზედან ნისლეულამდე განიხილება როგორც უსასრულოდ დიდი, შედარებით ვარსკვლავების დაშორებასთან. (18)-დან ჩანს, რომ P, გარეგალაქტიკურ ნისლეულთა შემთხვევაში, დამოკიდებულია ζ_0-ზე და გალაქტიკურ განედზე და არ არის დამოკიდებული სიმკვრივეზე. ვარსკვლავების შემთხვევაში კი სიმკვრივის ცვალებადობის გათვალისწინება შესამჩნევად ცვლის შთანთქმის კოეფიციენტის სიდიდეს, როგორც ეს ე. ხარაძის დაუბეჭდავი შრომიდანაც ჩანს.

ამგვარად, სელექტური შთანთქმის გამოთვლისათვის 1 კილოპარსეკზე, (14)-ის ნაცვლად (19)-ს დავეყრდნობით:

$$\beta P = CE \text{ ანუ } \beta = \frac{CE}{\frac{\zeta_0}{2}}\sin|b| \tag{19}$$

იმის გამო, რომ მშთანთქავი ფენის სისქის მიღებული მნიშვნელობა ζ_0 საგრძნობ გავლენას მოახდენს შედეგზე, ამ საკითხზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

სხვადასხვა მკვლევარი გალაქტიკურ ეკვატორის ფენის სისქისათვის სხვადასხვა მნიშვნელობას ღებულობს 200 პარსეკიდან 500 პარსეკამდე. ვარსკვლავების შემთხვევაში ეს მნიშვნელობანი საკმაოდ აკმაყოფილებენ ვარსკვლავთ გა-

В настоящей работе мы остановимся на флюктуациях яркости Млечного Пути, вызываемых тою же причиной. При этом для простоты ограничимся областью галактического экватора. В плоскости галактического экватора звездная плотность меняется сравнительно медленно, и мы будем в дальнейшем считать ее постоянной, также как и функцию светимости. Поэтому, если рассматривать количество световой энергии, излучаемой единицей объема пространства в единицу времени, то оно остается постоянным. Говоря языком теории излучения в непрерывной среде, коэффициент излучения можно считать постоянным. Обозначим его через η.

Если поглощающая материя была бы распределена непрерывно и равномерно в пространстве, то при этих условиях яркость неба выражалась бы формулой:

$$I = \int_0^\infty \eta e^{-\alpha s} \, ds = \frac{\eta}{\alpha} \qquad (1)$$

где α коэффициент экстинкции. Однако, поскольку имеет место сосредоточение поглощающей материи в отдельных облаках, то яркость неба представится на самом деле формулой:

$$I = \int_0^\infty \eta p(s)\, ds \tag{2}$$

где множитель $p(s)$ показывает, во сколько раз ослабляется свет при прохождении пути s до наблюдателя. Поскольку поглощающая материя распределена в виде дискретных облаков, функция $p(s)$ будет изображаться графиком, имеющим ступенчатую форму.

Пусть все облака имеют одинаковую оптическую толщину τ_0, так что прозрачность их также одинакова. Обозначим ее через q. Тогда:

$$q = e^{-\tau_0} \tag{3}$$

В этом случае:

$$p(s) = q^{n(s)} \tag{4}$$

где $n(s)$ есть число поглощающих облаков на пути луча длиною s от наблюдателя. Это число определяется имеющим место распределением облаков в Галактике.

В этом случае:

$$I = \eta \int_0^\infty q^{n(s)}\, ds \tag{5}$$

Вычислим среднее значение интеграла I. Среднее от интеграла равно интегралу от среднего

$$\overline{I} = \eta \int_0^\infty \overline{q^{n(s)}}\, ds \tag{6}$$

где черта означает усреднение. Для вычисления $\overline{q^{n(s)}}$ обратим внимание на то, что вероятность $P_{n(s)}$ того, что на пути s имеется $n(s)$ туманностей определяется формулой Poisson'a

$$P_{n(s)} = e^{-\overline{n(s)}} \frac{\overline{n(s)}^n}{n!} \tag{7}$$

где $\overline{n(s)}$ есть среднее число поглощающих облаков на отрезке s. Очевидно, что:

$$\overline{q^{n(s)}} = \sum_{n=0}^{\infty} P_{n(s)}\, q^{n(s)} = \sum e^{-\overline{n(s)}} \frac{\overline{n(s)}^n}{n!} q^n = e^{-\overline{n(s)}(1-q)} \tag{8}$$

Подставляя (8) в (6), находим:

$$\overline{I} = \eta \int_0^\infty e^{-(1-q)\overline{n(s)}}\, ds \tag{9}$$

Но очевидно, что при равномерной плотности числа облаков в плоскости галактического экватора:

$$\overline{n(s)} = \nu s \tag{10}$$

где ν среднее число туманностей, встречаемых лучом зрения на единицу пути. Поэтому (9) дает:

$$\overline{I} = \frac{\eta}{\nu(1-q)} \tag{11}$$

Формула (11) определяет среднюю яркость в нашей идеализированной системе. Ею мы будем пользоваться в дальнейшем. Сейчас же обратим внимание на то, что подстановка (3) в (11) дает:

$$\overline{I} = \frac{\eta}{\nu(1-e^{-\tau_0})} \tag{12}$$

При переходе к непрерывному распределению, когда τ_0 становится малым, а ν растет, мы отсюда получаем в пределе формулу (1) в виде:

$$\overline{I} = \frac{I}{\nu\tau_0} = \frac{\eta}{\alpha} \tag{13}$$

так как $\nu\tau_0$ будет коэффициентом экстинкции. При больших же значениях τ_0 формула (12) сильно отличается от (1).

Перейдем теперь к определению среднего квадратичного уклонения от средней яркости. Мы имеем:

$$\sigma^2 = \overline{(I-\overline{I})^2} = \overline{I^2} - 2\overline{I}\,\overline{I} + \overline{I}^2 = \overline{I^2} - \overline{I}^2 \tag{14}$$

Поэтому для вычисления σ нужно вычислить математическое ожидание квадрата яркости, т. е.

$$\overline{I^2} = \overline{\left(\int_0^\infty \eta q^{n(s)}\, ds\right)^2} = \eta^2 \overline{\int_0^\infty\int_0^\infty q^{n(s')} q^{n(s'')}\, ds'\, ds''} \tag{15}$$

Воспользуемся опять тем, что среднее от интеграла равно интегралу от среднего, и учтем симметрию нашего двойного интеграла относительно переменных s' и s''. Тогда:

$$\overline{I^2} = 2\eta^2 \int_0^\infty ds' \int_{s'}^\infty ds''\, \overline{q^{n(s')+n(s'')}} \tag{16}$$

Поскольку теперь $s'' > s'$ мы можем написать:

$$n(s') + n(s'') = 2n(s') + n(s''-s') \tag{17}$$

где $n(s''-s')$ число поглощающих облаков на отрезке пути $s''-s'$.

Поэтому:

$$\overline{q^{n(s')+n(s'')}} = \overline{q^{2n(s')+n(s''-s')}} = \sum_{n(s'),\, n(s''-s')=0}^{\infty} P_{n(s'),\, n(s''-s')}\, q^{2n(s')+n(s''-s')} \tag{18}$$

где $P_{n(s'),\, n(s''-s')}$ есть вероятность того, что на отрезке s' встречается $n(s')$ облаков, а в то же время на отрезке $s''-s'$ встречается $n(s''-s')$. Так как эти отрезки не перекрываются, то по теореме умножения вероятностей и формуле Poisson'a мы будем иметь

$$P_{n(s'),\, n(s''-s')} = e^{-\overline{n(s'')}} \frac{\overline{n(s')}^{\,n(s')}}{n(s')!} \cdot \frac{\overline{n(s''-s')}^{\,n(s''-s')}}{n(s''-s')!} \tag{19}$$

Подставляя (19) в (18) находим:

$$\overline{q^{n(s')+n(s'')}} = e^{-\overline{n(s'')}} \cdot e^{\overline{n(s')}q^2} \cdot e^{q\overline{n(s''-s')}} = e^{-\overline{n(s'')}\,(1-q)} \cdot e^{-\overline{n(s')}\,q(1-q)} \tag{20}$$

так как

$$\overline{n(s''-s')} = \overline{n(s'')} - \overline{n(s')}$$

Подставляя (20) в (16), получаем:

$$\overline{I^2} = \frac{2\eta^2}{(1-q)(1-q^2)}$$

Тогда (14) дает

$$\sigma^2 = \overline{I^2} - \overline{I}^2 = \frac{2\eta^2}{(1-q)(1-q^2)} - \frac{\eta^2}{(1-q)^2} = \frac{\eta^2}{1-q^2} \tag{21}$$

Для относительной величины флюктуации находим:

$$\frac{\sigma}{\overline{I}} = \sqrt{\frac{1-q}{1+q}} \tag{22}$$

Согласно нашим предыдущим работам, среднее поглощение одного облака порядка 0.2—0.3 звездной величины. Это означает, что q порядка 0.75. Для относительной средней квадратичной флюктуации получается при этом на основании (22) величина 0.37. Наблюденные Pannekoek'ом реальные колебания яркости в Млечном Пути на галактическом экваторе во всяком случае меньше этой величины. Поскольку на флюктуации яркости, вызываемые флюктуациями в поглощении, должны накладываться еще флюктуации яркости, происходящие от флюктуации звездной плотности, учет последних лишь увеличит значение флюктуации яркости, вычисляемое на основании (22). Это противоречие можно пытаться объяснить либо завышенным значением принятой нами поглощательной способности отдельного облака, либо систематическими ошибками в измерениях яркости Млечного Пути.

Какая из этих причин играет здесь роль, будет выяснено дальнейшими исследованиями.

В заключение отметим, что учет дисперсии оптических толщин облаков должен также внести изменения в полученные теоретические результаты.

Январь, 1943.

ЛИТЕРАТУРА: ლიტერატურა:

1. Бюлл. Абаст. Обс. № 2, стр. 37, 1938.
2. Бюлл. Абаст. Обс. № 4, стр. 17, 1940.

ირმის ნახტომის სიკაშკაშის ფლუქტუაციების შესახებ

ვ. ამბარცუმიანი

(რეზუმე)

ამჟამად საერთოდ მიღებულია ის თვალსაზრისი, რომ ფლუქტუაციები ირმის ნახტომის ვარსკვლავთ სიმკვრივეში და, მაშასადამე, ირმის ნახტომის სიკაშკაშის ფლუქტუაციებიც გამოწვეულია უმთავრესად გალაქტიკაში არსებული მშთანთქავი ნივთიერების ღრუბლებით[1]. ინტეგრალური ეფექტი ამ ღრუბლებისა ჰქმნის ალბათ ე. წ. კოსმოსურ შთანთქმას. ზოგიერთი ცალკეული, დიდი ოპტიკური სისქის მქონე ღრუბლები ცაზე ვარსკვლავთა სიმკვრივის იმდენად მნიშვნელოვან შემცირებას იწვევენ, რომ შესაძლოა მათი ცოტად თუ ბევრად დაწვრილებითი შესწავლა მათ მიერ გამოწვეული შთანთქმის ეფექტის მიხედვით. მშთანთქავ ღრუბელთა უმრავლესობაში კი თითოეულ მათგანს იმდენად მცირე ოპტიკური სისქე აქვს, რომ იგი შედარებით მცირე ფლუქტუაციებს იწვევს ვარსკვლავთა სიმკვრივეში და, მაშასადამე, ირმის ნახტომის სიკაშკაშეში; ამ ფლუქტუაციების შესწავლა სტატისტიკურად უნდა ხდებოდეს.

წინა შრომაში, რომელიც გამოქვეყნებულია აბასთუმნის „ბიულეტენში", განხორციელებული იყო სტატისტიკური შესწავლა გარეგალაქტიკურ ნისლეულთა რიცხვის ფლუქტუაციებისა, რომელნიც გალაქტიკის მშთანთქავი ფენის „ნაფლეთ-ნაფლეთი" სტრუქტურით არიან გამოწვეულნი[2].

ამ შრომაში ჩვენ განვიხილავთ იმავე მიზეზით გამოწვეულ ფლუქტუაციებს ირმის ნახტომის სიკაშკაშეში. ამავე დროს სიმარტივისათვის გალაქტიკის ეკვატორის არით შემოვისაზღვრებით. ეკვატორის სიბრტყეში ვარსკვლავთ სიმკვრივე შედარებით ნელა იცვლება; შემდეგში მას, ისევე როგორც ბრწყინვალების ფუნქციას, მუდმივათ ჩავთვლით. ამიტომ თუ განვიხილავთ სინათლის ენერგიის რაოდენობას, რომელსაც სივრცის მოცულობის ერთეული დროის ერთეულში გამოასხივებს, იგი დარჩება მუდმივი. უწყვეტ არეში გამოსხივების თეორიის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გამოსხივების კოეფიციენტი შეიძლება მუდმივათ ჩაითვალოს. აღვნიშნოთ იგი η-თი.

მშთანთქავი მატერია რომ უწყვეტად და თანაბრად ყოფილიყო განაწილებული სივრცეში, მაშინ ცის სიკაშკაშე გამოიხატებოდა ფორმულით (1), სადაც α ექსტინქციის კოეფიციენტია. მაგრამ, რამდენადაც ადგილი აქვს მშთანთქავი მატერიის ცალკეულ ღრუბლებათ თავმოყრას, ამიტომ სინამდვილეში ცის სიკაშკაშე წარმოგვიდგება ფორმულით (2), სადაც ნამრავლი $p(s)$ გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ სუსტდება სინათლე დამკვირვებლამდე s მანძილის გავლისას. რადგან მშთანთქავი მატერია ცალკეული, დისკრეტული ღრუბლების სახითაა განაწილებული, ფუნქცია $p(s)$ საფეხურებისებური ფორმის გრაფიკით წარმოგვიდგება.

ვთქვათ, რომ ყველა მშთანთქავ ღრუბლებს ერთნაირი ოპტიკური სისქე τ_0 აქვს, ასე რომ, მათი გამჭვირვალებაც ერთნაირია. აღვნიშნოთ იგი q-თი,

მაშინ დაიწერება (3) და (4), სადაც $n(s)$ მშთანთქავ ღრუბელთა რაოდენობა, რომელიც სხივს შეხვდება დამკვირვებლამდე s მანძილის გავლისას. ეს რიცხვი მშთანთქავი ღრუბლების იმ განაწილებით განისაზღვრება, რომელსაც გალაქტიკაში აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში დაიწერება (5).

გამოვთვალოთ I—ინტეგრალის საშუალო მნიშვნელობა. ინტეგრალის საშუალო ტოლია საშუალოს ინტეგრალისა: (6). $\overline{q^{n(s)}}$-ის გამოთვლისათვის ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ალბათობა $P_{n(s)}$ იმისა, რომ სხივის s—გზაზე $n(s)$ ნისლეული იქნება, განისაზღვრება Poisson-ის ფორმულით (7), სადაც $\overline{n(s)}$ მშთანთქავ ღრუბელთა საშუალო რიცხვია s მონაკვეთზე. ცხადია, რომ შეგვიძლია დავწეროთ (8) და უკანასკნელის (6)-ში ჩასმით ვიპოვოთ (9). მაგრამ აშკარაა, რომ გალაქტიკის ეკვატორის სიბრტყეში მშთანთქავ ღრუბელთა რიცხვის თანაბარი სიმკვრივის შემთხვევაში დაიწერება (10), სადაც ν ნისლეულთა საშუალო რიცხვია, რომელიც მხედველობის სხივს შეხვდება მანძილის ერთეულ მონაკვეთზე. ამიტომ (9) მოგვცემს (11)-ს.

ფორმულა (11) განსაზღვრავს საშუალო სიკაშკაშეს ჩვენს იდეალურებულ სისტემაში. შემდეგში მით ვისარგებლებთ, ახლა კი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ (3)-ის ჩასმა (11)-ში მოგვცემს (12)-ს.

უწყვეტ განაწილებაზე გადასვლისას, როცა τ_0 მცირდება, ხოლო ν იზრდება, ვღებულობთ (13)-ს, რადგანაც $\nu\tau_0$ ექსტინქციის კოეფიციენტი იქნება.

გამოვთვალოთ ახლა საშუალო სიკაშკაშიდან საშუალო კვადრატული გადახრა. ჩვენ გვაქვს (14), და σ-ს გამოთვლისათვის სიკაშკაშის კვადრატის მათემატიკური მოლოდინი უნდა გამოითვალოს, ე. ი. (15). ამის შემდეგ შეგვიძლია დავწეროთ (16) და (17), სადაც $s'' > s'$ და $n(s''-s')$ მშთანთქავ ღრუბელთა რიცხვია $s''-s'$ მონაკვეთზე. ამის შემდეგ დაიწერება (18) და (19) და მათ საფუძველზე (20), ხოლო, (20)-ის ჩასმის შემდეგ (16)-ში, (14)-დან მივიღებთ (21)-ს.

ფლუქტუაციის შეფარდებითი სიდიდისათვის ვიპოვით (22)-ს.

ჩვენი წინა შრომების თანახმად, ერთი ღრუბლის საშუალო შთანთქმა 0.2—0.3 ვარსკვლავიერ სიდიდის რიგისაა. ეს ნიშნავს იმას, რომ q არის 0.75 რიგისა. შეფარდებითი საშუალო კვადრატული ფლუქტუაციისათვის (22)-ის საფუძველზე მივიღებთ 0.37-ს. Pannekoek-ის მიერ მიღებული სიკაშკაშის რეალური ცვალებადობა ირმის ნახტომში გალაქტიკურ ეკვატორზე ყოველ შემთხვევაში ამ სიდიდეზე ნაკლებია.

რამდენადაც სიკაშკაშის ფლუქტუაციებს, გამოწვეულთ შთანთქმის ფლუქ-
ტუაციებით, უნდა დაერთოს კიდევ სიკაშკაშის ის ფლუქტუაციებიც, რომელნიც
ვარსკვლავთა სიმკვრივის ფლუქტუაციებით არიან გამოწვეულნი, ამ უკანასკნელ-
თა გათვალისწინებას შეუძლია მხოლოდ გაადიდოს (22)-ის საფუძველზე გა-
მოთვლილი სიკაშკაშის ფლუქტუაციის მნიშვნელობა. შეიძლება შევეცადოთ
ავხსნათ ეს წინააღმდეგობა ან მით, რომ ცალკეულ ღრუბელთა შთანთქმის
უნარიანობისათვის ქარბი მნიშვნელობანი მივიღეთ ან კიდევ ირმის ნახტომის
სიკაშკაშის გაზომვებში შეპარულ სისტემატურ ცდომილებებით.

შემდგომი გამოკვლევანი გვიპასუხებენ, თუ ამ მიზეზთაგანი რომელი ასრულებს აქ როლს.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ღრუბელთ ოპტიკური სისქის დისპერსიის გათვალისწინებამაც უნდა შეიტანოს აგრეთვე ცვლილებანი მიღებულ თეორიულ შედეგებში.

იანვარი, 1943.

ON THE FLUCTUATIONS OF BRIGHTNESS OF THE MILKY WAY

V. A. AMBARZUMIAN

(Summary)

It is assummed that the fluctuations of brightness in the Milky Way are caused by irregularities in the distribution of absorbing clouds in Galaxy. A theory of these fluctuations is given in the simple case, when all absorbing clouds have equal optical thickness.

January, 1943.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი № 8. 1945
БЮЛЛЕТЕНЬ АБАСТУМАНСКОЙ АСТРОФИЗИЧЕСКОЙ ОБСЕРВАТОРИИ № 8. 1945
BULLETIN OF THE ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY No. 8. 1945

კოსმოსური შთანთქმის შესახებ „აცილების ზონის სარკმლებში“

ო. მელნიკოვი

ვარსკვლავთ ფერის სიჭარბისა და გარეგალაქტიკურ ნისლეულთა რიცხვს შორის დამოკიდებულებას მთელი გალაქტიკისათვის შეისწავლიდა Seares-ი[1]. ფრიად საინტერესო უნდა იყოს აგრეთვე *B*-ტიპის ვარსკვლავთა ფერის სიჭარბის გამოკვლევა გალაქტიკის „აცილების ზონის სარკმლებში“ (windows of zone of avoidance).

როგორც ცნობილია, დიდი სარკმელი მდებარეობს გალაქტიკის ეკვატორის სამხრეთით 150—180° გრძედებს შორის. აცილების ზონის ამ უბანში ვხვდებით მკრთალ გარეგალაქტიკურ ნისლეულებს (Hubble[2]). სარკმლის ცენტრის კოორდინატები შემდეგია: $l=164°$, $b=-5°.6$ (Orion-თანავარსკვლავედში).

მეორე გალაქტიკური სარკმელი, რომელიც Shapley-მ იპოვა[3], გალაქტიკური ცენტრის ახლო მდებარეობს და მას შემდეგი კოორდინატები აქვს: $l=301°$, $b=-16°$.

აცილებას ზონის ამ სარკმელში გარეგალაქტიკური ნისლეულების გაცილებით მეტი რიცხვი გვხვდება. სამწუხაროდ, ეს უბანი ცის სამხრეთ კვადრანტში მდებარეობს ($\alpha_{1900}=17^h36^m$, $\delta_{1900}=-59°$) და ამიტომ იგი არ ყოფილა შესწავლილი Stebbins-ისა და მისი კოლეგების მიერ.

ანტიცენტრის ახლო მდებარე სარკმელში განლაგებულ ვარსკვლავთა ფერების გამოკვლევისათვის ჩვენ გამოვიყენეთ 1332 ვარსკვლავის ფერის ფოტოელექტრული კატალოგი, რომელიც Stebbins-მა და მისმა კოლეგებმა შეადგინეს[4]. სარკმლის არეში მოქცეულ ვარსკვლავთა გარდა აცილების ზონის 3 უბანი ავარჩიეთ, რომელთაგან თითოეული 140 კვადრატული გრადუსის ფართისაა (ნახ. 1).



ნახ. 1 Fig.

მონაცემები ამ სამი უბნისა და სარკმლის შესახებ მოყვანილია I ცხრილში, რომლის პირველი და მეორე სვეტები მოცემულ ჯგუფში შემავალი ვარსკვლავების საშუალო გალაქტიკურ კოორდინატებს შეიცავენ, მესამე სვეტი—საშუალო ხილულ ვიზუალურ სიდიდეებს, მეოთხე—სპექტრულ ტიპებს, მეხუთე—ფოტომეტრული მანძილების საშუალო მოდულებს (შთანთქმის აღურიცხველად). შემდეგი სვეტები შეიცავენ მიმდევრობით: ფერის საშუალო დამზერილ სიჭარბეს საშუალო ცდომილებითურთ, შთანთქმაზე შეუსწორებელ ფოტომეტრულ მანძილებს, შთანთქმაზე შესწორებულ მანძილებს, ერთ კილოპარსეკზე გათვლილ ფერის საშუალო სიჭარბეს საშუალო ცდომილებითურთ და მოცემულ ჯგუფში შემავალ ვარსკვლავთა რიცხვებს. ფოტომეტრულ მანძილებს ჩვეულებრივი გზით ვასწორებდით შთანთქმაზე.

ცხრილი I TABLE

	l	$\bar{b}$	$\bar{m}$	$\overline{Sp}$	$\overline{m\text{-}M}$	$\bar{E}_1$	$\bar{S}_{kps}$	$\bar{V}_{kps}$	E_0	n
სარკმელი Window	164°	$-5^{\circ}.6$	$6^{m}.3$	B4	8.2	$+0^{m}.02 \pm 0^{m}.01$	0.44	0.41	$+0^{m}.05 \pm 0^{m}.02$	16
I	150	−4.7	6.4	B3	8.8	+0.11 ± 0.01	0.58	0.42	0.26 ± 0.02	13
II	186	−3.3	6.9	B3	9.4	+0.08 ± 0.01	0.76	0.60	0.13 ± 0.01	26
III	164	+2.7	7.2	B4	10.1	+0.13 ± 0.01	1.05	0.71	+0.18 ± 0.01	29

სხვადასხვა ავტორის და, კერძოდ, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით შთანთქმის კოეფიციენტი კილოპარსეკზე უდრის $a_{pg} = 8.1\cdot E$ ფერის მაჩვენებელთა Stebbins-ის ფოტოელექტრულ სისტემაში.

ჩვენივე გამოკვლევის თანახმად $a_{pg} : a_{vis} = 1.28$. მაშასადამე, $a_{vis} = 6.3\cdot E$ იმავე სისტემაში. აქედან $\bar{\rho}$ და $\bar{r}$-სთვის კილოპარსეკებში* გვექნება

$$\overline{\log \rho} = \overline{\log r} + 1.3\,\bar{E}_1$$

მიმდევრობითი მიახლოებანი გვაძლევენ $\bar{r}$-ს, $\bar{\rho}$ და E_1-ს მიხედვით.

მოცემული მანძილის შესაბამი ფერის სიჭარბე $\bar{E}_1$ უნდა მივიყვანოთ $\bar{E}_0$-ზე, რომელიც ერთ კილოპარსეკს შეესაბამება. წინააღმდეგ შემთხვევაში $\bar{E}_1$-ის მცირე მნიშვნელობა სარკმელში შეიძლება მით აიხსნას, რომ დამზერილი ვარსკვლავები უფრო ახლო მდებარეობენ მზესთან (იხ. ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფერის საშუალო სიჭარბე კილოპარსეკზე სარკმელში ნაკლებია, ვიდრე მეზობელ უბნებში. მშთანთქავი ნივთიერების სიმკვრივის დაცემის ფაქტორის აღრიცხვა, მაგალითად, Berman-ის ფორმულით[5], არ ცვლის შედეგს ოთხივე უბნის მცირე გალაქტიკური განედის გამო.

საშუალო დამზერილი სიჭარბე ფერისა 1-ლ ნახ-ზე აღნიშნულია სათანადო მასშტაბის წრით. საშუალო ფოტოგრაფიული შთანთქმა სარკმელში აღმოჩნდა: $a_{pg} = 8\cdot E = 0^{m}.4$ ერთ კილოპარსეკზე.

* აქ, ისევე როგორც ცხრილში, უგულვებელვყოფთ სიდიდეს $(\overline{\log \rho} - \log \bar{\rho}) - (\overline{\log r} - \log \bar{r})$, რომელიც მეტად მცირეა.

გამოიკვლევდა-რა გარეგალაქტიკურ ნისლეულთა რიცხვს გარკვეულ ვარსკვლავიერ სიდიდემდე Shapley-მ[6], სარკმელში—გალაქტიკური ცენტრის ახლო, იპოვა $a_{pg} < 0^{m}.1$, ე. ი. გაცილებით ნაკლები შთანთქმა. მართლაც, ამ სარკმელში გარეგალაქტიკური ნისლეულების გაცილებით მეტი რიცხვი მოჩანს, ვიდრე ანტიცენტრის ახლო მდებარე სარკმელში. გალაქტიკის ცენტრის ახლო მდებარე სარკმელი Shapley-ს იმდენად გამჭვირვალე მიაჩნია, რომ მკრთალ ცვალებად ვარსკვლავებს უნდა ვხედავდეთ 10 კილოპარსეკზე მეტ მანძილებზე, ე. ი., შეიძლება, გალაქტიკური ცენტრის გაღმაც.

ფერის მცირე სიჭარბეთა კავშირი გარეგალაქტიკურ ნისლეულთა თანაყოფიერებასთან აცილების ზონის საზღვრებს შიგნით იმას მოწმობს, რომ მსხვილი ნაწილაკებით (მეტეორებით) და სხვა არასელექტური ფაქტორებით გამოწვეული საერთო შთანთქმის კოეფიციენტი მცირეა. ანალოგიურ დასკვნას ღებულობდნენ სხვადასხვა მოსაზრებათა საფუძველზე სხვადასხვა ავტორები და უკანასკნელ დროს, კერძოდ, Greenstein და Henyey[7].

ცხრილიდან ვღებულობთ ფერის საშუალო სიჭარბეს კილოპარსეკზე ოთხივე უბანში მდებარე B-ტიპის 84 ვარსკვლავის მიხედვით

$$\bar{E} = \frac{\Sigma \bar{E}_0}{4} = 0.155 \frac{mag}{kps}$$

და, მაშასადამე:

$$a_{pg} = 1^{m}.2 \text{ ერთ კილოპარსეკზე.}$$

შრომაში შთანთქმის შესახებ ცეფეიდების მიხედვით, რომელიც ამავე „ბიულეტენში“ იბეჭდება, ავტორმა იმავე რიგის მნიშვნელობა მიიღო ფოტოგრაფიული შთანთქმის კოეფიციენტისათვის: $a_{pg} \cong 1^{m}.0$. დიდი სარკმელი არ ცვლის შესამჩნევად შთანთქმის საშუალო კოეფიციენტს. ეს დასკვნა სავსებით გასაგებია, რადგანაც, სწორედ რომ ვთქვათ, აცილების მთელი ზონა შესდგება ცალკეულ მცირე სარკმლებისა და ბნელი ნისლეულებისაგან, ე. ი. მას აქვს, როგორც ცნობილია, „ნაფლეთ-ნაფლეთა“ აგებულება. ათზე ნაკლები ცნობილი ბნელი ნისლეული უკვე დიდ შთანთქმას ჰქმნის და, განვსაზღვრავთ-რა a_{pg}-ს, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საშუალო მნიშვნელობა გრძედის, განედის და მანძილის მიხედვით. ეს აზრი გამოთქმულია ამბარცუმიანისა და გორდელაძის[8], Greenstein-ის[9] და სხვა ავტორების მიერ.

დასკვნები. 1) B-ტიპის ვარსკვლავთა ფერის სიჭარბის შედარებითი შესწავლა გალაქტიკურ სარკმელში და მეზობელ უბნებში მიუთითებს არასელექტური ფაქტორების მცირე როლზე საშუალო შთანთქმაში.

2) შთანთქმის კოეფიციენტი B-ტიპის 84 ვარსკვლავის მიხედვით უდრის $1^{m}.2$-ს, ე. ი. ახლოა სხვა წყაროებიდან მიღებულ მნიშვნელობებთან.

დეკემბერი, 1942.

ლიტერატურა: LITERATURE:

1. Proc. Nat. Ac. Sc. 22, p. 327, 1936.
2. Aph. J. 79, p. 8, 1934.
3. H. B. No. 899, p. 17, 1935; No. 901, p. 1, 1935.
4. Aph. J. 91, p. 20, 1940.
5. M. N. 96, p. 890, 1936.
6. Op. cit.
7. Aph. J. 93, p. 327, 1941.
8. Bull. Abast. Obs. 2, p. 37, 1939.
9. H. A. 105, p. 359, 1937.

ON THE ABSORPTION IN THE WINDOWS OF ZONE OF AVOIDANCE

O. A. MELNIKOV

(Summary)

The relation between the color-excess of the stars and the number of extragalactic nebulae for the whole Galaxy has been studied by Seares[1]. It would be rather interesting to investigate the color-excesses of B stars in the windows of the zone of avoidance.

As we know, the large window is situated south of galactic equator, between the longitudes 150° and 180°. In this region of the zone of avoidance faint extragalactic nebulae are found (Hubble[2]).

The coordinates of the centre of the window are: $l=164°$, $b=-5°.6$ (in Orion).

The other galactic window discovered by Shapley[3] is situated near the galactic centre and has the coordinates: $l=301°$, $b=-16°$. In this window of zone of avoidance much more extragalactic nebulae are met. Unfortunately this area lies in the southern quadrant of the sky ($\delta=-59°$) and could not be observed by Stebbins and his collaborators.

In order to investigate the colours of the stars in the window situated near the anticentre we have used the photoelectric catalogue of colours of 1332 stars by Stebbins.

Besides the stars found in the window we have chosen 3 areas of the zone of avoidance 140 square degrees each (Fig. 1).

The Table I contains the data relating to four regions including the window.

The mean galactic coordinates of the stars are given in the first two columns; the mean apparent visual magnitudes in the third; the mean spectral types in the fourth; the mean moduli of the photometric distance (without correction for absorption) in the fifth; the mean observed color-excess with their mean errors in the sixth; the photometric distances not corrected for absorption in the seventh; the distances corrected for absorption in the eighth; the mean color-excesses per kiloparsec with their mean errors in the ninth, and finally, the number of stars in the group. The photometric distances were corrected for absorption in the usual way.

According to the investigations of several authors and ours, the absorption coefficient per kiloparsec is: $a_{pg}=8.1 \cdot E$ on the Stebbins' photoelectric scale.

According to our investigation $a_{pg}:a_{vis}=1.28$. Hence $a_{pg}=6.3 \cdot E$ in the same system. Thus *:

$$\overline{\log \rho} = \overline{\log r} + 1.3\,\overline{E}_1$$

Successive approximations give us $\bar{r}$ according to $\bar{\rho}$ and E_1. The color-excesses $\overline{E_1}$ for a given distance must be reduced to E_0 relating to one kiloparsec. Otherwise the low value of $\overline{E_1}$ in the window may be explained by the fact that the observed stars are close to the Sun.

As we see from the table the mean color-excess per kiloparsec in the window is less than in the neighbouring regions. The account of the factor of the decrease of the density of the absorbing matter with the removal from the galactic plane according to the Berman formula[5] does not change the result as these four regions have low galactic latitudes. The mean observed color-excess is represented as a circle on the given scale (Fig. 1). The mean photometric absorption in the window is: $a_{pg}=8 \cdot E=0^m.4$ per kiloparsec.

Shapley[6] investigating the number of extragalactic nebulae to the definite stellar magnitude in the window near the galactic centre found a_{pg} less than $0^m.1$ i. e. much less absorption.

In fact, the number of extragalactic nebulae observed in this window is greater than that in the window near the anticentre. Shapley considers the window near the centre so much transparent that we can see the faint variable stars at the distance more than 10 kiloparsecs i. e. probably beyond the galactic centre. The connection of the small color-excesses with the presence of extragalactic nebulae within zone of avoidance shows that the general coefficient due to large particles (meteors) and other nonselective factors according to the law $\sim \frac{k}{\lambda^{\alpha}}$ is small.

Several authors, recently Greenstein and Henyey[7] came to the similar conclusions using different methods.

We receive from our table the mean color-excess per kiloparsec of 84 B stars of all the four regions:

$$\overline{E} = \frac{\Sigma \overline{E}_0}{4} = 0.155\ \frac{mag}{kps}.$$

* Here as in the table we ignore the insignificant value of $(\overline{\log \rho} - \log \bar{\rho}) - (\overline{\log r} - \log \bar{r})$.

Thus: $a_{pg} = 1^m.2$.

The author himself studying the absorption on the base of Cepheids came to the same order of the value for photographic absorption: $a_{pg} \cong 1^m.0$. The presence of the large window does not change markedly the mean absorption coefficient.

This conclusion is fairly clear as the whole zone of avoidance consists of separate little windows and dark nebulae i. e. it has, as we know a rather spotted nature. Less than 10 well-known dark nebulae can already give a significant absorption and determining a_{pg} we always have in view only the mean value in longitude, latitude and distance.

This idea was suggested in the works of Ambarzumian and Gordeladse[8], Greenstein[9] and others.

Conclusions: 1) The comparative study of color-excess of B stars in the galactic window and neighbouring regions indicates the insignificant role of nonselective factors in the mean absorption.

2) The absorption coefficient according to 84 B stars equals $1^m.2$ i. e. is close to the value obtained from other sources.

December, 1942.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი № 8. 1945
БЮЛЛЕТЕНЬ АБАСТУМАНСКОЙ АСТРОФИЗИЧЕСКОЙ ОБСЕРВАТОРИИ № 8. 1945
BULLETIN OF THE ABASTUMANI ASTROPHYSICAL OBSERVATORY No. 8. 1945

კოსმოსური შთანთქმა გრძელპერიოდიანი ცეფეიდების მიხედვით „პერიოდი-ბრწყინვალების" მრუდის ნულ-პუნქტის საკითხთან დაკავშირებით

ო. მელნიკოვი

ვარსკვლავთშორისეთში სინათლის შთანთქმის მრავალრიცხოვან გამოკვლევებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ნივთიერება, რომელიც ამ შთანთქმას ჰქმნის, ერთობ არათანაბრად არის განაწილებული. ვარსკვლავთ მცირერიცხოვანი ჯგუფების მიხედვით მიღებული შთანთქმის კოეფიციენტები შეძლება სხვადასხვანაირი აღმოჩნდნენ. მაგრამ ვარსკვლავთ ერთსადაიმავე ჯგუფისათვის სხვადასხვა მეთოდმა და ფორმულამ ერთიდაიგივე შთანთქმის კოეფიციენტი უნდა მოგვცეს. ამასთან დაკავშირებით გაუგებარია Joy-ს შედეგი[1]; მან გრძელპერიოდიანი ცეფეიდების მიხედვით მიიღო შთანთქმის კოეფიციენტი $a_{pg}=0^m.85$ ერთ კილოპარსეკზე გალაქტიკური ბრუნვიდან, და $a_{pg}=1^m.5$ z—კოორდინატიდან. უკანასკნელიდან შთანთქმის კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდი Bottlinger-მა და Schneller-მა წამოაყენეს[2]. იგი გამოყენებული იყო ორ შრომაში პულკოვოსა და მთა ვილსონის ობსერვატორიებში[3]. ამ მეთოდის შესახებ კრიტიკული შენიშვნები Gyllenberg-მა გააკეთა[4]. მეთოდი შემდეგში მდგომარეობს. ვიცით-რა დაკვირვებიდან ცეფეიდის ხილული სიდიდე და „პერიოდი-ბრწყინვალების" მრუდიდან—მისი აბსოლუტური სიდიდე, გამოვითვლით „ფოტომეტრულ მანძილს" ρ და აქედან $z'=\rho \sin b$, სადაც b გალაქტიკური განედია.

რადგანაც გალაქტიკური სარტყელი არ წარმოადგენს დიდ წრეს და ცოტათი სამხრეთით მდებარეობს, ამიტომ საჭიროა z'—კოორდინატის ეს მნიშვნელობა შევასწოროთ მზის მანძილზე Z გალაქტიკის სიბრტყიდან, ე. ი. $z=z'+Z$. თუ შთანთქმა არ არსებობს z-კოორდინატის საშუალო აბსოლუტური მნიშვნელობა $|z|$ არ უნდა ამჟღავნებდეს ρ-ზე დამოკიდებულ სვლას, არამედ მუდმივი უნდა იყოს. ხოლო თუ დაკვირვება არ გვაძლევს $|z|=\mathrm{const}$ მზიდან სხვადასხვა მანძილისათვის, ეს მიუთითებს მშთანთქავი არის არსებობაზე. შევასწორებთ-რა შთანთქმაზე ფოტომეტრულ მანძილებს, ვცდილობთ მივაღწიოთ $|z|$-ის მუდმივობას. შთანთქმის კოეფიციენტის ის მნიშვნელობა, რომლისთვისაც $|z|=\mathrm{const}$, საძიებელი მნიშვნელობა იქნება. Bottlinger-მა და Schneller-მა მიიღეს $a_{pg}=2^m$ ერთ კილოპარსეკზე 171 ცეფეიდის საფუძველზე.

პულკოვოს ობსერვატორიაში მიღებული იყო 103 ცეფეიდიდან $a_{pg} = 0^m.7$. Joy-მ 128 ცეფეიდის საფუძველზე მიიღო $a_{pg} = 1^m.5$. ასეთი გან სხვავება შედეგებში მასალის სელექციით აიხსნება.

ამ შრომაში ჩვენ დაინტერესებული ვართ მივიღოთ შთანთქმის კოეფი ციენტი იმავე მასალიდან, რომელსაც ვხმარობდით შთანთქმის შესწავლისათვის გალაქტიკური ბრუნვისა და საშუალო პარალაქსების მიხედვით.

z-კოორდინატის მეთოდს მთელი რიგი სუსტი ადგილი აქვს. მათ შო რის უმთავრესია სამი: 1) ცეფეიდების ფენის სისქე სხვადასხვა შეიძლება აღ მოჩნდეს ცის სხვადასხვა უბანში; 2) მაღალ განედებზე მდებარე ვარსკვლავებ ცოტაოდენ აღემატებიან სიკაშკაშეში დაბალ განედებზე მყოფთ, რადგანაც მშთანთქავი ნივთიერების სიმკვრივე კლებულობს გალაქტიკის სიბრტყიდან მანძილის ზრდასთან ერთად; 3) „პერიოდი-ბრწყინვალების“ დამოკიდებულე ბის ფორმა და ნულ-პუნქტი შეიძლება აღმოჩნდეს არასწორი.

როგორც შემდეგში ვნახავთ, ცეფეიდების ფენის სისქე ნამდვილად სხვა დასხვა ყოფილა. მაგრამ ეს მთლიანად აიხსნება შთანთქმის არაერთგვაროვა ნებით. რაც შეეხება 2)-ს, გრძელპერიოდიანი ცეფეიდებისათვის იგი არა იმდენად არსებითი, რადგანაც მათ დიდი გალაქტიკური კონცენტრაცია ახა სიათებს. გარდა ამისა ჩვენ უკუვაგდეთ თითქმის ყველა ვარსკვლავი (სამის გარდა), რომელთა $z > \pm 150$ *ps* ნულ-პუნქტის წინად განსაზღვრული შესწო რებისათვის $\Delta M = -0.5$ და $a_{pg} = 1^m$. ნულ-პუნქტი მართლაც არ შეიძლებ ჩაითვალოს სწორად; „პერიოდი-ბრწყინვალების“ დამოკიდებულების ფორმა კი საკმარისად სანდოა.

ჩვენ ვისარგებლეთ Joy-ს ყველა 156 ვარსკვლავით[5] ელემენტების იმ შესწორებებით, რომლებიც Паренаго-ს აქვს მოცემული[6]. ამ სიას დაუმა ტეთ 21 ვარსკვლავი, შემავალი 86 ვარსკვლავის იმ სიაში, რომელიც საფუ ძვლად ედო საშუალო პარალაქსის გამოთვლას P. Wilson-ის შრომაში[7]. ამ ვარსკვლავთა დამატება სასარგებლო იყო, რადგანაც ისინი თითქმის ყველანი ცის სამხრეთ კვადრანტში მდებარეობენ. საერთოდ 177 ვარსკვლავისაგან შემდგარი სია მივიღეთ. მათგან 16 უკუვაგდეთ, რადგანაც მათ ჰქონდათ $z > \pm 150$ *ps*, $\Delta M = -0.5$, $a_{pg} = 1^m.0$ და $Z = 30$ *ps*-სთვის. 9 ვარსკვლავი შეად გენს ჯგუფს, რომელსაც უშველებელი ფოტომეტრული მანძილი ახასიათებს. ეს ჯგუფი ძალიან მცირერიცხოვანია და შემდეგში მას არ განვიხილავთ. დანარჩენი 152 ვარსკვლავი ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი—გალაქტიკურ სიბრ ტყეზე ფოტომეტრული მანძილის გეგმილის (x-კოორდინატი) სიდიდის მი ხედვით. როგორც ავღნიშნეთ, z-კოორდინატის გამოსათვლელად უნდა ვი ცოდეთ მზის მანძილი Z გალაქტიკის სიბრტყიდან. იგი განსაზღვრული იყო ცეფეიდების მიხედვით ორ შრომაში[8]. ამ სიდიდის გამოთვლა სამი ხერხით არის შესაძლო: ა) როგორც z'-ის საშუალო არითმეტიკულისა შებრუნებული ნიშნით: $Z = -\frac{\Sigma z'}{n}$; ბ) ცეფეიდების მზის მიმართ გალაქტიკური „ჩაძირვის“ (dip) მიხედვით: $Z = -\bar{r}\,\overline{\sin b}$; გ) z'-ის ნორმალური განაწილების მრუდის საფუძველზე.

პირველი მეთოდი გვაძლევს Z-ის დამოკიდებულებას შთანთქმაზე და „პერიოდი-ბრწყინვალების“ ნულ-პუნქტის შესწორებაზე, რაც წარმოდგენილია ცხრილში I. Z-ის ეს მნიშვნელობანი, რომელნიც კილოპარსეკებშია მოცემული, გამოყენებულია გამოთვლებისათვის: $z = z' + Z$.

ცხრილი I ТАБЛИЦА

a_{pg} \ ΔM	0.0	−0.5	−1.0
0.0^m	0.045	0.057	0.072
0.5	0.031	0.036	0.043
1.0	0.024	0.029	0.034
1.5	0.022	0.025	0.028
2.0	0.020	0.022	0.025

ცხრილიდან ვღებულობთ, რომ შემთხვევისათვის $\Delta M = -0.5$ და $a_{pg} = 1^m.0$ (რაც ახლოა სინამდვილესთან, როგორც შემდეგში ვნახავთ), ა)—მეთოდი გვა- ძლევს $Z = 0.029$ *kps* $\pm$ 0.006. რადგანაც 152 ვარსკვლავისათვის $\overline{\sin b} = -0.0307 \pm 0.0086$, $\bar{r} = 1.28$ *kps*, ამიტომ ბ)—მეთოდის გამოყენება გვაძლევს $Z = 0.039 \pm 0.011$. გ)—მეთოდი გვაძლევს $Z = 0.031 \pm 0.007$. საბოლოო მნიშვ- ნელობად შეგვიძლია მივიღოთ საშუალო აწონილი, გამოხატული კილოპარსე- კებში: $Z = 0.031 \pm 0.004$.

მიღებული მნიშვნელობა თანხმობაშია წინად განსაზღვრულ[9] მნიშვნელო- ბასთან $Z = 0.034 \pm 0.011$, რომელიც მიღებული იყო როგორც ცეფეიდების, ისე სხვა, დიდი გალაქტიკური კონცენტრაციით დახასიათებული ვარსკვლავე- ბის მიხედვით.

ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „პერიოდი-ბრწყინვა- ლების“ დამოკიდებულების უარყოფითი შესწორების $\Delta M = -0.5$ და შთანთქ- მის $a_{pg} = 1^m.0$ შემოღება არ ცვლის სავარსკვლავო ასტრონომიის უმნიშვნე- ლოვანეს მუდმივს—მზის მანძილს გალაქტიკის სიბრტყემდე.

ნახ. 1 გვიჩვენებს, რომ განაწილების სიხშირე z'-ის მიხედვით კარგად არის გამოხატული ნორმალური კანონით.



ნახ. 1 Черт.

გრაფიკი წარმოადგენს ცნობილ „ალბათობის ქაღალდს“ (probability paper). ორდინატთა ღერძზე ვარსკვლავთა რიცხვია %%-ში, აბსცისთა ღერძზე—z'. ამ გრაფიკზე განაწილების ნორმალური კანონი სწორი ხაზით წარმოგვიდგება.

შემდეგში, გამოვიყენეთ-რა ცხრილი I, გამოვთვალეთ ცხრილი II, რომელიც ცეფეიდების $\bar{x}$ და $|\bar{z}|$ კოორდინატებს გვაძლევს

4 ჯგუფისათვის, 3 შესწორებისათვის და ფოტოგრაფიული შთანთქმის 5 მნიშ-ვნელობისათვის.

ცხრილი II ТАБЛИЦА

ჯგუფი Группа	n	x_0	$\lvert\bar{\xi}\rvert_0$	x_1	$\lvert\bar{\xi}\rvert_1$	x_2	$\lvert\bar{\xi}\rvert_2$	x_3	$\lvert\bar{\xi}\rvert_3$	x_4	$\lvert\bar{\xi}\rvert_4$
					$\Delta M = 0.0$						
I	39	0.48	0.052	0.43	0.050	0.39	0.046	0.36	0.043	0.34	0.041
II	37	1.13	0.060	0.94	0.050	0.80	0.043	0.71	0.038	0.64	0.034
III	39	2.51	0.096	1.68	0.065	1.33	0.051	1.16	0.043	0.99	0.036
IV	37	4.90	0.138	2.62	0.073	1.95	0.057	1.59	0.044	1.36	0.037
$a_{pg}\frac{mag}{kps}$		0.0		0.5		1.0		1.5		2.0	
					$\Delta M = -0.5$						
I	39	0.61	0.066	0.53	0.061	0.47	0.056	0.42	0.052	0.40	0.048
II	37	1.42	0.076	1.12	0.060	0.94	0.050	0.82	0.044	0.73	0.039
III	39	3.16	0.121	1.98	0.076	1.53	0.058	1.27	0.049	1.11	0.042
IV	37	6.16	0.174	3.02	0.083	2.19	0.060	1.76	0.048	1.51	0.041
$a_{pg}\frac{mag}{kps}$		0.0		0.5		1.0		1.5		2.0	
					$\Delta M = -1.0$						
I	39	0.76	0.083	0.64	0.076	0.56	0.068	0.50	0.062	0.46	0.058
II	37	1.79	0.095	1.31	0.071	1.10	0.059	0.94	0.051	0.82	0.045
III	39	3.98	0.153	2.31	0.088	1.75	0.067	1.44	0.054	1.24	0.047
IV	37	7.76	0.219	3.43	0.095	2.45	0.067	1.96	0.053	1.66	0.045
$a_{pg}\frac{mag}{kps}$		0.0		0.5		1.0		1.5		2.0	

ცხრილი II-ის საშუალებით გრაფიკულად გამოვითვლით ისეთ a_{pg}-ს, რომლისთვისაც მრუდეები $\lvert\bar{\xi}\rvert = f(a_{pg})$ გადაჰკვეთენ (და შეეხებიან) ერთიმეორეს.

ცხრილი III ТАБЛИЦА

ΔM	0.0	−0.5	−1.0
a_{pg}	$1^m.6$	$1^m.2$	$0^m.8$
$[\bar{a}_{pg}]_s$	1.45	1.09	0.73

შედეგები მოცემულია ცხრილში III და ნახაზზე 2. ამ ცხრილიდან მიღებული მნიშვნელობანი a_{pg}-ისა უნდა შევამციროთ, რადგანაც 152 გამოყენებული ვარსკვლავიდან 14-ს (9.2%) ახასიათებს $b \geqq \pm 10°$.



ნახ. 2 Черт.

ასეთი მეთოდი, კერძოდ, Wilson-მა გამოიყენა. $[\bar{a}_{pg}]_s$-ს მნიშვნელობანი, ცხრილი III-ის უკანასკნელ სტრიქონში, a_{pg}-ს 91%-ს შეადგენენ.

$\Delta M = 0.0$-სთვის, ე. ი. „პერიოდი-ბრწყინვალების" Shapley-ს დამოკი-

დებულებისათვის ჩვენ მივიღეთ $a_{pg} = 1^m.45$, რაც კარგ თანხმობაშია Joy-ს შედეგთან ($a_{pg} = 1^m.5$). ფოტოგრაფიული შთანთქმისათვის ინტერნაციონალურ სისტემაში $a_{pg} = 1^m.1$, რაც უკანასკნელ შრომებიდან გამომდინარეობს, როგორც ეს ცხრილიდან IV სჩანს, ვღებულობთ $\Delta M = -0.5$, $a_{pg} = 1^m.1$ ერთკილოპარსეკზე*. ΔM და a_{pg}-ს ეს მნიშვნელობანი თანხმობაში არიან—სიზუსტის ფარგლებში—იმ მნიშვნელობებთან, რომელნიც ავტორმა საშუალო პარალაქსებისა და გალაქტიკური ბრუნვის მიხედვით მიიღო, სახელდობრ, $\Delta M = -0.5$ და $a_{pg} = 0^m.9$.

ცხრილი IV ТАБЛИЦА

a_{pg}	მასალა Материал	ავტორი Автор
$1^m.1$	ცეფეიდები და ღია გროვები Цефеиды и открытые скопления	Van Rhijn[10]
1.06		
1.1	B-ვარსკვლავები B-звезды	Stebbins, Huffer, Whitford[11]
~1.0	საკუთ. მოძრ. Собств. движ.	Дейч**
0.91	ცეფეიდები Цефеиды	Мельников
~1.0	ვარსკვლავთ დათვლები Подсчеты звезд	Bok[12]

თუ მივიღებთ გალაქტიკური ბრუნვის მუდმივის თანამედროვე მნიშვნელობას[13] $A = 17.7\ \frac{km}{sec}$, მაშინ Van Rhijn-ის შრომიდან გამომდინარეობს, რომ $\Delta M = -0.3$. Wilson-ის შრომიდან[14] (რომელშიაც მიღებული იყო $A = 20.9\ \frac{km}{sec}$), $A = 17.7$-სთვის და $a_{pg} = 1^m.0$-სთვის ცეფეიდების გალაქტიკური ბრუნვიდან გამოდის $\Delta M = -0.6$. საშუალო პარალაქსებიდან Wilson-ი ღებულობს $\Delta M = -0.4$.

ავტორის მნიშვნელობა—ერთდროულად საშუალო პარალაქსებისა და გალაქტიკური ბრუნვის მიხედვით—არის $\Delta M = -0.5$. მაშასადამე, ყველა უკანასკნელ შრომებს, რომელნიც „პერიოდი-ბრწყინვალების" დამოკიდებულების ნულ-პუნქტის საკითხს შეეხებიან, მივყავართ საშუალო შესწორებამდე $\Delta M = -0.5$.

აქ მიღებული მნიშვნელობანი ΔM და a_{pg}-სათვის თანხვდებიან თანამე-

---

* Wilson-ის მნიშვნელობა $a_{pg} = 0^m.65$ შემცირებულია, რადგანაც მან ცეფეიდებისათვის გამოიყენა $\Delta M = 0.0$.

** ავტორმა თავაზიანად მაცნობა გამოქვეყნებამდე. Любезно сообщено автором до опубликования.

დროვე მნიშვნელობებს *, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ z-კოორდინატის მეთოდი ΔM და a_{pg}-ს განსაზღვრის თვისებრივ მეთოდებს უნდა მიეკუთვნოს.

გალაქტიკურ სისტემაში შთანთქმის შემდგომი შესწავლისათვის 152 ვარსკვლავი 2 ჯგუფად დავყავით — მიმართულებებით გალაქტიკის ცენტრისაკენ ($l_0 = 325°$) და ანტიცენტრისაკენ ($l = 145°$). თითოეული ამ ჯგუფიდან 4 ქვეჯგუფად იყო დაყოფილი x-კოორდინატის მიხედვით $\Delta M = -0.5$-სთვის. შედეგები მოყვანილია ცხრილში V.

ცხრილი V ТАБЛИЦА

$\Delta M = -0.5$

ჯგუფი Группа	n	x_0	$\lvert z \rvert_0$	x_1	$\lvert z \rvert_1$	x_2	$\lvert z \rvert_2$	x_3	$\lvert z \rvert_3$	x_4	$\lvert z \rvert_4$
გალაქტიკის ცენტრი Галактический центр ($l = 235°—55°$)											
I	30	0.63	0.060	0.54	0.058	0.48	0.053	0.44	0.049	0.41	0.046
II	17	1.36	0.072	1.05	0.058	0.90	0.049	0.79	0.043	0.70	0.038
III	18	3.19	0.110	1.99	0.093	1.54	0.071	1.28	0.060	1.12	0.051
IV	9	6.03	0.256	2.98	0.121	2.17	0.086	1.72	0.068	1.53	[0.058]
ანტიცენტრი Антицентр ($l = 55°—235°$)											
I	9	0.52	0.086	0.46	0.073	0.42	[0.066]	0.39	0.061	0.35	0.056
II	20	1.57	0.079	1.18	0.062	0.98	0.051	0.86	0.045	0.76	0.040
III	21	3.14	0.096	1.96	0.060	1.52	0.047	1.27	0.039	1.10	0.034
IV	28	6.20	0.147	3.04	0.071	2.20	0.052	1.77	0.042	1.51	0.035
a_{pg}		0.0		0.5		1.0		1.5		2.0	

ცხრილი V გვიჩვენებს, რომ გალაქტიკის ცენტრისაკენ ** შთანთქმა 2 ვარსკვლავიერი სიდიდის რიგისაა, ხოლო ანტიცენტრისაკენ 1 ვარსკვლავიერი სიდიდისა. ამავე დროს ცეფეიდების ფენის საშუალო აწონილი სისქე ორივე მიმართულებით ერთნაირი გამოდის — 0.05 კილოპარსეკის რიგისა; სახელდობრ: ცენტრისაკენ $|z| = 0.047 \pm 0.003$ და ანტიცენტრისაკენ $|z| = 0.052 \pm 0.003$.

მიღებული შედეგი ახსნას აძლევს შემცდარ დასკვნას დიდი შთანთქმის შესახებ ანტიცენტრის მიმართულებით (პულკოვოს აღნიშნული შრომა). შთანთქმის მეტი მნიშვნელობა გალაქტიკის ცენტრის მიმართულებით აიხსნება დიდი

* Lundmark-ი (Lund. Medd. Ser. II, No. 60, 1931), შეაჯამებს-რა საკითხს ნულპუნქტის შესახებ 1931 წლამდე, სთვლის შესაძლოდ მნიშვნელობას $\Delta M = -0.3$. ეს შესწორება სპობს იმ განსხვავებას მაგელანის ღრუბლების მანძილებში, რომელნიც მიღებულნი იყვნენ „პერიოდი-ბრწყინვალების" Shapley-სეული დამოკიდებულებისა და სხვა მეთოდების მიხედვით. დადებითი შესწორებანი უმთავრესად მით იყვნენ გამოწვეულნი, რომ არ იცოდნენ შთანთქმის მნიშვნელობა, რაც შემდგომში თვით ავტორებმა აღიარეს (Poulk. Obs. Circ. No. 10, p. 9, 1934).

** ჩვენ არ ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას იმ ჯგუფებს, რომელთ $n = 9$ (ცხრილში ბრჩხილებში არიან მოთავსებულნი).

ბნელი ღრუბლის არსებობით Ophiuchus-თანავარსკვლავედში. როგორც ცნობილია, ამ არეში თითქმის სულ არ გვხვდება მკრთალი გარეგალაქტიკური ნისლეულები. საწინააღმდეგო მიმართულებით შთანთქმა ნაწილობრივ აიხსნება დიდი ღრუბლით Taurus-თანავარსკვლავედში. აქ უფრო ხშირად ვხვდებით მკრთალ გარეგალაქტიკურ ნისლეულებს. ნათქვამი კარგად ეთანხმება ცხრილი V-ის შედეგებს. ფერის დიდი სიჭარბის მატარებელი B-ვარსკვლავების განაწილების გამოკვლევაში, რაც Stebbins-მა და მისმა კოლეგებმა შეასრულეს [15], გამოირკვა, რომ უმეტესად გაწითლებული ვარსკვლავები გალაქტიკური ცენტრის არეში მდებარეობენ. ამავე ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ იგივე გაწითლებული ვარსკვლავები გალაქტიკის ცენტრთან გალაქტიკის სიბრტყის ჩრდილოეთით განლაგდებიან, სადაც შთანთქმა მეტია.

ამ შედეგის შემოწმებისათვის ცეფეიდების მიხედვით, უკანასკნელნი 2 ჯგუფად დავყავით გრძედებისათვის 235°—55° და 55°—235°, გალაქტიკის სიბრტყის მიმართ ჩრდილოეთსა და სამხრეთ ჯგუფად. ცხრილში VI მოყვანილია $|z|$ შთანთქმის ხუთი მნიშვნელობისათვის და $\Delta M = -0.5$-სთვის. როგორც ვხედავთ, $|z|$-კოორდინატი გალაქტიკის ჩრდილოეთ ნაწილში ყოველთვის მეტია, ვიდრე სამხრეთისაში, რაც გამოწვეულია შთანთქმის მეტი მნიშვნელობით ჩრდილოეთ ნაწილში. ეს თანხმობაშია Stebbins-ის და მისი კოლეგების შედეგებთან.

ცხრილი VI ТАБЛИЦА

n	$\lvert z \rvert_0$	$\lvert z \rvert_1$	$\lvert z \rvert_2$	$\lvert z \rvert_3$	$\lvert z \rvert_4$
გალაქტიკის ცენტრი. ჩრდილოეთი. Галактический центр. Север					
22	0.137	0.096	0.076	0.066	0.059
სამხრეთი. Юг.					
52	0.096	0.066	0.054	0.047	0.042
ანტიცენტრი. ჩრდილოეთი. Антицентр. Север					
32	0.163	0.102	0.081	0.069	0.061
სამხრეთი. Юг					
46	0.071	0.041	0.032	0.027	0.023
a_{pg}	0.0	0.5	1.0	1.5	2.0

დამატებით იგივე ეფექტი აღმოვაჩინეთ ანტიცენტრის მიმართულებითაც. აქ ეფექტი უფრო მკვეთრიცაა. შესაძლოა, რომ ნაწილობრივ ეს მით არის გამოწვეული, რომ ანტიცენტრის მიმართულებით მშთანთქავ ფენაში არსებობს „სარკმელი" (window), სადაც მკრთალი გარეგალაქტიკური ნისლეულები გვხვდება.

დასკვნები. 1) ცეფეიდების z-კოორდინატის შესწავლას მივყავართ დამოკიდებულების $\Delta M = f(a_{pg})$ განსაზღვრამდე. როცა შთანთქმა 1^m რიგისაა, ΔM ეტოლება -0.5-ს-

2) მნიშვნელობანი $\Delta M = -0.5$ და $a_{pg} = 1\overset{m}{.}0$ არ ცვლიან, სიზუსტის ფარგლებში, სავარსკვლავო ასტრონომიის ფუნდამენტურ მუდმივს—მზის მანძილს გალაქტიკის სიბრტყემდე*. მისთვის მიღებულია მნიშვნელობა $Z_1 = 31\ ps \pm 4$.

3) შთანთქმა გალაქტიკის ცენტრზე მეტია, ვიდრე ანტიცენტრზე, რაც თანხმობაშია სხვა ობიექტებზე და მეთოდებზე დამყარებულ გამოკვლევებთან. შთანთქმა გალაქტიკის სიბრტყის ჩრდილოეთ მხარეზე ორივე მიმართულებით მეტია, ვიდრე სამხრეთისაზე.

დასასრულ ავღნიშნავთ, რომ ამ შრომაში გამოკვლეულია მხოლოდ საშუალო კოეფიციენტი შთანთქმისა $\bar{a}_{pg}$ 152 ცეფეიდისაგან შედგენილი ჯგუფის მიხედვით (საშუალო აქ გვესმის მზიდან მანძილისა და გალაქტიკური გრძედისა და განედის თვალსაზრისით). ეს კოეფიციენტი შეიძლება სრულიად უვარგისი აღმოჩნდეს სხვა ჯგუფისათვის, რომელიც ცეფეიდების მოცემული ჯგუფისაგან განსხვავებულად მდებარეობს. აქ მიღებული მნიშვნელობანი ფოტოგრაფიული შთანთქმისა და ΔM-ისა ახსნას აძლევენ იმ განსხვავებას, რომელიც Joy-მ მიიღო შთანთქმის მნიშვნელობებში გალაქტიკური ბრუნვისა და z-კოორდინატის მიხედვით.

შთანთქმა ცეფეიდების მიხედვით შეიძლება ცოტათი ნაკლები იყოს ვიდრე სხვა ობიექტების მიხედვით. ცეფეიდების აღმოჩენა უპირატესად გალაქტიკური სარტყელის უფრო ნათელ არეებში ხდება. მაგრამ ეს ეფექტი მცირეა: 0.1—0.2 ვარსკვლავიერი სიდიდის რიგისაა, როგორც ეს Van Rhijn-მა გვიჩვენა[16], თუმცა მართალია, რომ Stebbins-ი და მისი კოლეგების წინასწარი შედეგები ცეფეიდებისათვის[17] ფერის ნაკლებ სიჭარბეს გვიჩვენებენ, ვიდრე იმავე ხილული ფოტომეტრული მანძილების მოდულების მქონე B-ვარსკვლავები, მაგრამ ეს შესაძლოა გამოწვეულია „პერიოდი-სიკაშკაშის" Shapley-სეული მრუდის შესწორების არსებობით ან B-ვარსკვლავების აბსოლუტურ სიდიდეთა შესწორებებით.

ნოემბერი, 1942.

ლიტერატურა: ЛИТЕРАТУРА: LITERATURE:

1. Aph. J. 89, p. 356, 1939.
2. Zs. f. Aph. B. 1, S. 339, 1930.
3. Poulk. Obs. Circ. No. 10, p. 9, 1934; Aph. J. 89, p. 356, 1939.
4. Lund Medd. Ser. I, p. 144, 1936.
5. Op. cit.
6. N.N.V.S. 5, No. 9—10, p. 280, 1940.
7. Aph. J. 93, p. 212, 1941.
8. Proc. Nat. Ac. Sc. No. 6, p. 387, 1927; Poulk. Obs. Circ. No. 10, p. 9, 1934.
9. Op. cit.
10. Publ. Kapt. Astr. Lab. Groningen, No. 47, 1936.
11. Aph. J. 92, p. 193, 1940.
12. Aph. J. 90, p. 249, 1939.
13. Aph. J. 92, p. 170, 1940.
14. Aph. J. 89, p. 218, 1939.
15. Aph. J. 90, p. 209, 1939.
16. Op. cit.
17. Op. cit.

* შენიშვნა კორექტურის დროს. როგორც ეს ავტორს თავაზიანად აცნობა პროფ. პ. პარენაგომ, უკანასკნელმა გრიგორიევასთან ერთად გამოქვეყნებული საინტერესო შრომაში (Астр. Ж. XVII), იპოვა მნიშვნელობა $Z = 25\ ps$.

КОСМИЧЕСКОЕ ПОГЛОЩЕНИЕ ПО ДОЛГОПЕРИОДИЧЕСКИМ ЦЕФЕИДАМ В СВЯЗИ С ВОПРОСОМ О НУЛЬ-ПУНКТЕ КРИВОЙ „ПЕРИОД-СВЕТИМОСТЬ"

О. А. МЕЛЬНИКОВ

(Резюме)

Многочисленные исследования междузвездного поглощения приводят к заключению, что материя, вызывающая это поглощение распределена весьма неравномерно. Коэфициенты поглощения, полученные по немногочисленным группам звезд могут оказаться различными. Однако для одной и той же группы звезд разные методы и формулы должны приводить к одному и тому же коэфициенту поглощения. В связи с этим непонятен результат Joy'я[1], получившего по долгопериодическим цефеидам коэфициенты поглощения $a_{pg} = 0\overset{m}{.}85$ из галактического вращения и $a_{pg} = 1\overset{m}{.}5$ из z-координаты.

Метод определения коэфициента поглощения по z-координате был предложен Bottlinger'ом и Schneller'ом[2], после чего был применен в двух работах в Пулковской обсерватории и обсерватории на горе Вильсон[3]. Критические замечания к методу принадлежат Gyllenberg'y[4].

Предложенный метод заключается в следующем. Зная видимую величину цефеиды из наблюдений и ее абсолютную величину из кривой «период-светимость», вычисляем фотометрическое расстояние ρ, а отсюда и $z' = \rho \sin b$, где b—галактическая широта. Так как галактический пояс не является большим кругом, а расположен несколько южнее, то это значение z'-координаты необходимо исправить за Z—расстояние Солнца до галактической плоскости: $z = z' + Z$. Среднее абсолютное значение z-координаты $|\bar{z}|$, в случае отсутствия поглощения, не должно давать хода с ρ, а должно быть постоянным. Если же наблюдения не дают $|\bar{z}| = \text{const}$ для различных расстояний от Солнца, то это говорит о присутствии поглощающей среды. Исправляя фотометрические расстояния за поглощение, мы добиваемся постоянства $|\bar{z}|$-координаты. Коэфициент поглощения, при котором $|\bar{z}|$ окажется постоянной и будет искомым. Bottlinger и Schneller получили $a_{pg} = 2^m$ по 171 цефеиде. В Пулковской обсерватории было получено $a_{pg} = 0\overset{m}{.}7$ из 103 цефеид. Joy получил $a_{pg} = 1\overset{m}{.}5$ по 128 цефеидам. Полученное различие объясняется селекцией материала.

В настоящей работе мы заинтересованы лишь в получении коэфициента поглощения из того же материала, который употреблялся нами при изучении поглощения по галактическому вращению и по средним параллаксам. Метод z-координаты имеет ряд слабых мест, главнейшие из которых три:

1) Толщина слоя цефеид может оказаться различной в разных участках неба.

2) Звезды, расположенные в высоких широтах будут несколько ярче, чем в низких, так как плотность поглощающей материи уменьшается с расстоянием от галактической плотности.

3) Нуль-пункт и форма зависимости «период-светимость» также могут оказаться неправильными.

Как мы увидим в дальнейшем, толщина слоя цефеид оказывается действительно различной. Однако это целиком объясняется неравномерностью в поглощении. Что касается 2), то для долгопериодических цефеид это не так существенно, так как они показывают большую галактическую концентрацию. Кроме того, мы отбросили все звезды (за исключением 3-х), имеющие $\zeta > \pm 150$ ps для определенной ранее поправки нуль-пункта $\Delta M = -0.5$ и $a_{pg} = 1^m$.

Третье возражение в части нуль-пункта действительно имеет место. Форму-же зависимости «период-светимость» можно считать достаточно надежной.

Мы воспользовались всем списком Joy'я в 156 звезд[5], с поправками к элементам, приведенными П. П. Паренаго[6]. К этому списку была добавлена 21 звезда, входящая в список 86 звезд, служивших для определения среднего параллакса в работе P. Wilson'а[7]. Добавление этих звезд выгодно, так как они лежат почти все в южном квадранте неба. В общем был получен список в 177 звезд. 16 из них отброшены, так как имеют $\zeta > \pm 150$ ps для $\Delta M = -0.5$, $a_{pg} = 1^m.0$ и $Z = 30$ ps. 9 звезд составляют группу с огромным фотометрическим расстоянием. Эта группа слишком малочисленна и не рассматривается в дальнейшем. Оставшиеся 152 звезды разбиты на 4 группы. Группы делятся по величине проекции фотометрического расстояния на галактическую плоскость (x- координаты). Как было уже указано, для вычисления ζ-координаты нам необходимо знать расстояние Солнца Z от галактической плоскости. Величина Z определялась по цефеидам в двух работах[8]. Эту величину можно определять тремя способами: a) как среднее арифметическое ζ' с обратным знаком: $Z = -\frac{\Sigma\zeta'}{n}$; b) по галактическому «погружению» (dip) цефеид относительно Солнца: $Z = -\bar{r}\,\overline{\sin b}$; c) по кривой нормального распределения ζ'.

Первый метод определения приводит нас к зависимости Z в килопарсеках от поглощения и поправки нуль-пункта «период-светимость» (табл. I). Эти значения Z употребляются в дальнейшем для вычисления $\zeta = \zeta' + Z$.

Для $\Delta M = -0.5$ и $a_{pg} = 1^m.0$, что близко к действительности (см. ниже), метод a) дает $Z = 0.029$ $kps \pm 0.006$; так как для 152 звезд $\overline{\sin b} = -0.0307 \pm 0.0086$, $\bar{r} = 1.28$ kps, то применение метода b) дает

$Z = 0.039 \pm 0.011$; метод c) дает $Z = 0.031 \pm 0.007$. Как окончательное значение можно принять среднее взвешенное в килопарсеках:

$$Z = 0.031 \pm 0.004.$$

Полученное значение находится в согласии с ранее определенным[9] $Z = 0.034 \pm 0.011$, как по цефеидам, так и по другим звездам, показывающим большую галактическую концентрацию.

Весьма важным кажется тот факт, что введение отрицательной поправки к зависимости «период-светимость» $\Delta M = -0.5$ и поглощения $a_{pg} = 1^m.0$ не меняет важной постоянной звездной астрономии—расстояния Солнца до галактической плоскости.

На черт. 1 показано, что частота распределения по ζ' хорошо представляется нормальным законом. График представляет из себя известную «бумагу вероятностей» (probability paper). По оси ординат нанесено число звезд в %% от $-\infty$ до данного ζ', идущего по абсциссе. На этой бумаге нормальный закон распределения представляется прямой. В дальнейшем, пользуясь таблицей I, мы вычислили таблицу II, дающую $\bar{x}$ и $|\bar{\zeta}|$ координаты цефеид для 4 групп, 3 поправок к зависимости «период-светимость» и 5 значений фотографического поглощения. С помощью таблицы II мы вычисляем графически a_{pg}, при которых кривые $|\bar{\zeta}| = f(a_{pg})$ пересекаются (и касаются) друг с другом.

აბასთუმანი შეჭრილია აჭარა—გურიის ქედის სამხრეთ კალთებში. ეს ქედი იმ ნაწილში, სადაც იგი ესაზღვრება კურორტის ზონას 2000—2800 მეტრის სიმაღლეს აღწევს ზღვის დონიდან. აბასთუმანი ამ ქედის განშტოებებით არის შემოზღუდული ყოველი მხრიდან, გარდა სამხრეთისა, საითაც მას ახალციხის ტაფობი აკრავს. უფრო მოშორებით (80—90 კმ) ამ მიმართულებით ახალქალაქის ზეგანი მდებარეობს, რომლის სიმაღლე საშუალოდ 1800 მეტრია.

აბასთუმანი საკავშირო მნიშვნელობის კურორტია, მისი კლიმატის შესწავლას ბევრი შრომა მიეძღვნა, რომელთაც ძირითადად ადგილობრივი მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური მონაცემები უდევს საფუძვლად. სათანადო მასალების უქონლობის გამო, ამ შრომებში ან სულ არაა ანდა მცირე ადგილი უჭირავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიცაა მზის რადიაცია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გ. ჭირაქაძის შრომა[1], სადაც, მართალია, მოცემულია აქტინომეტრული დამახასიათებლები, მაგრამ ესენიც მცირე პერიოდის (1—1½ წ.) მასალებიდანაა გამოყვანილი. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვაქვეყნოთ ზოგიერთი შედეგები, რომლებიც მიღებულია აბასთუმნის მეტეოროლოგიურ სადგურზე წარმოებული აქტინომეტრული დაკვირვებებიდან. აქტინომეტრული დაკვირვებები აბასთუმნის მეტეოროლოგიურ სადგურზე წარმოებს 1932 წლიდან, მიხელსონის სისტემის აქტინომეტრის საშუალებით, საერთაშორისო პროგრამის მიხედვით.

წინამდებარე წერილში მოყვანილი მონაცემები მიღებულია 1932—40 წწ პერიოდში წარმოებულ აქტინომეტრულ დაკვირვებათა საფუძველზე, ამიტომ სხვა დამხმარე კლიმატური ელემენტებიც (მზის ნათება, სინოტივე და სხვა) ამავე პერიოდს ეკუთვნიან. აქტინომეტრული სიდიდეები მოცემულია ევროპული სკალის (Ångström-ის) მიხედვით.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, აბასთუმანი ხეობაში მდებარეობს, რის გამოც მისი ჰორიზონტი მნიშვნელოვნად დახურულია მახლობელი სერებით.

ჰორიზონტი განსაკუთრებით დახურულია აღმოსავლეთით და დასავლეთით, რადგანაც ხეობას მ ე რ ი დ ი ა ნ უ ლ ი მიმართულება აქვს. აბასთუმნის ჰორიზონტის სურათს ნახ. 1 იძლევა, რომელზედაც ჰორიზონტის სიმაღლე (მეტეოროლოგიური სადგურიდან აზომილი) გრადუსებშია მოცემული. ამ ნახაზზე ხშირი ხაზებით ნაჩვენებია ჰორიზონტის ის ნაწილი, რომელშიაც ხდება მზის ამოსვლა-ჩასვლის წერტილების გადანაცვლება წლის განმავლობაში.

როგორც გამოთვლები გვიჩვენებს, მზის ნათების ხანგრძლივობის შესაძლებელი წლიური ჯამი აბასთუმანში—სრულიად ღია ჰორიზონტის შემთხვევაში—4400 საათი იქნებოდა. არსებული რეალური ჰორიზონტის პირობებში კი მზის ნათების შესაძლებელი წლიური ჯამი 3232 საათია, ე. ი. ჰორიზონტის დახურულობის გამო აბასთუმანი წლის განმავლობაში მზის ნათების 1168 საათს ჰკარგავს.

მზის ნათების ხანგრძლივობის ნამდვილი წლიური ჯამი, Campbell-ის ჰელიოგრაფის მონაცემების თანახმად, აბასთუმანში უდრის საშუალოდ 1897 საათს, რაც შესაძლებელი ნათების (რეალური ჰორიზონტის მიხედვით) 59%-ს შეადგენს. ამ სიდიდეების განაწილების სურათს წლის განმავლობაში I ცხრილი გვაძლევს.

ცხრილი I ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
მზის ნათების შესაძლო ჯამები.—Возм. суммы сияния солнца: ღია ჰორიზონტისათვის. . . При открыт. горизонте	290	294	364	394	445	449	456	426	370	340	292	280	4400
მზის ნათების შესაძლო ჯამები.—Возм. суммы сияния солнца: რეალური ჰორიზონტისათვის . При реальн. горизонте	196	209	278	299	329	344	343	318	283	249	199	185	3232
დანაკარგი ჰორიზონტის დახურულობის გამო . . Потеря от закрытости горизонта	94	85	86	95	116	105	113	108	87	91	93	95	1168
მზის ნათება ჰელიოგრაფით Сияние солнца по гелиографу	81	89	155	155	192	205	223	243	193	176	103	83	1897
ნამდვილი ნათების ფარდობა შესაძლებელთან $^0/_0$-ში. . . . . . . Отношение действительного сияния к возможному в $^0/_0$	41	43	56	52	58	60	65	76	68	71	52	45	59



როგორც ამ ცხრილიდან (მე-4 სტრიქონი) ვხედავთ, მზის ნათების ხანგრძლივობის მაქსიმუმს აბასთუმანში ადგილი აქვს აგვისტოში (243 საათი), მინიმუმს კი იანვარში (81 საათი). ცხადია, მზის ნათების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დღის ხანგრძლივობაზე, ადგილის ჰორიზონტზე და ღრუბლიანობაზე. აგვისტოში დღის ხანგრძლივობა ნაკლებია, ვიდრე ივნისსა და ივლისში, არც ჰორიზონტის მოხაზულობაა განსაკუთრებით უკეთესს მდგომარეობაში სხვა თვეებთან შედარებით, ასე რომ მაქსიმუმი აგვისტოში მხოლოდ და მხოლოდ ღრუბლიანობის სიმცირით აიხსნება. ეს იქედანაც ჩანს, რომ შესაძლებელი ნათების სინამდვილეში განხორციელების მაქსიმუმს სწორედ აგვისტოში აქვს ადგილი (76%, ცხრ. I, მე-5 სტრ.), რასაც ღრუბლიანობის მონაცემებიც ეთანხმება; ღრუბლიანობის მინიმუმი აგვისტო-სექტემბერშია (ცხრილი II).

ცხრილი II ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელიწადი Год
მოღრუბლულობა %%-ში Облачность в %%	56	73	57	58	58	51	45	40	40	43	51	52	52

ამნაირად, აბასთუმანში ყველაზე მდიდარი თვე მზის ნათების მხრივ არის აგვისტო, ხოლო ყველაზე ღარიბი—იანვარი.

ცხრილი III-ის განხილვა გვიჩვენებს, რომ ნოემბრიდან თებერვლამდე, ჩათვლით, მზის ნათება შუადღემდე საერთოდ ნაკლებია, ვიდრე ნაშუადღევს, დანარჩენ თვეებში კი, მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით, პირიქით, შუადღემდე ნათება მეტია, ვიდრე ნაშუადღევს. საერთო წლიურ ჯამებში, ნათება შუადღემდე 73 საათით (8%) მეტია ნაშუადღევისაზედ (შუადღემდე 985 საათი, ნაშუადღევს 912 საათი). აღნიშნულ მოვლენათა მიზეზი შეიძლება იყოს ორი გარემოება: ჰორიზონტის დახურულობის განსხვავება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ღრუბლიანობის თავისებური განაწილება დღის განმავლობაში.

განვიხილოთ ჯერ ჰორიზონტის დახურულობის სხვაობათა გავლენა. აღმოსავლეთის და დასავლეთის ჰორიზონტის მოხაზულობის შედარება გვიჩვენებს, რომ დასავლეთით ჰორიზონტი უფრო მეტად დახურულია აღმოსავლეთთან შედარებით (ნახ. 1). აღმოსავლეთით დახურულობა ცვალებადობს 13°-დან 18.6°-მდე, ხოლო დასავლეთით 14°-დან 20.8°-მდე. ამ გარემოების გავლენას III ცხრილზე შევამჩნევთ, თუ ერთმანეთს შევადარებთ შუადღიდან სიმეტრიულად დაშორებული დილისა და საღამოს პირველ და უკანასკნელ საათიერ შუალედების მზის ნათებას. ასეთი შედარება გვიჩვენებს, რომ დილის პირველ შუალედში მზის ნათება თითქმის ყოველთვის მეტია, ვიდრე საღამოს უკანასკნელ შუალედისა. ამ სხვაობათა განხილვა გვიჩვენებს, რომ წლიურ შედეგში მათ შეეძლოთ შუადღემდე ნათების გადიდება ნაშუადღევთან შედარებით მხოლოდ 2%-ით.

ცხრილი III ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები—часы											
	5—6	6—7	7—8	8—9	9—10	10—11	11—12	12—13	13—14	14—15	15—16	16—17	17—18
I				1.5	8.4	13.6	15.6	15.1	14.5	11.3	1.1		
II				4.1	11.4	13.5	14.0	14.1	12.6	11.5	7.4	0.1	
III		0.2	8.4	14.9	17.8	18.9	19.7	18.7	17.5	16.8	15.8	6.5	0.2
IV		1.5	11.8	14.9	17.1	17.1	17.4	16.7	15.3	15.1	14.6	12.3	0.7
V		7.2	18.9	20.4	21.0	20.9	20.3	18.7	17.7	15.9	15.4	12.4	3.0
VI	0.3	11.5	18.1	19.6	19.7	19.9	19.5	18.4	18.1	16.4	17.4	16.1	9.6
VII	0.1	12.4	20.1	21.3	21.9	21.7	22.1	21.3	20.0	19.5	18.6	17.5	6.7
VIII		4.8	21.0	24.6	25.8	25.6	25.6	25.3	24.4	23.3	21.5	19.1	2.2
IX		0.5	14.6	20.3	21.9	22.0	22.4	22.0	20.7	19.3	18.0	11.1	
X			3.7	18.1	22.8	23.1	23.2	23.0	21.6	20.5	17.4	2.4	
XI				3.9	11.6	16.9	17.7	17.0	16.5	15.0	4.5		
XII				0.4	6.0	13.4	16.4	17.4	17.8	11.5	0.1		
წელიწადი—год	0.4	38.1	116.6	164.0	205.4	226.6	233.9	227.7	216.7	196.1	151.8	97.5	22.4
	985.0							912.2					

რაც შეეხება იმას, რომ XI—II თვეებში ნაშუადღევის ნათება სჭარბობს დღის
პირველ ნახევრისას და III—X თვეებში კი ნაკლებია, ამის ახსნას ჰორიზონტის
მდგომარეობა არ იძლევა. მაშასადამე, მზის ნათების მთელი სხვაობა დღის პირ-
ველ და მეორე ნახევარს შორის არ შეიძლება ახსნილ იქნას მარტო ჰორიზონ-
ტის მოხაზულობით, არამედ აქ ადგილი აქვს ღრუბლიანობის თავისებური გა-
ნაწილების გავლენასაც. სწორედ ეს ფაქტორი უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი
მზის ნათების სხვაობისა დღის პირველ და მეორე ნახევარს შორის და ამ სხვა-
ობის თავისებური ცვალებადობისაც. მართლაც, თუ შევადარებთ (ცხრ. III) შუ-
ადღის მახლობლობაში მისგან ორივე მხარეზე სიმეტრიულად დაშორებული სა-
ათების შუალედებს, ვნახავთ, რომ წლის იმ პერიოდში, როდესაც შუადღემდე
ნათება სჭარბობს ნაშუადღევისას (III—X), თითქმის სისტემატურად ნაშუადღე-
ვის შუალედების მზის ნათება ნაკლებია შესატყვის შუალედების ნათებაზე შუა-
დღემდე. შებრუნებულ მოვლენას აქვს ადგილი წლის იმ პერიოდში (XI—II),
როდესაც ნაშუადღევის ნათება სჭარბობს შუადღისას. მაგრამ, შუადღის მახ-
ლობლობაში არ შეიძლება ნათებაზე გავლენა ჰქონდეს ჰორიზონტს. მაშასადა-

მე, აბასთუმანში XI—II თვეების პერიოდში მოღრუბლულობა შუადღემდე უნდა სჭარბობდეს ნაშუადღევის მოღრუბლულობას, ხოლო III—X თვეების პერიოდში პირიქით—ნაშუადღევის მოღრუბლულობა მეტი უნდა იყოს, ვიდრე შუადღემდე. ეს დასკვნა, რომელიც უშუალოდ მზის ნათების ცხრილების განხილვამ გვიკარნახა, ეთანხმება თეორიულ მოსაზრებასაც ღრუბლიანობის დღე-ღამურ და წლიურ მსვლელობის შესახებ [2]. როგორც ცნობილია, ფენა სახის ღრუბლების განმეორებათა მაქსიმუმი ღამით და დღით ხდება იმ დროს, როცა გროვა და მისი მონათესავე სახის ღრუბლების მაქსიმუმს ნაშუადღევის საათები იძლევა, რის გამოც შემჩნეულია ორი მაქსიმუმი: ერთი დილის, მეორე ნაშუადღევის საათებში. წლის შედარებით ცივ პერიოდში, როდესაც ფენა სახის ღრუბლები სჭარბობენ, დღეღამურ მაქსიმუმს ადგილი უნდა ჰქონდეს დილის საათებში ანუ შუადღემდე. წლის შედარებით თბილ პერიოდში—პირიქით, გროვა და მისი მსგავსი ღრუბლები სჭარბობენ და ამიტომ დღეღამურ მაქსიმუმს ნაშუადღევს უნდა ჰქონდეს ადგილი.

მზის სხივები დედამიწის ატმოსფეროში გავლის დროს განიცდიან შესუსტებას. ეს შესუსტება დამოკიდებულია, ერთის მხრივ, იმ მანძილზე, რომელსაც მზის სხივები გამოივლიან ატმოსფეროში დაკვირვების ადგილამდე ანუ მზის სიმაღლეზე ჰორიზონტიდან, მეორეს მხრივ, ატმოსფეროში არსებულ იმ ნაწილაკებზე, რომლებიც ამა თუ იმ სახით ყოველთვის მოიპოვებიან მასში.

ჩვენ რომ საქმე გვქონოდა ე. წ. იდეალურ ატმოსფეროსთან, ე. ი. ისეთ ატმოსფეროსთან, რომელიც შედგება მხოლოდ ჰაერში შემავალი მუდმივი გაზების (აზოტი, ჟანგბადი, არგონი და სხვა) მოლეკულებისაგან, მაშინ მზის გარკვეულ სიმაღლეზე ჰორიზონტიდან, განსაზღვრულ ადგილას, ყოველთვის მზის რადიაციის ერთი და იგივე ინტენსივობა გვექნებოდა, მიყვანილი მზე—დედამიწის საშუალო მანძილზე. მაგრამ რადგან დედამიწის რეალური ატმოსფერო წარმოადგენს ნარევს, შედგენილს ხსენებული მუდმივი გაზებისა და ცვალებადი ნაწილისაგან, რომელშიაც შედის წყლის ორთქლი, მტვერი, კვამლი და სხვა, ამიტომ მზის რადიაციის ინტენსივობა განიცდის დამატებით შესუსტებას, რომელიც დამოკიდებულია ხსენებული ცვალებადი ნაწილის რაოდენობასა და თვისებებზე. ამნაირად მზის რადიაცია აღწევს-რა დედამიწის ზედაპირამდე, წარმოადგენს ერთგვარ მაჩვენებელს იმისა, თუ რა რაოდენობით შეიცავს ატმოსფერო მოცემულ პირობებში ხსენებულ ცვალებად ნაწილს; ანუ შეიძლება ითქვას, რომ მზის სხივები ოპტიკური ზონდის როლს ასრულებენ დედამიწის ატმოსფეროში.

გარდა ატმოსფეროს მდგომარეობისა და მზის სიმაღლისა, რადიაციის ინტენსივობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე მზისა და დედამიწის შორის მანძილის ცვალებადობაც, რასაც ადგილი აქვს წლის განმავლობაში. მაგრამ ეს ცვალებადობა პერიოდულია და შესწორება მასზე ყოველთვის ზუსტად ხორციელდება.

მზის ერთსა და იმავე სიმაღლეზე გაზომილი რადიაციის ინტენსივობა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ატმოსფეროს არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ სხვადასხვა დროსა და ადგილას გაზომილი რადიაციის ინტენსივობა არ იძლევა თვალსაჩინოდ ატმოსფეროს მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას. ატმოსფეროს მდგომარეობის შესაფასებლად შემოღებულია ე. წ. ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ მზის რადიაციის რა ნაწილი მოვიდოდა დაკვირვების ადგილას ატმოსფეროს ერთი მასის გავლის შემდეგ. ატმოსფეროს მასის ერთეულად მიღებულია ის ფენა, რომელსაც სხივები გაივლიან ატმოსფეროს ზედა საზღვრიდან ზღვის დონემდე მზის ზენიტში დგომის დროს.

ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტი გამოითვლება Lambert-Bouger-ის ფორმულით:

$$I_m = I_0 p^m \tag{1}$$

სადაც I_m—რადიაციის ინტენსივობაა დაკვირვების ადგილას, I_0—მზის მუდმივი ანუ რადიაციის ინტენსივობა დედამიწის ატმოსფეროს საზღვარზე, m—ატმოსფეროს მასა, რომელსაც მზის სხივები დაკვირვების დროს გაივლიან და p—გამჭვირვალობის კოეფიციენტი.

შემჩნეულ იქნა, რომ (1) ფორმულით გამოთვლილ გამჭვირვალობის კოეფიციენტს p-ს საგრძნობი ვირტუალური სვლა ახასიათებს; m მასის ზრდასთან p-ც იზრდება, ამიტომ 1921 წელს Linke-ს [3] წინადადებით, ატმოსფეროს მდგომარეობის შესაფასებლად შემოღებულ იქნა ე. წ. სიმღვრივის ფაქტორი, რომელიც გამოითვლება Lambert-Bouger-ის ფორმულის მოდიფიცირებული გამოხატულების საშუალებით:

$$I_m = I_0 q_m^{mT} \tag{2}$$

სადაც I_m, I_0 და m-ს იგივე მნიშვნელობები აქვს, რაც (1) ფორმულაში, ხოლო q_m იდეალურ ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტია შესაბამი m-სათვის, T კი—სიმღვრივის ფაქტორი, რომლის რიცხვობრივი სიდიდე გვიჩვენებს, თუ რამდენი იდეალური ატმოსფეროთი უნდა შეიცვალოს რეალური ატმოსფერო, რომ მზის სხივების შესუსტება უცვლელი დარჩეს.

ფიქრობდნენ, რომ (2) ფორმულით გამოთვლილი სიმღვრივის ფაქტორი თავისუფალი იქნებოდა ვირტუალური სვლისაგან, მაგრამ გამოირკვა, რომ მასაც ახასიათებს გარკვეული ვირტუალური სვლა [4], ხოლო არა იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც გამჭვირვალობის კოეფიციენტს. ამიტომ ბოლო ხანებში ატმოსფეროს მდგომარეობის შესაფასებლად უმთავრესად სიმღვრივის ფაქტორი გამოჰყავთ. აბასთუმნისათვის ჩვენ ორივე ინდექსი გამოვთვალეთ (T და p), რაც უშუალო შედარების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაშიაც, როცა რომელიმე ადგილისათვის გამოქვეყნებულია ერთ-ერთი მათგანი. ამ ინდექსების გამოთვლისათვის ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა ის მომენტი, როცა მზის სიმაღლე ჰორიზონტიდან 19.3°-ის ტოლია. ცხადია, ასეთი მომენტი დღის განმავლობაში ორჯერ არის: შუადღემდე და ნაშუადღევს. ხსენებული მომენტის შესაბამისი მზის რადიაციის ინტენსივობის საშუალო თვიური სიდიდეები, როგორც საერთო საშუალოთა სახით, ისე შუადღემდე და ნაშუადღევისათვის ცალ-ცალკე, IV ცხრილში არის მოცემული.

ცხრილი IV ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შუადღემდე . . . . До полудня	1.24	1.23	1.17	1.14	1.04	1.00	1.04	1.01	1.08	1.14	1.23	1.24	1.13
ნაშუადღევს. . . . . . . После полудня	1.23	1.23	1.17	1.16	1.11	1.03	1.07	1.04	1.10	1.18	1.24	1.26	1.15
საერთო . . . . Общая	1.24	1.23	1.17	1.15	1.06	1.02	1.05	1.02	1.09	1.16	1.24	1.25	1.14

ამ ცხრილში მოყვანილი სიდიდეების საშუალებით ჩვენ გამოვთვალეთ p და T (1) და (2) ფორმულებით. გამოთვლისათვის საჭიროა, რომ დაკვირვებიდან მიღებული რადიაციის ინტენსივობანი მივიყვანოთ მზე—დედამიწის საშუალო მანძილზე. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ (1) და (2) ფორმულებში I_0 მზე—დედამიწის საშუალო მანძილისათვისაა მიღებული.

მიყვანას ვაწარმოებთ ფორმულით:

$$I^*=I\left(\frac{R}{R_0}\right)^2 \tag{3}$$

სადაც I^* მზე—დედამიწის საშუალო მანძილზე მიყვანილი, ხოლო I—დაკვირვებიდან მიღებული მზის რადიაციის ინტენსივობაა, R—მანძილი დედამიწიდან მზემდე შესაბამ მომენტისათვის, R_0—დედამიწასა და მზეს შორის საშუალო მანძილი. IV ცხრილში მოყვანილი სიდიდეები, გარდაქმნილი (3) ფორმულის საშუალებით, მოცემულია V ცხრილში.

ცხრილი V ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შუადღემდე . . . . До полудня	1.20	1.20	1.16	1.15	1.06	1.03	1.07	1.03	1.09	1.13	1.20	1.20	1.13
ნაშუადღევს. . . . . . . После полудня	1.19	1.20	1.16	1.17	1.13	1.06	1.10	1.07	1.11	1.17	1.21	1.22	1.15
საერთო . . . . Общая	1.20	1.20	1.16	1.16	1.08	1.05	1.08	1.04	1.10	1.15	1.21	1.21	1.14

მზის მუდმივისათვის I_0 მიღებული გვქონდა მნიშვნელობა: 1.83 grcalcm^{-2}min^{-1}. ატმოსფეროს მასა კი m 2,59-ის ტოლად ჩავთვალეთ, თუმცა ჩვენს მომენტს, ე. ი. როცა $h_{\odot}=19.3°$ Bemporad-ის ცხრილის მიხედვით $m=3.0$ შეესაბამე-

ბა, მაგრამ როგორც ცნობილია, Bemporad-ის ცხრილი შედგენილია ატმოსფეროს ნორმალური წნევისათვის (760 *mm*), ხოლო აბასთუმნის ატმოსფეროს წნევა მნიშვნელოვნად განსხვავდება ნორმალური წნევისაგან; ამიტომ (1) და (2) ფორმულებში m აღებულ იქნა არა 3.0, არამედ სათანადო შესწორებით აბასთუმნის წნევის საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობის[5] მიხედვით (656 *mm*), რისთვისაც ვისარგებლეთ დამოკიდებულებით:

$$m=m_0\frac{B_h}{B_0} \tag{4}$$

სადაც m_0 მზის მოცემული სიმაღლის შესაბამი ატმოსფეროს მასაა ნორმალური წნევისათვის, B_0—ატმოსფეროს ნორმალური წნევა (ზღვის დონეზე), B_h—წნევა დაკვირვების ადგილზე და m—სათანადოდ შესწორებული ატმოსფეროს მასა. ასეთმა გამოთვლამ მოგვცა $m=2.59$.

ამგვარად, გამოთვლილი გამჭვირვალობის კოეფიციენტები აბასთუმნისათვის მოცემულია VI ცხრილში.

ცხრილი VI ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შუადღემდე . . . . До полудня	0.841	0.841	0.830	0.825	0.800	0.793	0.804	0.793	0.810	0.822	0.841	0.841	0.820
ნაშუადღევს . . . . После полудня	0.838	0.841	0.830	0.833	0.822	0.800	0.813	0.804	0.816	0.833	0.844	0.846	0.827
საშუალო . . . . . Средний	0.840	0.841	0.830	0.829	0.808	0.799	0.809	0.797	0.814	0.828	0.843	0.844	0.824

სიმღვრივის ფაქტორის გამოთვლისათვის (2) ფორმულაში იდეალური ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტი q_m აღებულია Feussner-Dubois-ის[6] მონაცემების თანახმად (ჩვენს შემთხვევაში $q_{2.59}=0.9185$). სიმღვრივის ფაქტორის (T) მიღებული მნიშვნელობები მოცემულია VII ცხრილში.

ცხრილი VII ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შუადღემდე . . . . До полудня	2.05	2.05	2.21	2.25	2.62	2.75	2.58	2.75	2.50	2.33	2.05	2.05	2.35
ნაშუადღევს. . . . После полудня	2.09	2.05	2.21	2.16	2.33	2.62	2.45	2.58	2.41	2.16	2.01	1.98	2.25
საერთო. . . . . . Общий	2.07	2.05	2.21	2.22	2.52	2.65	2.51	2.68	2.44	2.24	2.02	2.01	2.30

ცნობილია, რომ ატმოსფეროს სიმღვრივის მთავარსა და თვალსაჩინო
აგენტს წარმოადგენს მასში არსებული წყლის ორთქლი და მტვერი.
სიმღვრივის ფაქტორის მნიშვნელობა ერთსა და იმავე მასისათვის ამიტომ
თითქოს უფრო მცირე უნდა იყოს, ვიდრე ნაშუადღევს, რადგანაც შუადღემდე
შემთხვევაში ატმოსფეროში წყლის ორთქლი და მტვერიც ნაშუადღევს ნორმალურ
მეტი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც არსებული მასალები გვიჩვენებს, უფრო
თო მოსაზრება ყოველთვის და ყოველგან არ მართლდება. საბჭოთა ეს საერ-
9 აქტინომეტრული სადგურის მასალების განხილვის საფუძველზე კავშირის
на[7] იმ დასკვნამდე მიდის, რომ საზოგადოდ სიმღვრივის ფაქტორის Батыги-
ლობანი შუადღემდე უფრო მცირეა ნაშუადღევთან შედარებით, მნიშვნე-
ერთი სადგურები ზოგ შემთხვევაში არ ემორჩილებიან ამ საერთო თუმცა ზოგი-
დასხვანაირად ცვალებადობენ, რაც, ალბათ, უმთავრესად ადგილობრივ წესს და სხვა-
ბებზეა დამოკიდებული. ასეთივე, თუ შეიძლება ითქვას, გამონაკლისს პირო-
აბასთუმანიც. როგორც VII ცხრილიდან ვხედავთ, სიმღვრივის ეკუთვნის
შუალო წლიური მნიშვნელობა შუადღემდე ($T=2.35$) მეტია, ფაქტორის სა-
დღევს ($T=2.25$). ცალკეული თვეების მიხედვით კი შემდეგი ვიდრე ნაშუა-
ვარში მისი მნიშვნელობა შუადღემდე ნაკლებია ნაშუადღევისაზე, სურათია: იან-
და მარტში მათი მნიშვნელობანი ტოლია, ხოლო აპრილიდან თებერვალსა
მავლობაში შუადღემდე მეტია, ვიდრე ნაშუადღევს. მთელი წლის გან-
დღის განმავლობაში ასეთი ცვალებადობის მიზეზი სიმღვრივის ფაქტორის
ური მსვლელობა უნდა იყოს. მ. კორძახიას ქარის მიმართულების დღი-
ლება აბასთუმანში სავსებით ემორჩილება დასკვნით „ქარის მიმართუ-
დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე მთის ქარის დღიურ მსვლელობას;
თის ქარი, ე. ი. ქრის დაბლიდან ზევით, ხოლო გაბატონებულია სამხრეთ-დასავლე-
ქვევით“[8]. დღის პირველ ნახევარში, ქრის-რა დანარჩენ საათებში ზევიდან
შეუძლია შემოიტანოს აბასთუმანში—ახალციხის ქვევიდან ზევით (SW ან S), ქარს
ჭებიდან—მეტი მტვერი შედარებით იმ ქართან, ტაფობიდან და მისი მიდამო-
მთებიდან, სადაც მტვერიანობა ნაკლებია. რომელიც ნაშუადღევს უბერავს

სიმღვრივის ფაქტორის წლიური მსვლელობის (მე-3 სტრიქონი) ანალიზი
გვიჩვენებს, რომ აბასთუმანში ატმოსფეროს სიმღვრივის მაქსიმუმს ზაფხულში
—აგვისტოში—აქვს ადგილი, ხოლო მინიმუმს კი ზამთარში—დეკემბერში, რაც
ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც წყლის ორთქლი და მტვერი—რაც
მთავარი აგენტია სიმღვრივისა—მაქსიმალური რაოდენობით ატმოსფეროში სწო-
რედ ზაფხულშია, ხოლო მინიმალური რაოდენობით კი ზამთარში. წლიური
მსვლელობის თვალსაზრისით აბასთუმნის ატმოსფეროს სიმღვრივეს ერთგვარი
თავისებურება ახასიათებს. ვიდრე ამ თავისებურებას განვმარტავდეთ, განვიხი-
ლოთ სიმღვრივის ფაქტორის წლიური მსვლელობის დამოკიდებულება აბსო-
ლუტური სინოტივის წლიურ მსვლელობასთან. ცნობილია, რომ სიმღვრივის
ფაქტორის წლიური მსვლელობა საკმაოდ თანაზომიერად მიჰყვება აბსოლუტუ-
რი სინოტივის მსვლელობას. რასაკვირველია, სრულიად პარალელური სვლა არ
შეიძლება იქნას დაცული, რადგან ატმოსფეროს სიმღვრივეზე, მასში მყოფი
წყლის ორთქლის გარდა, მნიშვნელოვან გავლენას მტვერიანობაც ახდენს. გარ-

და ამისა, დაკვირვების ადგილას გაზომილი აბსოლუტური სინოტივე საკმაო სი-
ზუსტით ვერ ახასიათებს ატმოსფეროში არსებული წყლის ორთქლის რაოდე-
ნობას.

ნახ. 2 გვიჩვენებს, თუ როგორ ურთიერთობაშია სინოტივისა და სიმღვრი-
ვის წლიური სვლა აბასთუმანში.



ნახ. 2 Черт.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სიმღვრივის ფაქტორის მინიმუმი აბასთუმ-
ნისათვის დეკემბერში მივიღეთ. აბსოლუტური სინოტივის მინიმუმი კი იანვარ-
შია, ე. ი. იგი მეზობელ თვეში გადაადგილებულა. ასეთსავე გადაადგილებას
აქვს ადგილი მაქსიმუმისათვის: აბსოლუტური სინოტივის მაქსიმუმი ივლისშია,
ხოლო სიმღვრივის ფაქტორისა—აგვისტოში.

სიმღვრივის ფაქტორსა და აბსოლუტურ სინოტივეს შორის დამოკიდებუ-
ლების გამოსარკვევად ჩვენ გამოვთვალეთ მათი კორელაციის კოეფიციენტი და
მივიღეთ $r=0.903\pm0.036$. r-ის ასეთი დიდი მნიშვნელობა მაჩვენებელია იმისა,
რომ აბასთუმანში ატმოსფეროს სიმღვრივის მთავარი აგენტი არის მასში არ-
სებული წყლის ორთქლი, ხოლო მტვერიანობა, მისი სიმცირის გამო, მეორე-
ხარისხოვანია.

როგორც ნახ. 2-ზე ვხედავთ, სიმღვრივის ფაქტორის მსვლელობას ზაფ-
ხულის თვეებში ერთგვარი თავისებურობა ახასიათებს. სიმღვრივის ფაქტორის
მაქსიმუმი აგვისტოში შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. მართალია, აბსო-
ლუტური სინოტივის მაქსიმუმი ივლისშია, მაგრამ, მტვერიანობა აგვისტოში აქ
აშკარად მეტი უნდა იყოს წინა თვეებთან შედარებით, რადგან მას მეტი სიმ-
შრალე ახასიათებს და ამის გარდა ამ დროს, შუა სეზონთან დაკავშირებით,
მოძრაობაც მეტია და ქუჩის მტვერიც. ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ის გა-
რემოება, რომ ივლისში ატმოსფეროს სიმღვრივე ნაკლებია, ვიდრე მაისსა და
ივნისში. ჩვენ ვეცადეთ ამ მოვლენის მიზეზები გვეძია გარეუბნებიდან შემოტა-

ნილ მტვერში, რაც, რასაკვირველია, დაკავშირებული იქნება გაბატონებული
ქარების მიმართულებასთან. ამიტომ ჩვენ განვიხილეთ ქარების განაწილება აბას-
თუმანში, რაც დახასიათდება VIII ცხრილის მონაცემებით.

ცხრილი VIII ТАБЛИЦА

ქარის მიმარ-თულება Напр. ветра	თვეები — месяцы											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
N . .	22	15	20	27	25	28	28	25	25	21	17	21
NE. .	5	6	10	10	12	12	13	16	15	11	9	9
E . .	0	3	2	2	2	3	2	2	2	3	3	2
SE. .	5	6	7	8	5	5	4	5	5	5	6	2
S . .	36	38	36	28	29	28	27	28	32	36	38	33
SW. .	24	23	20	15	15	10	11	11	12	16	24	27
W . .	3	3	0	0	2	2	2	2	2	3	0	3
NW . .	5	6	5	10	10	12	13	11	7	5	3	3

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, აბასთუმანში ძირითადად გაბატონე-
ბულია (განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში) სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქა-
რები. თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორ ძირითად მიმართულებას, ვნახავთ,
რომ სამხრეთის ქარები, გარდა ივლისისა, ყოველთვის ჭარბობენ ჩრდილოეთი-
სას (1%-ით). ცხადია, რომ აბასთუმანში სამხრეთის ქარებს შეიძლება მეტი
სიმღვრივე ახლდეს ჩრდილოეთის ქარებთან შედარებით, რადგან სამხრეთის ქა-
რები ახალციხის დაბლობიდან შემოიჭრებიან და ამ დაბლობის ტიტველ მიდა-
მოებიდან თან შემოაქვთ მეტი მტვერი, ვიდრე ჩრდილოეთის, ზეკარის უღელ-
ტეხილიდან გადმოჭრილ ქარებს. ამიტომ შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ,
რომ ჩრდილოეთის ქარების სიჭარბე ივლისში არის მიზეზი ამ დროს ატმოსფე-
როს მცირე სიმღვრივისა. მაგრამ მაისისა და ივნისის სიმღვრივის ფაქტორის
მნიშვნელობანი მაინც ჭარბად გამოიყურებიან, რის ახსნას ქარების განაწილება
არ იძლევა. ამიტომ არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელსაც
შეიძლება გავლენა ჰქონდეს ამ მოვლენაზე. ამ წერილის ავტორს რამდენიმე
წელიწადი დაუყვია აბასთუმანში და მისი ყურადღება მიუპყრია მოყვითალო
ფერის მტვერს, რომელიც სწორედ მაისის ბოლო რიცხვებსა და ივნისში უხვად
აჯდება ოთახის ფანჯრებს, ინგლისურ ბუდრუგანას და სხვ. როგორც გამოირ-
კვა, ეს შედეგი ყოფილა წიწვიანი მცენარეების ყვავილობისა. სავსებით მოსა-
ლოდნელია, რომ იგი გავლენას ახდენდეს ატმოსფეროს რადიაციულ-ოპტიკურ
თვისებებზე და იწვევდეს ამ პერიოდში სიმღვრივის ფაქტორის ზედმეტად გა-
დიდებას. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ზოგიერთი ისეთი სადგუ-
რის აქტინომეტრული მონაცემებიც, რომელთა მახლობლობაში წიწვიან მცენა-
რეულობის ტყეებია; მაგალითად, ლ ი ბ ა ნ ი სიმღვრივის ფაქტორის მაქსი-
მუმს მაისში იძლევა[9], ბ ა ხ მ ა რ ო[10] — ივნისში და ი რ კ უ ტ ს კ ი ც[11] — ივნის-
ში. არის საწინააღმდეგო ჩვენებაც; მაგალითად, შ ო ვ შ ი[12] — თუმცა მის გარ-
შემო წიწვიანი ტყეებია — ასეთი თავისებურობა არ ჩანს. ამიტომ აბასთუმანში

სიმღვრივის ფაქტორის წლიური მსვლელობის აღნიშნულ თავისებურობის მიზეზი საბოლოოდ გამორკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

არსებულ დაკვირვებათა მასალებიდან მიღებული იქნა გრაფიკული ხერხით მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობის საშუალო დღიური მსვლელობა მოწმენდილი ცის შემთხვევაში. ხსენებული მონაცემები ცალკეული თვეების მიხედვით მართობი და ჰორიზონტული ზედაპირისათვის მოყვანილია IX და X ცხრილებში.

ცხრილი IX ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები — часы											
	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
I. . .				1.10	1.26	1.34	1.37	1.35	1.29	1.16		
II . .				1.23	1.34	1.40	1.42	1.41	1.38	1.28	1.08	
III . .		0.80	1.14	1.30	1.39	1.45	1.48	1.47	1.42	1.35	1.21	0.92
IV . .		1.07	1.25	1.35	1.41	1.45	1.46	1.46	1.44	1.39	1.30	1.14
V . .		1.13	1.26	1.33	1.38	1.41	1.42	1.42	1.40	1.36	1.29	1.16
VI . .	0.90	1.11	1.23	1.30	1.35	1.37	1.38	1.38	1.36	1.33	1.27	1.16
VII. .	0.89	1.09	1.21	1.28	1.33	1.35	1.37	1.37	1.35	1.32	1.26	1.15
VIII .		1.02	1.18	1.26	1.31	1.35	1.36	1.35	1.32	1.27	1.19	1.07
IX. .		0.94	1.15	1.25	1.31	1.34	1.36	1.35	1.32	1.27	1.17	
X . .			1.11	1.25	1.33	1.38	1.40	1.38	1.33	1.23	1.03	
XI . .			1.02	1.22	1.32	1.37	1.38	1.35	1.27	1.11		
XII. .				1.11	1.26	1.33	1.36	1.33	1.25	1.10		

ცხრილი X ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები — часы											
	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
I. . .				0.27	0.45	0.56	0.62	0.58	0.48	0.32		
II . .				0.41	0.60	0.74	0.83	0.79	0.67	0.49	0.28	
III. .		0.13	0.36	0.62	0.86	1.01	1.08	1.04	0.92	0.71	0.46	0.21
IV . .		0.34	0.61	0.85	1.04	1.17	1.24	1.18	1.05	0.86	0.61	0.34
V . .		0.48	0.73	0.95	1.13	1.25	1.31	1.25	1.13	0.94	0.71	0.45
VI . .	0.25	0.50	0.74	0.95	1.13	1.25	1.30	1.25	1.14	0.97	0.77	0.53
VII. .	0.21	0.45	0.69	0.92	1.10	1.22	1.28	1.24	1.14	0.97	0.76	0.51
VIII .		0.35	0.61	0.83	1.01	1.13	1.19	1.14	1.02	0.85	0.64	0.40
IX . .		0.24	0.48	0.71	0.90	1.02	1.07	1.01	0.88	0.70	0.47	
X . .			0.34	0.57	0.76	0.88	0.92	0.83	0.68	0.46	0.23	
XI . .			0.17	0.39	0.56	0.66	0.68	0.61	0.47	0.29		
XII. .				0.29	0.43	0.54	0.58	0.52	0.41	0.26		

ამ ცხრილებში შეიძლება ყურადღება მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ნაშუადღევის დაძაბულობანი ნაწილობრივ სჭარბობენ დაძაბულობებს შუადღემდე, რაც ატმოსფეროს სიმღვრივის უკვე აღნიშნული ცვლილებებით არის გამოწვეული. რადიაციის დაძაბულობის დღიური მსვლელობის

გარდა, ადგილის აქტინომეტრული დახასიათებისათვის ყურადღების ღირსია აგრეთვე დაძაბულობანი ჭეშმარიტ შუადღეზე, ე. ი. მაშინ, როდესაც მზე ადგილობრივ მერიდიანზეა. ასეთი მონაცემები აბასთუმნისათვის საშუალო თვიურების სახით, ორივე ზედაპირისათვის, მოყვანილია XI ცხრილში.

ცხრილი XI ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
მართობ ზედაპირზე . . . На перпендикулярной поверхности	1.37	1.42	1.48	1.46	1.42	1.38	1.37	1.36	1.36	1.40	1.38	1.36	1.39
ჰორიზონტულ ზედაპირზე. На горизонтальной поверхности	0.62	0.83	1.08	1.24	1.31	1.30	1.28	1.19	1.07	0.92	0.68	0.58	1.01

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, რადიაციის დაძაბულობის მაქსიმუმს მართობ ზედაპირზე მარტში აქვს ადგილი. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ მაქსიმუმს ივნისში ჰქონოდა ადგილი, რადგან მზეს ამ დროს ჰორიზონტიდან უდიდესი სიმაღლე აქვს. მაგრამ მზის რადიაციის დაძაბულობის სიდიდეზე, მზის სიმაღლის გარდა, დიდი გავლენა აქვს ატმოსფეროს სიმღვრივეს, განსაკუთრებით კი წყლის ორთქლის რაოდენობას მასში. მარტში მზის სიმაღლე ჰორიზონტზე საკმაოდ დიდია, სინოტივე კი წინა თვეებთან შედარებით მნიშვნელოვნად არაა გადიდებული (ნახ. 2), ამიტომ რადიაციის დაძაბულობის მაღალი მნიშვნელობა ამ დროს გასაგებია. მარტიდან ივნისამდე, მართალია, მზის სიმაღლე მატულობს, მაგრამ აბსოლუტური სინოტივე გაცილებით მკვეთრად იზრდება, რაც იწვევს რადიაციის დაძაბულობის შემდგომ დაცემას (ჭეშმარიტ შუადღეზე). ჰორიზონტულ ზედაპირზე მსგავსი მონაცემების მსვლელობა კი საკმაოდ თანაბრად მიჰყვება მზის საშუადღეო სიმაღლის ცვალებადობას წლის განმავლობაში.

ზოგ შემთხვევაში საინტერესოა ვიცოდეთ, თუ დღის რომელ საათებში შეიძლება გვქონდეს რადიაციის დაძაბულობის რომელიმე აღებული სიდიდე წლის ამათუიმ პერიოდში, განსაკუთრებით ჰორიზონტულ ზედაპირზე. ამგვარი მონაცემების წარმოდგენა იზოპლეტების საშუალებით შეიძლება. აქვე ვათავსებთ რადიაციის დაძაბულობების იზოპლეტებს ჰორიზონტული ზედაპირისათვის, რაც აბასთუმნის აქტინომეტრული მონაცემების საფუძველზეა აგებული (ნახ. 3).

ცხრილებში XII და XIII მოგვყავს მზის პირდაპირი რადიაციის შესაძლო სითბური ჯამები grcalcm⁻²-ში სხვადასხვა თვისა და სხვადასხვა დროის შუალედებში, მართობი და ჰორიზონტული ზედაპირებისათვის, შესაბამისად.

რაც შეეხება რადიაციის ნამდვილ სითბურ ჯამებს, ესენი მოგვყავს ცხრილებში XIV და XV, რომელნიც ისევე არიან აგებულნი და რომელთაგან პირველი მზის სხივების მართობსა, ხოლო მეორე ჰორიზონტულ ზედაპირს შეესა-



ნახ. 3 Черт.

ცხრილი XII ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები—часы												
	5—6	6—7	7—8	8—9	9—10	10—11	11—12	12—13	13—14	14—15	15—16	16—17	17—18
I. . .				597	2213	2437	2530	2530	2455	2306	1239		
II . .				1546	2167	2318	2369	2386	2352	2251	2016	75	
III . .		108	619	2288	2511	2641	2716	2734	2697	2585	2399	1088	120
IV . .		315	2124	2358	2502	2574	2610	2628	2610	2556	2430	2214	212
V . .		1562	2232	2418	2530	2604	2641	2641	2623	2567	2474	2288	1032
VI . .	313	1854	2124	2286	2394	2448	2484	2484	2466	2430	2340	2196	1399
VII. .	82	1879	2158	2325	2437	2492	2530	2548	2530	2492	2399	2251	1239
VIII .		552	2065	2269	2399	2474	2530	2511	2474	2418	2288	2120	580
IX . .		184	1386	2160	2304	2394	2448	2448	2412	2340	2196	1017	
X . .			976	2213	2418	2530	2604	2585	2511	2381	1741	428	
XI . .				2052	2304	2430	2484	2466	2376	2178	396		
XII. .				603	2213	2418	2511	2511	2418	2213	402		
წელიწადი Год	395	6454	13684	23115	28393	29760	30455	30472	29923	28718	22320	13677	4582
	132256							129693					

გამგება. ამ ორი ცხრილის მონაცემები გამოთვლილია ცნობილი მეთოდით „აქტინომეტრი—ჰელიოგრაფი“.

ცხრილი XIII ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები—часы 5–6	6–7	7–8	8–9	9–10	10–11	11–12	12–13	13–14	14–15	15–16	16–17	17–18
I				140	688	949	1116	1135	1004	763	290		
II				403	840	1142	1327	1378	1243	991	655	19	
III		21	179	930	1395	1767	1953	1972	1841	1525	1097	372	21
IV		74	864	1314	1710	2016	2196	2196	2034	1746	1350	864	58
V		551	1135	1562	1953	2232	2399	2399	2232	1934	1562	1097	363
VI	83	684	1116	1530	1890	2142	2304	2304	2160	1908	1584	1170	554
VII	12	614	1060	1507	1897	2176	2344	2362	2232	1972	1618	1190	469
VIII		173	893	1358	1730	2009	2176	2176	2027	1748	1395	967	206
IX		46	491	1080	1458	1746	1890	1890	1728	1440	1062	369	
X			270	856	1246	1544	1693	1637	1414	1060	551	98	
XI				486	864	1116	1206	1170	972	684	101		
XII				151	688	911	1060	1042	874	632	93		
წელიწადი Год	95	2162	6007	11315	16360	19750	21664	21660	19762	16404	11359	6147	1671
	77353							77004					

ცხრილი XIV ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები—часы 5–6	6–7	7–8	8–9	9–10	10–11	11–12	12–13	13–14	14–15	15–16	16–17	17–18
I				96	600	1069	1273	1232	1148	841	73		
II				283	882	1118	1184	1201	1058	925	533	7	
III		10	559	1100	1442	1610	1726	1649	1522	1401	1223	456	10
IV		92	835	1171	1426	1467	1514	1463	1331	1287	1183	908	45
V		454	1361	1591	1714	1756	1730	1593	1497	1317	1229	915	200
VI	16	711	1281	1494	1572	1624	1615	1524	1488	1328	1357	1179	639
VII	6	751	1399	1598	1721	1745	1803	1751	1632	1568	1440	1270	446
VIII		285	1399	1801	1997	2043	2089	2049	1947	1817	1587	1306	137
IX		27	964	1462	1682	1756	1828	1795	1664	1505	1318	753	
X			233	1292	1778	1885	1949	1918	1550	1574	1221	142	
XI				297	891	1369	1466	1397	1307	1089	297		
XII				26	428	1045	1328	1409	1388	821	6		
წელიწადი Год	22	2330	8031	12180	16134	18486	19504	18983	17734	15473	11467	6936	1478
	76687							72070					

ამ ცხრილების განხილვა გვიჩვენებს, რომ დღის პირველი ნახევრის (შუადღემდე) ჯამები სჭარბობენ დღის მეორე ნახევრის (ნაშუადღევის) ჯამებს. ეს სხვაობა შესაძლებელ ჯამებში 2%-ს შეადგენს, ხოლო ნამდვილ ჯამებში

6%-ს. შესაძლებელი ჯამების შუადღის მიმართ განაწილებაზე გავლენა შეეძლო მოეხდინა მხოლოდ ატმოსფეროს სიმღვრივის შესაფერ ცვალებადობას და რეალური ჰორიზონტის მოხაზულობას. აბასთუმანში შესაძლებელი ჯამების ეს სხვაობა აშკარად ჰორიზონტის მოხაზულობითაა გამოწვეული (დასავლეთი უფრო მეტად დახურულია, ვიდრე აღმოსავლეთი), რადგანაც ატმოსფეროს სიმღვრივის შესატყვისი შედარება შებრუნებულ სურათს გვაძლევს, ე. ი. ჰორიზონტის მოხაზულობის თანაბარ პირობებში ნაშუადღევის ჯამები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჯამები შუადღემდე. რაც შეეხება სხვაობას რადიაციის დილისა და ნაშუადღევის ნამდვილ სითბურ ჯამებს შორის, აქ ძალაში რჩება ზემოხსენებული ორი ფაქტორი და მათ ემატება კიდევ მესამე ელემენტის გავლენა, სახელდობრ, მზის ნათების ხანგრძლივობის დღიური განაწილების გავლენა, რაც უფრო აძლიერებს არსებულ სხვაობას და მიჰყავს იგი 6%-მდე.

ცხრილი XV ТАБЛИЦА

თვეები Месяцы	საათები—часы 5–6	6–7	7–8	8–9	9–10	10–11	11–12	12–13	13–14	14–15	15–16	16–17	17–18
I				22	186	416	562	553	470	278	17		
II				76	342	551	664	694	559	407	173	2	
III		2	161	447	801	1077	1241	1189	1040	827	559	156	2
IV		20	340	653	975	1149	1274	1222	1037	879	637	354	11
V		160	692	1028	1323	1505	1571	1447	1274	992	776	439	70
VI	4	262	673	1000	1241	1421	1498	1413	1303	1043	919	628	253
VII	2	246	687	1035	1340	1523	1671	1623	1440	1240	971	672	169
VIII		89	605	1077	1440	1659	1797	1776	1596	1314	968	596	49
IX		7	342	731	1064	1280	1411	1386	1192	926	637	273	
X			64	500	917	1150	1267	1214	985	701	386	32	
XI				63	334	629	712	663	535	342	76		
XII				6	133	394	561	585	502	235	2		
წელიწადი Год	6	786	3564	6639	10096	12755	14227	13766	11933	9184	6121	3152	554
	48073							44710					

XVI ცხრილში მოცემულია მზის რადიაციის დღიური შესაძლო და ნამდვილი ჯამები ორივე ზედაპირისათვის.

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, დღიური შესაძლო ჯამების წლიური სვლა თანაზომიერად მიჰყვება დღის ხანგრძლივობის წლიურ სვლას (ანუ მზის დახრილობის წლიურ სვლას); მაქსიმუმი მას ივნისში აქვს და მინიმუმი—დეკემბერში.

რაც შეეხება ნამდვილ დღიურ სითბურ ჯამებს,—ემატება-რა ღრუბლიანობის წლიური სვლის გავლენაც,—მათი მაქსიმუმი აგვისტოში გადადის, მინი-

ცხრილი XVI ТАБЛИЦА

		თვეები—месяцы												
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შესაძლო Возможная	მართობ ზედაპირზე . . . . . На перпендикул. поверхности	526	615	726	838	891	907	883	796	710	656	556	493	718
	ჰორიზონტულ ზედაპირზე . . . На горизонтальн. поверхности	196	283	422	547	626	648	627	544	440	334	220	176	423
ნამდვილი Действит.	მართობ ზედაპირზე . . . . . На перпендикул. поверхности	204	257	410	481	495	527	553	595	492	443	269	208	408
	ჰორიზონტულ ზედაპირზე . . . На горизонтальн. поверхности	81	124	242	285	364	389	407	418	308	233	112	78	254

მუმი კი მართობი ზედაპირისათვის მოდის იანვარზე, ხოლო ჰორიზონტული ზედაპირისათვის რჩება დეკემბერში.

დაახლოებით ასეთსავე სურათს იძლევა რადიაციის ჯამების წლიური სვლა (ცხრილები XVII და XVIII). შესაძლებელი ჯამების მაქსიმუმი მართობ ზედაპირზე მაისშია, ჰორიზონტულ ზედაპირზე—ივლისში, მინიმუმი კი ორივე ზედაპირისათვის დეკემბერშია. ნამდვილი ჯამების მაქსიმუმი ორივე ზედაპირისათვის აგვისტოშია, მინიმუმი კი მართობ ზედაპირზე იანვარში, ხოლო ჰორიზონტულ ზედაპირზე დეკემბერშია.

ცხრილი XVII ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შესაძლო ჯამები. . Возможные суммы	16307	17480	22507	25133	27612	27218	27361	24680	21289	20388	16686	15289	261949
ნამდვილი ჯამები. . Действит. суммы	6333	7192	12709	12722	15355	15827	17130	18457	14753	13743	8082	6453	148756
%%. . .	39	41	56	51	56	58	63	75	69	67	48	42	57

ცხრილი XVIII ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
მზის რადიაციის შესაძლო ჯამები Возможные суммы солнечной радиации	6084	7998	13073	16422	19420	19429	19452	16859	13200	10367	6599	5452	154357
ნამდვილი ჯამები. . Действит. суммы	2504	3468	7502	8551	11278	11658	12620	12965	9250	7216	3353	2417	92783
%%. . .	41	43	57	52	58	60	65	77	70	70	51	44	60

მზის რადიაციის ჯამების გარდა, ადგილის მნიშვნელოვან დამახასიათებელს წარმოადგენს პროცენტული დამოკიდებულება ნამდვილსა და შესაძლებელ ჯამებს შორის. ცხადია, რომ ეს დამოკიდებულება უშუალოდ დაკავშირებულია მზის ნათების ხანგრძლივობასთან ანუ ღრუბლიანობასთან. მართლაც, მიღებული დამოკიდებულება, პროცენტებში გამოხატული (მე-3 სტრიქონი), ეთანხმება მზის ნათების მონაცემებს (ცხრ. I, მე-4 სტრიქონი). მაქსიმუმი აგვისტოშია, მინიმუმი—იანვარში.

მზის რადიაციის ჯამების განაწილება სეზონების მიხედვით მოცემულია XIX ცხრილში.

ცხრილი XIX ТАБЛИЦА

სეზონები Сезоны	მართობ ზედაპირზე На перпендикул. поверхности			ჰორიზონტულ ზედაპირზე На горизонтальн. поверхности		
	შესაძლო Возможные	ნამდვილი Действительные	%	შესაძლო Возможные	ნამდვილი Действительные	%
ზამთარი. . . . . . Зима	49076	19978	13	19534	8389	9
გაზაფხული . . . . Весна	75252	40786	27	48915	27331	29
ზაფხული . . . . . . Лето	79259	51414	35	55740	37243	40
შემოდგომა. . . . . Осень	58363	36578	25	30166	19819	22

როგორც მოსალოდნელი იყო, აბასთუმანში მზის რადიაციით ყველაზე მდიდარი სეზონი ზაფხულია, ხოლო ყველაზე ღარიბი ზამთარი, სახელდობრ,

მთელი წლის ჯამების 35% (მართობ ზედაპირზე) და 40% (ჰორიზონტულ ზედაპირზე) ზაფხულზე მოდის, ზამთარში კი 13% და 9%.

აბასთუმნის აქტინომეტრული დახასიათების მეტი მთლიანობისათვის მოგვყავს ცხრილი XX, რომელიც შეიცავს ჰორიზონტულ ზედაპირზე რადიაციის ფარდობებს მართობ ზედაპირზე რადიაციასთან პროცენტებში.

ცხრილი XX ТАБЛИЦА

	თვეები—месяцы												
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწადი Год
შესაძლო ჯამები. . Возможные суммы	37	46	58	65	70	71	71	68	62	51	40	36	59
ნამდვილი ჯამები. . Действительные суммы	40	48	59	67	73	74	74	70	63	53	41	38	62

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ამ ფარდობათა წლიური სვლა თანაზომიერად მიჰყვება მზის დახრილობის წლიურ ცვალებადობას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, აბასთუმნის აქტინომეტრული მონაცემები 1—1½ წლის დაკვირვებებიდან გამოყვანილი, გამოქვეყნებულია გ. ჭირაქაძის შრომაში[13]. ჩვენ შევადარეთ ამ მონაცემებს ის შედეგები, რომლებიც მივიღეთ 9 წლის დაკვირვებებიდან. ამ შედარებამ გვიჩვენა, რომ წლიურ შედეგებში რადიაციის შესაძლებელ ჯამებში მათ შორის სხვაობა 2—3%-ია, ნამდვილ ჯამებში კი 1—2%. რადიაციის საშუადღეო საშუალო დაძაბულობა ორივე შემთხვევაში ერთი მეორეს ემთხვევა, ხოლო გამჭვირვალობის კოეფიციენტი 0.3%-ით განსხვავდება. გამჭვირვალობის კოეფიციენტის რიცხვობრივ მნიშვნელობათა უშუალო შედარება, მართალია, მეტ განსხვავებას გვაძლევს, მაგრამ ეს მით აიხსნება, რომ გ. ჭირაქაძის მასალებში ატმოსფეროს მასები არ არიან შესწორებულნი ადგილის სიმაღლეზე.

ეს შედარებანი მოწმობენ აბასთუმანში სოლარული კლიმატის ელემენტების საკმაო მდგრადობას.

მოვიყვანეთ-რა კურორტ აბასთუმნის ის აქტინომეტრული დამახასიათებლები, რომლებიც ძირითადად შეიძლება გამოგვეყვანა მზის პირდაპირ რადიაციაზე არსებულ დაკვირვებათა მასალებიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე შევადაროთ ზოგი მათგანი სხვა კურორტების ამგვარსავე მონაცემებს.

მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამებისა და საშუალო დღიური სიდიდეების შედარება მოცემულია XXI ცხრილში.

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, აბასთუმანში მზის ნათების ხანგრძლივობა საკმაოდ ახლოა ბახმაროს მზის ნათების ხანგრძლივობასთან (უკანასკნელი მხოლოდ 31 საათით მეტია—1.6%), მნიშვნელოვნად ჩამორჩება ლიბანს (სადაც ნათება 341 საათით ანუ 15%-ით მეტია), სოხუმს (157 საათით ანუ 8%-ით) და შოვს (154 საათით ანუ 7.5%-ით) და სჭარბობს ცნობილ კურორტს დავოსს (108 საათით ანუ 6%-ით). საშუალო დღიური ნათების მხრივათაც ასეთივე სურათი გვაქვს; აბასთუმნის საშუალო დღიური ნათება ახლოა ბახმაროს საშუალო დღიურ ნათებასთან, ჩამორჩება ლიბანის, სოხუმის და შოვის ნათებას, ხოლო სჭარბობს დავოსისას. მზის ნათების უფრო დეტალურად შედარებისათვის აქვე მოგვყავს აბასთუმნის და ხსენებული კურორტების საშუალო დღიური ნათებანი თვეების მიხედვით (ცხრილი XXII).

ცხრილი XXI ТАБЛИЦА

	აბასთუმანი Абастумани	დავოსი Давос	ლიბანი Либани	შოვი Шови	ბახმარო Бахмаро	სოხუმი Сухуми
წლიური ჯამები . . . . . . Годовые суммы	1897	1789	2238	2051	1928	2054
საშუალო დღიური ნათება. . Среднее дневное сияние	5.2	4.8	6.1	5.6	5.3	5.6

ცხრილი XXII ТАБЛИЦА

პუნქტები—пункты	თვეები—месяцы											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
აბასთუმანი . . . . Абастумани	2.3	3.2	5.0	5.2	6.2	6.8	7.2	7.8	6.4	5.7	3.4	2.7
დავოსი. . . . . Давос	3.2	3.8	4.6	5.0	5.5	6.2	6.6	6.8	5.6	4.6	3.3	2.7
ლიბანი. . . . . Либани	3.3	4.9	5.1	5.6	7.2	8.5	8.2	9.0	7.8	6.6	3.6	3.7
შოვი. . . . . Шови	3.3	4.6	5.7	4.9	5.9	6.4	8.1	8.5	6.9	6.1	3.3	3.6
ბახმარო . . . . Бахмаро	2.9	3.6	5.0	5.5	6.6	6.2	6.5	7.4	6.4	5.6	4.2	2.9
სოხუმი. . . . . Сухуми	3.0	3.4	4.5	4.5	6.6	7.7	8.8	8.9	7.2	5.6	4.6	2.7

ამ ცხრილის განხილვისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ აბასთუმანში მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი სჭარბობს დავოსისას, ზამთრის პერიოდში (იანვარი, თებერვალი) ეს უკანასკნელი მაინც აღემატება აბასთუმნისას.

XXIII ცხრილში მოყვანილია მზის პირდაპირი რადიაციის დაძაბულობის საშუადღეო სიდიდეები, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტინომეტრულ დამახასიათებელს წარმოადგენს.

ცხრილი XXIII ТАБЛИЦА

პუნქტები—пункты	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური Год
	თვეები—месяцы												
აბასთუმანი Абастумани	1.37	1.42	1.48	1.43	1.42	1.38	1.37	1.36	1.36	1.40	1.38	1.36	1.39
ბახმარო Бахмаро	1.49	1.50	1.53	1 48	1.47	1.44	1.42	1.41	1.44	1.46	1.45	1.46	1.46
შოვი Шови	1.46	1.52	1.56	1 53	1.48	1.46	1.40	1.42	1.44	1.45	1.46	1.47	1.47
ლიბანი Либани	1.38	1.40	1.45	1.43	1.43	1.45	1.44	1.42	1.42	1.45	1.43	1.36	1.42
სოხუმი Сухуми	1.27	1.32	1.33	1.33	1 27	1.24	1.24	1.23	1.25	1.28	1.26	1.25	1.27

ამ ცხრილში მოყვანილი სიდიდეები ურთიერთშორის საკმაოდ შედარებადია, რადგანაც აღებული სადგურების განედები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ისინი იცვლებიან 41°45′-დან აბასთუმანში 46°48′-მდე დავოსში) და, მაშასადამე, საშუადღეო მზის სიმაღლეებიც ახლო არიან ერთმანეთთან. შედარება გვიჩვენებს, რომ რადიაციის დაძაბულობა აბასთუმანში მეტია, ვიდრე სოხუმში და ნაკლებია, ვიდრე ყველა მასზე უფრო მაღლა მდებარე სადგურებზე (ბახმარო, შოვი, ლიბანი), რაც ბუნებრივია. ამ სიდიდეებით შეიძლება ერთგვარი შედარებითი დახასიათება დასახელებული ადგილებისა. მაგრამ ჩვენ საშუალება გვაქვს უკანასკნელთა ატმოსფეროს რადიაციულ-ოპტიკური თვისებები უფრო ობიექტურად შევაფასოთ ზემოთ ხსენებული გამჭვირვალობის კოეფიციენტით ან სიმღვრივის ფაქტორით. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმღვრივის ფაქტორი T, გამოყვანილი (2) ფორმულის საშუალებით, ნაკლებად შედარებადია იმ შემთხვევაში, თუ ადგილების სიმაღლეები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. შემჩნეულია სიმღვრივის ფაქტორის დამატებითი ვირტუალური სვლა ადგილის სიმაღლის მიხედვით. სიმაღლის ზრდასთან T გადაჭარბებულ მნიშვნელობებს ღებულობს. ამ უხერხულობის ასაცილებლად, ბოლო ხანებში, ლიტერატურაში არსებული დისკუსიის შედეგად, მიღებულია F e u s s n e r-ის და D u b o i s-ს[11] წინადადება; რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სიმაღლეებისათვის (2) ფორმულით გამოთვლილი T მიჰყავთ ზღვის დონეზე შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$T' = (T-1)\frac{B_h}{760}\,\frac{a_m}{a_0}+1 \qquad (5)$$

სადაც a_m იდეალური ატმოსფეროს შთანთქმის კოეფიციენტია ფაქტიური m-სათვის, a_0—ასეთივე კოეფიციენტი ატმოსფეროს იმ მასისათვის m, რომელსაც ადგილი ექნებოდა მზის ამ ვე სიმაღლეზე ზღვის დონესათვის.

ცხრილი XXIV ТАБЛИЦА

პუნქტები Пункты	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური Год	წლიური ამპლიტუდა Годовая амплитуда
	თვეები—месяцы													
აბასთუმანი Абастумани	1.96	1.94	2.08	2.09	2.36	2.48	2.35	2.50	2.29	2.11	1.91	1.90	2.16	0.60
დავოსი Давос	1.74	1.76	1.77	2.16	2.15	2.18	2.22	2.18	2.07	1.88	1.70	1.70	1.96	0.52
ლიბანი Либани	1.89	1.95	2.08	2.30	2.36	2.22	2.22	2.22	2.24	2.07	1.74	1.83	2.09	0.62
შოვი Шови	1.47	1.55	1.78	1.97	2.03	2.12	2.41	2.48	2.00	1.88	1.62	1.49	1.90	1.01
ბახმარო Бахмаро	1.60	1.69	1.76	2.05	2.16	2.23	2.20	2.20	1.95	1.83	1.66	1.55	1.88	0.68
სოხუმი Сухуми	2.13	2.23	2.53	2.53	2.91	2.98	2.92	3.08	2.81	2.35	2.00	2.08	2.55	1.08

XXIV ცხრილში მოცემულია (5) ფორმულის საშუალებით ზღვის დონეზე მიყვანილი სიმღვრივის ფაქტორები. როგორც ჩანს, T' ფაქტორები აღებულ მთიან ადგილებისათვის დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (საშუალო წლიურში): დაახლოვებით ერთი რიგისა არიან; მათი მნიშვნელობა იცვლება 1.88-დან (ბახმარო, $H=1934$ მ) 2.16-მდე (აბასთუმანი, $H=1260$ მ). სხვებისაგან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავდება მხოლოდ სოხუმი ($T'=2.54$), რაც გასაგებიც უნდა იყოს, რადგანაც სოხუმი განსაკუთრებით გამოირჩევა მათში მეტი სინოტივით,—როგორც ზღვის დონეზე მდებარე—და, ალბათ, მეტი მტვერიანობითაც. ამავე ცხრილის ბოლოში მოყვანილია სიმღვრივის ფაქტორის წლიური ამპლიტუდები. როგორც ვხედავთ, ყველაზე დიდი ამპლიტუდა (1.08) ახასიათებს სოხუმს და ყველაზე ნაკლები კი დავოსს (0.52).

ცხრილი XXV ТАБЛИЦА

პუნქტები—пункты	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური Год
	თვეები—месяцы												
აბასთუმანი Абастумани	0.840	0.841	0.830	0.829	0.808	0.799	0.809	0.797	0.814	0.828	0.843	0.844	0.824
დავოსი Давос	0 852	0.851	0.850	0.818	0.817	0.816	0.813	0.816	0.826	0.843	0.856	0.855	0.834
ლიბანი Либани	0.842	0.838	0.827	0.810	0.805	0.816	0.816	0.816	0.814	0.828	0.855	0.847	0.826
შოვი Шови	0.877	0.869	0.850	0.833	0.828	0.822	0.798	0.792	0.830	0.842	0.863	0.874	0.840
ბახმარო Бахмаро	0.863	0.854	0.849	0.824	0.815	0.809	0.812	0.812	0.832	0.743	0.857	0.865	0.838
სოხუმი Сухуми	0.840	0.834	0.813	0.813	0.788	0.784	0.787	0.778	0.795	0.825	0.849	0.844	0.813

XXV ცხრილში მოყვანილია ამავე ადგილების ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტები.

მზის რადიაციის წლიური ჯამების (ცხრილი XXVI) შედარება გვიჩვენებს, რომ სხივებისადმი მართობ ზედაპირზე აბასთუმანში მზის რადიაციის წლიური ჯამები უახლოვდება ბახმაროს მნიშვნელობებს, სჭარბობს სოხუმისას (8%-ით), ჩამორჩება შოვისას (12%-ით) და ლიბანისას (14%-ით).

ცხრილი XXVI ТАБЛИЦА

პუნქტები—пункты	მართობი ზედაპირი Перпендикулярная поверхность	ჰორიზონტული ზედაპირი Горизонтальная поверхность
აბასთუმანი—Абастумани	148756	92783
დავოსი—Давос	—	78641
ლიბანი—Либани	169907	99490
შოვი—Шови	166130	96924
ბახმარო—Бахмаро	152820	88610
სოხუმი—Сухуми	137283	80604

წლიური ჯამების განხილვისას შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ ჰორიზონტულ ზედაპირზე აბასთუმნის წლიური ჯამები მეტია ბახმაროს ჯამებზე (5%-ით), მიუხედავად იმისა, რომ მართობ ზედაპირზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, შებრუნებულ სურათს აქვს ადგილი. პირველი შეხედვით ეს შეიძლება მიგვეწერა განსხვავებისათვის მათ გეოგრაფიულ მდებარეობაში, მაგრამ ბახმარო მხოლოდ 7′-ით უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს აბასთუმანთან შედარებით; ამ მცირე სხვაობას კი არ შეუძლია ასეთი გავლენა მოახდინოს. ამ გარემოებას კარგად ხსნის აქვე მოცემული ცხრილი XXVII.

ცხრილი XXVII ТАБЛИЦА

პუნქტები Пункты	5–6	6–7	7–8	8–9	9–10	10–11	11–12	12–13	13–14	14–15	15–16	16–17	17–18	18–19	19–20
	ს ა ა თ ე ბ ი — ч а с ы														
აბასთუმანი. Абастумани	0.4	38.1	116.6	164.0	205.4	226.6	233.9	227.7	216.7	196.7	151.8	97.5	22.4		
ბახმარო. Бахмаро	25.6	82.3	142.3	188.5	203.9	205.8	194.1	181.5	171.0	162.7	146.4	112.6	74.3	33.7	2.0

ჩვენ ვხედავთ, რომ წლიურ საათიერ ჯამებში ბახმაროზე მზის ნათება დილის 8 საათამდე და საღამოს 16 საათის შემდეგ გაცილებით სჭარბობს აბასთუმნისას, ხოლო 8 საათიდან 16 საათამდე, პირიქით, აბასთუმნისა სჭარბობს ბახმაროსას.

მზის რადიაციის მართობ ზედაპირიდან ჰორიზონტულზე გადამყვანი მამრავლი, როგორც ვიცით, არის $\sin h_{\odot}$, ე. ი. იგი დამოკიდებულია მზის სიმაღლეზე. რადგან მზის სიმაღლე დილის და საღამოს საათებში გაცილებით უფრო მცირეა შუადღის მახლობელ საათებთან შედარებით, ამიტომ ბახმაროს დილის და საღამოს საათების ნათების და, მაშასადამე, სითბური ჯამების სიჭარბე აბასთუმანთან შედარებით ვერ ახდენს შუადღის მახლობელ საათებში აბასთუმნის ნათების სიჭარბის და ჯამების კომპენსაციას.

ცხრილი XXVIII ТАБЛИЦА

პუნქტები—пункты	ზამთარი Зима	%	გაზაფხული Весна	%	ზაფხული Лето	%	შემოდგომა Осень	%
აბასთუმანი—Абастумани	8389	9	27331	30	37243	40	19819	21
დავოსი—Давос	7730	10	23090	29	32051	41	15770	20
ლიბანი—Либани	10453	11	26460	27	40366	40	22212	22
შოვი—Шови	11694	12	26827	28	38157	39	30248	21
ბახმარო—Бахмаро	9419	11	27169	30	32768	36	20160	23
სოხუმი—Сухуми	6675	8	21538	27	35083	43	17310	22

ცხრილი XXIX ТАБЛИЦА

პუნქტები—пункты	ზამთარი Зима	%	გაზაფხული Весна	%	ზაფხული Лето	%	შემოდგომა Осень	%
აბასთუმანი—Абастумани	19978	13	40786	27	51414	35	36578	25
ლიბანი—Либани	26675	15	41806	25	59547	35	41878	25
შოვი—Шови	29069	18	42215	25	55318	33	39527	24
ბახმარო—Бахмаро	23592	15	42932	28	47438	31	38861	26
სოხუმი—Сухуми	18201	13	33683	25	50758	37	34631	25

